



ISSN 0132-1307

# საბჭოთა ბელოჯეზია

1979 9

9/1979



# საბჭოთა სელოვნება

## შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ცნობებებში	2
ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დიპლომატიური თეატრი — 100	
ოთარ თაქთაიშვილი — ქლინის შემოქმედებითი კოლექტივი	5
დიმიტრი ალექსიძე — საუზარეულო თეატრი	6
ვიკტორ ტიფანიძე — პირველი კულტურის დღისასწავლი	7
ინტერვიუ არგუშინაძე ივანე	8
ნანა ლეონიძე — თეატრი და საუკუნე	10
ვიკტორ ტიფანიძე — ბათუმის სახელმწიფო სპეციალური	18
შოთა აბუთიძე — ხალხური მუსიკის ზღვრები ხეცურის ბაგრატიონის ვიტორია	28
ახალგაზრდი მუსიკის დღეები	30
ნანა ლორია — „ნაცარქალი“—თბილისის ფალსეფილის სახელობის სა- ხელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სპეციალური	31
ვახტანგ კვიციანიძე — პირველი რეჟისორის ინტერვიუსათვის	36
ფიჭვალაძე და სკოლის პირველი სახელობის ხელოვნებაში ილია ორბელიანი და მუსიკის სახელობის თბილისში	40
ნათელა იმედაძე — სადავლიანი პირველი თეატრის დიპლომატიის ინტერ- ვიუსთან	43
ლარსა ნადარეჟიანი — წარმატებული პირველი	53
რობერტ კეკელიძე — მისთვის მუშაობის პირველი პირველი	61
ალა იასტრებოვიჩი — XI-XIII საუკუნეების დასავლეთი ევროპა	67
ეკა პრივალოვა — ალიკო გორგაძე	76
ელენე მჭავარიანი — ილია ჭავჭავაძის ცნობა კელსონის მხატვრობისა და ტილოზის ფიქციური ხატების შესახებ	82
აკაკი ვახაძე — მოგონებები და ფიქციური	85
გიორგი ნახუცრიანი — გალგანობა (პიესა)	96
ბრუნა	115

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
პროპაგანდის განყოფილება

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
პოეზია

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ბილაძე  
სარედაქციო კომიტეტი:  
აკაკი ვახაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოდარ ბაბუნია,  
ჯუმატა თითქმისი  
(პასუხისმგებელი რედაქტორი)  
განილ კინაძე,  
ნოდარ გვალაძე,  
ზვიად ორბელიანი,  
ნათელა შარვაშიძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანდრე ფულაძე,  
ნოდარ ბაბუნია,  
ნოდარ ჯანაშია.

ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, განსაკუთრებით გვახარებს, რომ ვუღარაბთ რა ერთმანეთს სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შენაარსს და თბილისის საბჭოთა კომიტეტის თაობაზე ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკას, შეგვიქლია ვთქვათ, რომ მთელი ეს წლები სწორი, პარტიული, ლენინური კურსით მივდიოდით, და ამ საკითხში საუკეთესო ორიენტირად და კრიტერიუმად გვევლინება ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

სკკ ცენტრალური კომიტეტის კოლიტიურს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ბ. ა. შვარდნაძის მოხსენებთან საქართველოს პარტიული აპტივის კრებაზე 1979 წლის 26 ივნისს.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სსოვრებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიურს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ელუარდ შვარდნაძემ ამას წინათ გამართულ აქტივის კრებაზე მეტად საყურადღებო და ღრმა მოხსენებაში განაცხადა: „ადამიანი კი არ

შექმნილა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის-სთვის, არამედ ეს ბაზა იქმნება საბჭოთა ადამიანისათვის“.

ჩვენმა დღევანდლობამ, სხვა ცხოვრებისეულ აქტიურ პრობლემათა შორის, წამოჭრა ადამიანში ყველაზე უფრო ადამიანურის ანუ ადამიანში პიროვნების აღზრ-

დის პრობლემა. შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ განსაკუთრებით ხაზგასმულია ზომიერების, მხატვრული გემოვნების, სტილისა და ფორმის გრძნობის აღზრდისა და განვითარების საკითხები. ეს მეტად საყურადღებოა, მეტად დროულია, როგორც ამ დადგენილებაში ყველა დებულება.

როცა დადგენილებაში ვკითხულობთ: „**ვაჭეთებს, ყურანლებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი სახე!**“ — ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიფარავლეთ მხოლოდ ვაჭეთებთან და ყურანლებთან. საერთოდ, ჩვენს პირად ცხოვრებას, საქმიანობას, გარემოს, ქალაქს, უბანს, სახლს, ბინას თავისი სახე უნდა ჰქონდეს. და, რაც მთავარია, საკუთარი სახე უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანი! ზომიერების, მხატვრული გემოვნების, სტილისა და ფორმის გრძნობის განვითარება გულისხმობს ადამიანის პიროვნული თავისებურებების, საკუთარი შეხედულების, საკუთარი აზრის განვითარებას. ყოველმა ადამიანმა უნდა მოიზაროს და დაამსხვროს მემუნიციპალიტეტის ჩარჩოები, შეიმუშაოს საკუთარი აზრი, საკუთარი პოზიცია და, როგორც დადგენილებაში წერია, „დაუფარავად განიხილოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხები“.

და, რაც მთავარია, არ უნდა მოერიდოს თავისი აზრის გამოთქმას, უფრო არ უნდა დაიხიოს, არ უნდა დადრთხეს, არ უნდა ვახშეს, ისევე დადგენილებაში არაოთქმის მოცუვლებზე, „**ჭერ კიდევ შემორჩენილი შიშის**“ მსხვერპლი. ეს შიში კი, დაუფარავად რომ ვთქვათ, ჭერ კიდევ ბოგინებს შიშის შორის, ბიუროკრატიზმის ეს საშინელი ნაყოფი — შიში, შიში ერთი ადამიანის მეორის მიმართ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იმ მეორეზეა დაწყალებული მისი ბედნი.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი აქტივის კრებაზე ამბობდა: „**ეკონომისაკუთრული მისწრაფებებით შეპყრობილი ადამიანები რყევიან ირგვლივ მყოფთ თავიანთი კეთილდღეობის ფაქტორით და ამით ზოგში ზადებენ ციწილს, ზოგში — სექტიციზმს, ზოგში — ამორალიზმსა და აპოლიტიკურობას, ურწმუნოებას**“.

ეს არის ზუსტი ფორმულირება იმ პათოლოგიური მოვლენებისა, რომლებიც ეკონომისაკუთრული ინსტიტუტის არანორმალურ განვითარებას მისდევს.

ეკონომისაკუთრების მრავალი ფორმა ცნობილია. არსებობს კიდევ ერთი ფორმა, რომელიც ჩვენი ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდში შეიქმნა. ეს ვახლავთ ეკონომისაკუთრული წარმოდგენა თანამდებობაზე! ანუ — როცა დაკავებული თანამდებობის საშუალებით იქმნება პირადი კეთილდღეობა, სხვათა გულუხვად პატივს სცემენ... სახელმწიფოს ხარჯზე!

დღეს ბევრი ცუდი რამ უკვე წარსულს ჩაბარდა. ეს რომ არ დანახო, არ შეიძლება, მაგრამ მთავარია, და ამას განსაკუთრებით ავნიშნავთ, რომ ჩვენს მშრომელებს დაუბრუნდათ მათი შრომის, მათი სიტყვის, მათი ქმედების აუცილებლობისა და მიღწეულობის რწმენა. მართლაც, არ არსებობს უფრო დიდი სისარული, უფრო დიდი სიამაყე ადამიანისა, როცა ის გრძნობს, რომ მისი საქმე, მისი სიტყვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა „**განსაკუთრებით სასიხარულოა**“ უწოდა იმ ფაქტს, რომ ცენტრალური კომიტეტის აღწერილი დადგენილების საყენარო დებულებანი არსებითად ემთხვევა იმ სულისკვეთებას, რითაც ჩვენი რესპუბლიკა ამ ბოლო წლების მანძილზე ცხოვრობს. აი, ამის დამამტკიცებელი ერთ-ერთი მაგალითი — დადგენილებაში წერია: „**მაქსიმალური უწყევებით უნდა გამოიყენოთ ქვეყანაში არსებული ყველა სასახლე, კლუბი, ბიბლიოთეკა, დარბაზი, სტადიონი, მიუხედავად მათი უწყებრივ დაქვემდებარებისა**“.

ყველას გვახსოვს, რა უბედურება დაატყდა თავს ქართულ ხელოვნებას, როცა დაიწყო ჩვენი საოპერო თეატრის სეზონი. და სწორედ მაშინ, ამ დიდი გაპირების ეპოს, საქართველოს პრინციპში მაგობრული ხელი გაუწოდა ქართულ ხელოვნებას და სწორედ პრინციპშითა კულტურის სასახლეში, წლების მანძილზე, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, მთელი ძალით ყვრიდა საპერო ბუკი. და დღეს, როდესაც შესანიშნავად განახლებული საოპერო თეატრის შენობაში სპექტაკლს ვესწრებით, უღლება არა გვაქვს დავივიწყოთ ის უანგარო, მშური დამხარება.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში დღითიდღე იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. დადგენილებაში ჩვენი შემოქმედებითი ორგანო-საკითხის წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანები. საპირთა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ქმედებით აღსავსე ეპოქების იმ ნიაოვარს, რომელზეც ჩვენი კრიტიკოსები სტატეგებში — განსაკუთრებით იუბილეების დღეებში — მოუღებენ. ვანტრეცელობისა და პანევიკრიკის ასეთი მოძალეა, რა თქმა უნდა, ეერ შეიწყობს ხელს ზომიერების გრძნობისა და მხატვრული გემოვნების ბეჭდას. შემოქმედებითმა ორგანო-საკითხმა უსათუოდ მეტე ყურადღება უნდა მიჰქონდეს შემოქმედებით პრობლემებს, როგორც დადგენილებაში წერია, — „**ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნა**“. ამას იმიტომ ვუსჯავთ ხაზს, რომ ჩვენი შემოქმედებით ორგანო-საკითხი, სწორად, შემოქმედება ღარიბ ნათესავებით გამოიყურება, როცა მთელი ყურადღება აღმინსტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებს ეთმობა. ჩვენს შემოქმედებით ორგანო-საკითხს სხდომები სწორად საბინაო კომპერატის წევრთა კრებებსა ჰგავს...

ამასთანავე, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ვადასასინ-  
ჯია მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან საზოგადოებრივ  
შეხვედრების ის ფორმა, რომელიც უკვე დაკანონდა ჩვენს  
ორგანიზაციებში, სკოლა იქნება წს, ინსტიტუტი, თუ სხვა  
ნებისმიერი დაწესებულება. აი, სად არის გამეფებული  
სრული განუზრახველობა, პროვინციულობა და სიყალბე.  
გაიხსენით თუნდაც გაშთქველი ბავშვები პედაგოგების  
მიერ დაწერილი სიტყვებითა და აქციონებით. გავისე-  
ნოთ პრეზიდენტის მამაყად მცდომი „სტუმარი“, რომელიც,  
თურმე, ჩვენი კლასიკოსების დაფნის გვირგვინისანი  
მემკვიდრეა“. სხვათა შორის, ყველა ნამდვილი შემოქმე-  
დი უკვე დიდი ხანია დააფრთხო ამ შეხვედრების აშკა-  
რად პროვინციულობა ხასიათმა. რასაკვირველია, კარგია,  
მწერლობასა და ხელოვნებას პატივს რომ ვცემთ, მაგ-  
რამ ასეთი შეხვედრები, საბოლოო გამში, ლიტერატურისა  
და ხელოვნებისათვის დათვური სამსახურის გაწევაა, მე-  
ტი არაფერი. მკითხველის და მწერლის შეხვედრა რაც  
შეიძლება საქმიანი უნდა იყოს, შეიძლება მეტი კრიტი-  
კული შენიშვნა უნდა გამოითქვას იქ, როგორც მწერ-  
ლის, ხელოვანის, ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხვე-  
ლის, მაყურებლის მიმართაც და ამით ორივე მხარე  
მოგებული დარჩება.

ჩვენ ძალიან სამართლიანად და დროულად მიგვაჩნია  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“ ამასწინანდელი  
მონიშნულ, სადაც ჩვენს შემოქმედებით ორგანიზაციებში  
გამეფებულ განუზრახველობაზე ლაპარაკი — „ვარსკვლავები  
არაფერ კრავს“, — ამ ობიექტურმა სინტეზმა დიდი  
მხარდაჭერა იბოვა ჩვენი შემოქმედების ვარკვეულ წრე-  
ებში. ამ განუზრახველობის გამო, შეხვედრებისათუ საზოგადო-  
საბოგოების პრეზიდენტებში სხედან დაფნის ვიკიგე-  
ნებით შემკული მეტად საეჭვო შესაძლებლობების ლიტე-  
რატორები თუ ხელოვანნი. ამ განუზრახველობის გამო,  
ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელი რჩება ის დი-  
დი შემოქმედებითი აღმოჩენები, რითაც ასე მდიდარია  
დღევანდელი ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

სასამოვნოა, რომ დადგენილებაში განსაკუთრებითაა  
ხაზგასმული მხატვრული თვითმოქმედების მნიშვნელობა.  
შეიძლება დაბეჭდვითი ითქვას, რომ ქართული ხალხური  
თვითშემოქმედების პატრონი, საქართველოს სსრ კულტუ-  
რის სამინისტროსთან ერთად, საქართველოს პროფკავშ-  
რია. მართკ იმ ფაქტის გასწვნიება რად ღირს, თუ რა დი-  
დი შრომა გასწია მან ამ თვალსაზრისით პირველ საკავში-  
რო ფესტივალზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის  
მესამოვე წლისათვის მიუძღვნა.

სახალხო თეატრი — ეს ჩვენი ხელოვნების ერთგუ-  
ლი ჯარისკაცები, ცეკვისა და სიმღერის თვითმოქმედი  
ანსამბლები, თვითნასწავლი მხატვრებისა თუ მოქანდაკე-  
ების გამოფენები, ზრუნვა ხალხური ხელოვნების უნიკა-  
ლური სახეობების შესანარჩუნებლად, უმარავი კონკრე-  
ტის სახალხო თეატრების, კლუბების, ესტრაღის რეპერ-  
ტუარის შესაქმნელად — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!  
ოღონდ. უსათუოდ უნდა ვთქვათ ისიც, რომ ჩვენი


ეუროპულ-გაზეთები და, მათ შორის, ეუროპული „საბჭოთა  
ხელოვნება“; სათანადო ეუროპულდებს არ აქცევენ ხალხუ-  
რი თვითშემოქმედების პრობლემებს. ვანა ნორმალურია  
ისეთი ვითარება, როცა წლიდან წლამდე ჩვენს პრესაში  
ერთი რეცენზიაც კი არ გამოჩნდება რომელიმე სახალხო  
თეატრის სექტაკლებზე!

აქვე გვიხდა ვანაცხადით, რომ „საბჭოთა ხელო-  
ვნების“ რედაქციის დასახული აქვს ღონისძიებები ამ საქ-  
მეში არსებული ხარკების აღმოსაფხვრელად.

როცა ხალხური თვითშემოქმედების, ჩვენი შემოქმე-  
დების ეროვნულ, ხალხურ ფესვებზე ვლაპარაკობთ, არ  
შეგვიძლია არ გაიხსენიოთ ერთი კიორხი. უფრო კონკრე-  
ტულად, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების  
ნიმნიშებელი კომიტეტის ვადაწყვეტილება, რომლის მიხე-  
ვითაც წელს ყველა წარმოდგენილი კანდიდატიან  
მხოლოდ ერთს არ მიენიჭა პრემია და ეს ერთი კანდიდა-  
ტი იყო ჩვენი შესანიშნავი ანსამბლი „რუსთავი“, ეს უბ-  
რწყინვალესი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელიც  
მთელ თავის ნიჭსა და ენერჯიას ახმარს ქართული ხალ-  
ხური სიმღერებისა და უძველესი საგალობლების შენახ-  
ვის, აღდგენისა და პოპულარიზაციის საქმეს.

რა თქმა უნდა, კენისისრა ფართობს და არავის უფ-  
ლება არა აქვს ძალა დაატაროს კომიტეტის წევრებს, თა-  
ნაც, ისინი ჩვენი ცნობილი მუსიკოსები არიან. მაგრამ ვა-  
ნა იმისათვის, რომ „რუსთავს“ პრემია მიანიჭო, ძალის  
დატანება საქართველოს რომ თავი დაეანებოთ,  
ჯერ კიდევ მელანი არ შემოიბოძა საქართველოს კომუნის-  
ტური პარტიის ცენტრალურა კომიტეტის დადგენილებას  
კულტურის ძეგლების დაცვის თაობაზე, რომელიც ვევა-  
ლებს თელის ჩინიით გაუფიქსოლებთ ჩვენს ეროვნულ  
საუნჯეს. ქართული სიმღერა კი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე  
ძვირფასი საგანძურია! ყოველი ჩვენი ყიფის წევრი  
ვალდებულია სახელმწიფოებრივად აზრავებდეს. შეიძ-  
ლება ითქვას, ეს ფაქტი ამ კომიტეტის, რომელიც მუსიკა-  
ლურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთანაა ჩამოყალიბე-  
ბული, სამარცხნიო ლაქა და იმასაც ვიტყვით, რომ  
საქართველო, აუცილებელა ვადასაღისდეს ამ კომიტეტის  
შემადგენლობა, რადგან არ შეიძლება ასეთი დიდი ძალა  
მიანიჭო გულგრილ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ  
საკუთარი უჭურტანრიდან შესიქერიან ჩვენს მუსიკალურ  
ცხოვრებას. მაგრამ. სადენფიროდ, ჩვენ მრავალ ვყავს  
მოღვაწეები, რომლებიც ჩვენი ხალხის სულიერ სიმდი-  
რეზე ზრუნავენ და ეს ზრუნვა თავისი ცხოვრების ყველა-  
ზე უფრო მნიშვნელოვან საქმედ გაუხდიათ.

ადამიანის ბუნებრივი ფიქრი და ზრუნვა დიდი საქმე-  
მოდით, ყველამ ერთად გავწიოთ ეს მძიმე და, ამავე დროს,  
მეტად საპატიო უკანან და მთელი ჩვენი ძალა, ნიჭი, შოა-  
გონება მოვახმაროთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენი ხალხის  
კეთილდღეობას.



100

# კლიარი უამოქველავითი კოლაქტივი

ოთარ\_თაქთაქიშვილი

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

ბათუმის თეატრის გასტროლებმა თბილისში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რა ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივი მოღვაწეობს ჩვენს ერთ-ერთ უმშვენიერეს სანახაფერო ქალაქში და რაიგი სასიხარულოა, რომ ეს გასტროლები დაემთხვა ბათუმის თეატრის დაარსების 100 წლისთავს.

სწორედ 100 წლის წინათ, იენისის თევში გაიმართა ბათუმში პირველი წარმოდგენა სცენისმოყვარეთა მონაწილეობით და მას შემდეგ აჭარის მოწინავე ინტელიგენციას არ შეუნელებია ზრუნვა ბათუმში პროფესიული თეატრალური ხელოვნების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. ბათუმის თეატრს საამაყოდ ისიც ეყოფა, რომ მის დასს ხელმძღვანელობდა სახელმწიფოქი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, მის სცენაზე სპექტაკლები დაუდგამს დიდ კოტე მარჯანიშვილს. სანდრო ახმეტელმა კი რუსთაველის თეატრში სპეციალური სტუდია შექმნა აჭარისათვის და ამ სტუდიადამთავრებული ნიჭიერი მსახიობები დღესაც ამშვენიურებენ ბათუმის თეატრის სცენას, დღესაც იღვწიან მშობლიური ხალხის კულტურული ღონის ასამაღლებლად და თეატრალური ხელოვნების გადსაქცევად ერთიან ეროვნულ ფასეულობად. ბათუმის თეატრს ჩვენი სახელმწიფოქი რეჟისორების ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი პიესა დაუდგამს ისეთი, რომლებიც ქართული თეატრალური ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა და მტკიცედ დამკვიდრა ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში. ამგვარი წვლილის შტაბა ეროვნულ საწარგეში კი ნიჭისა, გარჯისა და პასუხისმგებლობის შევნების ვარემ შეუძლებლია.

განსაკუთრებით მახარებს მის აწავი, რომ ბათუმის თეატრი თავის რეპერტუარს ძირითადად ქართულ დრამატურგიაზე აგებს და, გულახდილად რომ ვთქვა, ბათუმის თეატრის შემოქმედებით

კოლექტივს ყველაზე მეტად სწორედ ქართული პიესის დადგმა და განხორციელება ეხერხება. დიდად სასიხარულოა ის ამბავიც, რომ თვით ბათუმშიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ნიჭიერი, მთელ ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფოქი დრამატურგები, რომელთა პიესების დადგმა პირველ რიგში ბათუმის თეატრის მოვალეობაა. სწორედ ეროვნული რეპერტუარი ეხმარება თეატრს ყველაზე მეტად საკუთარი სახისა და სტილის მოპოვებაში, თანამედროვე პრობლემების მწვავედ დასმასა და გადაწყვეტაში.

თბილისში ჩატარებულმა გასტროლებმა ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ბათუმის თეატრი აღმავლობის გზაზე დგას და ცდილობს თანამედროვე თეატრალური ხელოვნების საერთო ღონემდე ამაღლდეს, რაც სასურველი და სასიხარულოა, მაგრამ მე ერთი დიდი თხოვნა მაქვს ბათუმელი ამხანაგებისადმი. ბათუმში თეატრალური ხელოვნების გვერდით ფეხს იკიდებს კულტურისა და ხელოვნების სხვა დარგები, სწრაფი ტემპით ვითარდება მუსიკალური, სახვითი ხელოვნება, ეწყობა საესტრადო და სიმფონიური ორკესტრების კონცერტები, მხატვრისა და მოქანდაკეთა გამოფენები და მე მინდა, რომ ბათუმის თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა, კულტურის ამ უძველესმა კერამ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა ამ ღონისძიებაში, რათა დაეხმაროს ხელოვნების იმ დარგების წარმომადგენელთ, რომლებიც ახლა იწყებენ თავიანთ შემოქმედებით ცხოვრებას.

ეუსურგებ ბათუმის თეატრს მაღალმხატვრული სპექტაკლების დადგმას და ახალ-ახალ გამარჯვებებს ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.

# საყვარელი თეატრი

## დიმიტრი ალექსიძე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების  
თავმჯდომარე

ბათუმის თეატრი ასა წლისთავს ზეიმობს. თეატრის ხნოვანება, მისი წარსული ერის კულტურის დონის გამოხატველია და ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი თეატრალური კულტურის მატარებელი ვართ. ასა წლის წინათ აქდებდა პირველად ქართული სცენური სიტყვა ბათუმში, დედასამშობლოსთან დაბრუნებულ ქალაქში და განათავისუფლების სიხარული ამ სცენურ ცხოვრებაშიც გამოიხატა.

თავად ფაქტი თეატრის არსებობისა დასტურია იმისა, რომ ერს მშვიდობიანი ცხოვრების ხანა დაუდგა, რადგან დიდი და კარგი თეატრი ბედნიერ ერთა წილზედგება მხოლოდ. შეუძლებელია ერს უჭირდეს სულიერად, ფიზიკურად, ეკონომიურად და მან დიდი თეატრი შექმნას. ამის კიდევ ერთი დასტურია აჭარაში თეატრალური ხელოვნების ფიქსის ადგმა — ხალხმა სწორედ მაშინ მისხდა თეატრის საქმეს, როცა საამისო საშუალება მიეცა, როცა დადგა ჟამი ნიჭის გამოჩენისა და გაფურჩქნისა. ეს პირველი სცენისმოყვარული სპექტაკლები იყო მარცვალი, რომელმაც გააღვია თეატრისადმი სიყვარული. დიდი დავით კლდიაშვილი იყო ამ საქმის ერთი მესჯეურთავანი, შემდეგ გადის ხანი, თეატრის სიყვარული უფრო გამოლიანებულ სახეს ღებულობს და ბათუმს ევლინება მარჯანიშვილის გენია. თეატრი, რომელიც დღეს მარჯანიშვილის სახელს ატარებს, ხომ ქუთაის-ბათუმის თეატრი იყო, მარჯანიშვილები ყოველ ახალ პრემიერას ბათუმში თამაშობდნენ და ეს ხანა ერთი ჩინებუ-

ლი ხანა დიდი კოტეს შემოქმედებაში — ბათუმაც გაათხო იგი, შემდეგ ქუთაის-ბათუმის თეატრი თბილისის თეატრი გახდა და ბათუმი ფაქტიურად უთეატროდ დარჩა.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიათ და მე თითქოს ვუმაღლი კიდევ ამ მცირე ხნის უთეატრობას. ასე რომ არა, მე არ მერგებოდა წილად დიდი ბედნიერება—განმეცადა ამ ქალაქში პროფესიული თეატრის შექმნის სისხარული.

1936 წელს რუსთაველის თეატრის სტუდიაში აჭარის ახალგაზრდა სტუდიელთა ძალებით მე მოვაშაღე ორი სპექტაკლი: გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ და გ. მდინის „ბრმა“. შემდეგ ეს ორი სტუდიური სპექტაკლი დაედო საფუძვლად ბათუმში პროფესიული თეატრის შექმნას. ჩინებული ახალგაზრდები იყვნენ სტუდიელები: მ. ხინიკაძე, ი. კობალაძე, გ. ახვლედიანი, ნ. თეთრაძე, სწორედ ესენი გახლდნენ ის მსახიობები, რომლებიც ბურჯებად შეუდგნენ ახალ თეატრს, იტვირთეს მისი სიმძიმე და დღემდე მოიტანეს. მე მათი მრავალი ბრწყინვალე როლი, მრავალი გამარჯვება მახსოვს.

სულითა და გულით მივყვალვები ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ძვირფას კერას — ბათუმის თეატრს, ვუსურვებ მეორე ასეული წელიწადი დიდი შემოქმედებითი გამარჯვებების, წარმატებების ხანა ყოფილიყოს მისთვის, რადგან ბათუმი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი თვალ-მარგალიტია და მის გულში დიდი თეატრალური ცხოვრება უნდა ჩქეფდეს.

# ქართული ქულტურის დღესასწაული

## გიგა ლორთქიფანიძე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური  
თეატრის დირექტორი, სახეატრო ხელმძღვანელი

ბათუმის თეატრის საუკუნოვანი იუბილე  
შავი ქართული თეატრალური კულტურის  
დღესასწაულია. 100 წლის წინათ, სწორედ  
ზაფხულში ელუზა ქართველ საზოგადოებას  
პირველი ქართული დრამის სპექტაკლი  
ბათუმში. ამით ჩაეყარა საფუძველი შავი  
ზღვისპირეთის ამ შესანიშნავ ქალაქში თეა-  
ტრალურ ცხოვრებას, ამით ჩაეყარა საფუძ-  
ველი დიდ თეატრალურ ტრადიციებს ბათუ-  
მში — ერთ-ერთ; მნიშვნელოვან ქართულ  
საპორტო ქალაქში.

დაიბადა არა მარტო თეატრი, მასთან ერ-  
თად გაჩნდა მომთხოვნი მაყურებელიც, რო-  
მლის გემოვნებას საუკუნის მანძილზე ავი-  
თარებდნენ და ზევწინ ქართული სცენის  
საუკეთესო წარმომადგენლები. 1928-1930  
წლებში კი ბათუმს რევოლუციულად ემსახუ-  
რებოდა კოტე მარჯანიშვილის მიერ ახლად-  
დაარსებული II სახელმწიფო დრამის, ანუ  
ქუთაის-ბათუმის თეატრი.

თბილისის თეატრალურმა სტუდიამ კი  
1936 წელს აჭარის ჯგუფის გამოშვებით სა-  
პირველი დუდილი დღევანდელი ი. ჭავჭავაძის  
სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრს.  
დღეს ეს თეატრი აქტიურადაა ჩაბმული ქარ-  
თული საბჭოთა თეატრების ფერხულში და  
მისი ერთ-ერთი საინტერესო, იმედისაღმქმ-  
მელი ორგანიზმია. ამ თეატრს დღესაც ამ-  
შვედნენ მის დამაარსებელთა სახელები: სა-  
ქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნუნუ  
თეთრაძე, მურად ხინციკაძე, იესუფ კობლაძე,  
საქართველოს სსრ დამსახურებული არ-  
ტისტები გიორგი ახვლედიანი, ჰასან მეგრე-

ლიძე, სულიკო თურმანიძე. წლების მანძილ-  
ზე თეატრში საინტერესო ცვლა მოვიდა, ნი-  
ჭიერი, პერსპექტიული მსახიობები. ასეთებ-  
ად მე მიმაჩნია: ნათელა წერეთელი, ნინო  
საკანდელიძე, ცირა აბზიანიძე, ლუიზა ჯიბ-  
ლაძე, გაიოზ გოგიბერიძე, იური ცანავა, მა-  
ნუხარ შერვაშიძე, ამირან ტაყაძე, როლანდ  
კაკაურიძე, ზურაბ შილაკაძე. ეს ის ძალაა,  
რომელსაც თამაშად შეუძლია დადგეს სად-  
ღისო რთული მოთხოვნების დონეზე, ჩაწ-  
ედეს თანამედროვეობას და თავისი სიტყვა  
თქვას.

მე ბედნიერება მქონდა მემუშავა ამ თეა-  
ტრში. ორი დღეა განვახორციელებ. დღევ-  
გი ნ. დუმბაძის „მე ბებია, ილიკო და ილარ-  
ინა“ და „ნუ გეშინია, დედას“ ორივე სპექ-  
ტაკლმა დიდი შემოქმედებითი სიხარული  
მომიტანა მუშაობის პროცესშიც და საბოლო-  
ოდაც. ამიტომ დიდი სიყვარული მაკავშირ-  
ებს დასთან, უთუოდ ნიჭიერ და შრომისმოყ-  
ვარე კოლექტივთან.

გარდა პირადი შემოქმედებითი კონტაქტი-  
სა, სხვა მიზნით დროსაც აქვს ჩემთვის ამ  
თეატრს. ჩემი ერთ-ერთი უდიდესი შთაბეჭ-  
დილება თეატრალურ შთაბეჭდილებათა ში-  
რის გახლდათ ბათუმის სცენაზე არჩ. ჩხარ-  
ტიშვილის მიერ დადგმული ვეა-ფშველას  
„მოკვეთილი“ და სოფოკლეს „ოიდიპოსი“. ამ  
თეატრში მოღვაწეობდა აწ გარდაცვლილი  
რეჟისორი შალვა ინსარიძე, საოცრად ჩემი  
და მოკრძალებული ხელოვანი, რომლის რე-  
ჟისურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა  
ბათუმის თეატრის ჩამოყალიბების საქმეში.  
ამ თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობ-  
დნენ წამყვან რეჟისორებად ჩემი მეგობრები  
— გიზო ქორდანია, თეიმურაზ აბაშიძე, გო-  
გი ქავთარაძე...

ეს თეატრი ჩემთვის დიდი ტრადიციებისა  
არა მარტო თეატრალური ხელოვნების სფერო-  
ში, არამედ ადამიანურ ურთიერთობათა  
სფეროშიც. იგი საოცრად თბილი და ად-  
ამიანურია, სტუმართმოყვარე მისპინძელია,  
რომელიც სიყვარულით გვხვება.

ასეთ სიყვარულ და ძვირფას თეატრს, მის  
ნიჭიერ კოლექტივს, მთელ თეატრალურ აჭარ-  
ის ვულკოვ საუკუნოვან იუბილეს, გუ-  
ლოცავ, რომ 100 წლისა და მაინც ახალგა-  
ზრდაა, ვულოცავ იმ წარმატებებს და სიხარ-  
ულს, რაც მას ამ მანძილზე მქონდა და გუ-  
სურვებ შემოქმედებით წინსვლას ჩვენი ქვე-  
ყნის საყეთილდღოდ და სასიხარულოდ!

# პრეზიდენტი, იმედები...

**ივლინის პირველ ნახევარში ილ. ჯავახიძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრი საგასტროლოდ ეწვია თბილისს. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა თეატრის დირექტორს **ლევან ერუნტს** და მთავარ რეჟისორს **გურამ აბესაძეს** გასტროლების შედეგება და მომავალ გეგმებზე.**

**ლიანა ძლიანი** — ბათუმის დრამატული თეატრის დირექტორი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

ჩვენი თეატრი თავისი არსებობის 100 წლისთვის ზეიშობს და ეს მნიშვნელოვანი თარიღი გვაჯალბებულებს მეტი პასუხისმგებლობით მოვეცილოთ ჩვენს საქმეს, უფრო თანამედროვე, აქტუალური და შემოქმედებითად გამართული სპექტაკლები ვუჩვენოთ მაყურებელს. ავამოლოთ ჩვენი იდენტური დანი და პროფესიული ოსტატობა. ბათუმის თეატრის სცენაზე ჯერ კიდევ იღვწება არაფრისმთქმელი, გაუმართავი პიესები, რომელთა ელბო პათოსი მტკიცეულ საკითხებს ბუნდოვანებს ქსელში ახვევს, აფერადოვნებს იმას, რაც პირდაპირ, დაუფარავად უნდა ითქვას და ფართო მსჯელობის საგანი გახდეს. ამისთვის კი ჩვენ გვეორღება თანამედროვე, მართალი, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ამსახველი პიესები და თუ ჩვენი დრამატურები ასეთ პიესებს დაევიწყებენ, ჩვენს რეპერტუარში, რა თქმა უნდა, ვეღარ იბრუნებენ ცალბედი პათოსით გაუღენითი, მამბებლური, უშინაარსო ნაწარმოებები. მაშინ ჩვენ პირნათლად წარვსდგებით როგორც ჩვენი, ასევე დედაქალაქის მაყურებლის წინაშე.

ბათუმის წინარბობით პატარა ქალაქია. ჩვენ ერთსა და იმავე მაყურებლის შენარბობს სცენაზე გამოსვლა და, ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავიაალოსოთ რეპერტუარი. ვძებნით გამომსახველობის ახალი ფორმები, მოვავნით სცენოგრაფიის უახლეს საშუალებებს, რასაც, სამწუხაროდ, სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობების გამო ხშირად ვერ ვახერხებთ; ეს კი უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქალაქის მომთბობზე მაყურებელზე. თუმცა, მაყურებლის ნაყლობობას ჩვენ არ ვანეციდით, თეატრი მუდამ საცხება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენს თეატრში ყველაფერი რაგზეა და ნაყლი არ გავავანია. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიპოვეთ ბოლომდე ჩვენი სტილი, ჩვენი ორიგინალური სახე, ვერ დავაღწით თბი გავმეორებებს, ვერ ავმადლებთ თანამედროვეობამდე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ მხრივ ჩვენ მართლაც გვეორღება დახმარება. კარგი იქნებოდა, რეჟისორებისა და მსახიობების გავლა-გამოცვლა ოქმ მოხერხებოდაც. ეს ახალ სიბის, ახალ განწყობობას შემოიტანდა ჩვენს თეატრში, მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით განსწავლავდა კოლექტივს. რა და-შავდება იმით, რომ რუსთაველის ან მარკანიშვილის თეატრის რეჟისორი ჩამოვიდეს ბათუმში და დადგას ერთი ან ორი პიესა,

ჩამოვიდნენ ჩვენი სახელმწიბველი თეატრის მსახიობები და ითამაშონ იგივე როლები ჩვენთან, რომლებსაც საყოთარ თეატრში თამაშობენ, ასევე, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი რეჟისორი თბილისის ან სხვა რომელიმე ქალაქის სცენაზე დადგამს პიესას, ჩვენი მსახიობი ითამაშებს სხვა, თუნდაც უფრო აღიარებული თეატრის სცენაზე. ეს ხომ ჩვენ გავამდიდრებდა, გავაწავლიდა რადაც ისინი, რაც აქამდე არ ვიცით და ქალაქების მაყურებლებსაც მისცემდა ჩვენი შეფასების საშუალებას.

ბათუმის თეატრს შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს, ამ კოლექტივიმ ბევრი ნიჭიერი, გამოცდილი, პროფესიულად დაოსტატებული მსახიობი, ჩვენი სპექტაკლები თუ საზოგადოების ინტერესს იწვევს — ეს მათი დამსახურებაა, მაგრამ გვაკლია ახალგაზრდა მსახიობები. თეატრალურ ინსტრუქტუს ყოველწელს ამთავრებენ სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები. გინა ან შეიძლება მათი ბათუმში გამოგაზრდა და მათი მეშვეობით შემოქმედებითი კოლექტივის გაახალგაზრდავება, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ან არ აგზავნიან, ანდა, თბი მათ არ სურთ ბათუმში ჩამოსვლა, ჩვენს თეატრში მოღვაწეობა.

გარდა ამისა, ძალიან სუსტია თეატრის ტექნიკური აღჭურვილობა. ამიტომ გვიჭირს სპექტაკლის ტექნიკურად გაფორმება. ნუთუ არ შეიძლება თეატრისათვის გაიხსნას სპეციალური და სპეციალიზირებული მაღაზია, სადაც ჩვენ ჩვენი ანგარიში გვექნება და შეიძენთ იმას, რაც აუცილებელ საჭიროებად მიგვანია?

ჩემის აზრით, თეატრი მეტისმეტად გაზრდილი გეგმით მუშაობს, სეზონში ექვსი ახალი სპექტაკლის დადგმა და ორის განახლება მეტისმეტად დამქაცველია. გარდა ამისა, ჩვენ ყოველ სეზონში უნდა მოვაწყუთ ში განხილთი სპექტაკლი. ამისათვის კი გამართული ტრანსპორტია საჭირო. კარგი იქნებოდა, კულტურის სამინისტრო თუ გამოგვიყოფდა ერთ „არუს“, მაშინ მსახიობებს არ მოუბეღებთ იმავე მანქანის მგზავრება, რომლითაც დეკორაციები მიჰყვით და, გარდა ამისა, როცა ისინი ადგილზე ჩავლიდნენ, უკვე მოწყობილი სცენა დახვდებოდათ და ლოდინი აღარ დასჭირდებოდათ.

ბათუმში ყოველწლიურად უმარავი ტურისტი, დამსვენებელი და სტუმარი ჩამოდის. მათ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენი ხელოვნება და, კერძოდ კი, თეატრალური ხელოვნება აინტერესობს.

სებთ. მათ თვალში რომ უკეთ გამოჩნდნო, უფრო სრულყოფილად წარუდგინოთ ჩვენი ხელოვნება. საქმიანო შემოქმედებითი კოლექტივის საყოველთაოებრივი პირობები გაუმჯობესდეს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თეატრის პირველ კატეგორიას მიაწვდნენ.

მე მხოლოდ ხელისშემშლელი პირობების აღნიშვნა მინდა, თორემ ურადღობა არ გვკლია არც კულტურის სამინისტროსა და არც თეატრალური საზოგადოებისაგან. წინს დაიწყო ჩვენი თეატრის კაპიტალური შეეთვისება, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ ჩვენი ხარჯთაღრიცხვა კულტურის სამინისტრომ უკვე დაამტკიცა და, როცა შეეთვისა და მათარგნდება, ჩვენ განახლებულ თეატრში შევალთ.

ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, დიდი მოვლენა იყო თბილისში საგანგებო დამოსკვნა და დედაქალაქის მეტრსმეტად მომთხოვნი მათურების წინაშე წარდგმა. ამან ჩვენ საშუალება მოგვცა ერთსა და იმავე დროს ჩვენი შემოქმედებითი პოტენციალი გავაუმჯობესებინა და თავი შეგვეზოგინებინა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ურუნალ-გაზეთებსა და ტელევიზიას. არ დარჩენილა არცერთი სპექტაკლი შეუფასებელი, თითქმის ყველა მათგანზე დაიწყო და დაიბეჭდა რეცენზია, ტელევიზიამ ჩვენა ჩვენ საუკეთესო სპექტაკლები. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ურადღობა არ მოგვკლებია. მინდა ასევე დიდი მადლობა გადავუხადო თეატრალური საზოგადოების, სადაც მიეწეო ჩვენი გასტროლების შედეგების განხილვა, ამ პირდაპირობისა და ობიექტურობისთვის, რაც აქ გამოხატულია ამხანაგებმა ჩვენი სპექტაკლების მიმართ გამოჩინეს. ყოველივე ამას ჩვენ ურადღობით და ვცდებოდით ჩემდამისთვის უფრო მართალი და აქტუალური სპექტაკლები წამოვიტანოთ თბილისში.

ბერამ აბასაძე — ბათუმის თეატრის შთავაზი რეჟისორი.

ჩვენი გასტროლები თბილისში დავიხვეწა ბათუმის თეატრის დაარსების 100 წლისაგან და ამიტომ საუბრებში მნიშვნელობა ენიჭება. ათი დღის განმავლობაში მარჯნაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოვადგინეთ შვიდი სპექტაკლი. ჩვენთვის ამ გასტროლებზე უარსახვად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ერთსა და იმავე დროს, ეს იყო შემოქმედებითი ანგარიშის ხაზარბაძე და ერთგვარი კვალიფიკაციის ამაღლება. გასტროლებმა საზღვრის ვითარებაში ჩააბარა, ჩვენ უველადფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ თბილისელი მათურების წინაშე წერილი ჩვენი შემოქმედებითი პოტენციალი გამოვკვლიდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბათუმში თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ისეთ დრამატურებს, რომელიც ასახავდა ახალ ადამიანის შინაგანი სამყაროს ზრდასა და განვითარებას, მის ფორმირებას სოციალისტური მშენებლობის პროცესში. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისათვის ძირითადი საზომი ამა თუ იმ სპექტაკლის ღირებულება იყო სუბიექტური იყო პარტიის იდეებისა და ხალხის ინტერესებისადმი ერთგულება.

ბათუმის თეატრში დღესაც უკვე ტრადიციული გრძელდება და ამიტომ ვიტანებთ ჩვენ ასე ვთქვათ დღევანდელი თანამედროვე თეატრის. უველა სპექტაკლი უნდა იღებოდეს თანამედროვე პრობლემების გათვალისწინებით, ყოველ ეპიზოდში უნდა იგრძნობოდეს თანამედროვეობის სუნთქვა და თუ ჩვენ გვინდა უფრო კონკრეტული დავაყაროთ მათურებლთან, მოვიზილოთ და დავაინტერესოთ იგი, მას უნდა ველაპარაკოთ მთელი საზოგადოების მტკივნეულ და საქმიანობრივ საკითხებზე.

როცა თბილისში მოვემჯობინებოდით, ჩვენ სწორედ ამ პრინციპით შევარჩიეთ სპექტაკლები. გადავხედეთ ჩვენს აქრამს: ჰ. კანდორფის „დედა“ და „დრო ოცდაათი საათი“, ა. ზეთუნიაძის „უველაზე მწუხარ კაცი“, ე. ოუანდოლის „მეტყვე წმინდანი“, გ. ფანკიის „მეშვიდე ცა“, გ. ბულგაკოვის „სრბილი“ და ი. ოსტროლანის „სანამ ურბი გადარბუნდება“. ამ სპექტაკლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ყურადღების საგანი, უპირველეს

ყოვლისა, ადამიანი და მისი სულიერი ცხოვრებაა. თეატრი ცდილობს ადამიანს ჩაუხსნას დროისთვის გრძნობა, პატიოსნება, კუმპარტი სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი, ასუსისმგებლობის გრძნობა სერიოზო საქმისადმი. ადამიანი არ უნდა ეცუბოდეს უკუველადიური ცხოვრების მანკიერებასა და სიზინარეს, უკადრეს ეტკობის, მომზექტელობის, საქმისა და ადამიანისადმი გულგრილობის. აი, ამ მოვლენების წინააღმდეგ ვილაშქრებთ ჩვენ ჩვენი სპექტაკლებში და როგორც და რამაქვერბლობით ხაზარბაძე ამას, ამაზე, რა თქმა უნდა, იმსჯელებს კენისა და მათურებელი.

ჩვენი გასტროლები არა მარტო ჩვენი ხელოვნების დემონსტრაცია იყო, არამედ საკუთარი თავის კრიტიკულად შემოწმება. მან ბევრი რამეზე ავეჩინა თვალი, დიდად დავაფიქრებო მთავალად და ცხადად გამოვეცით ის საქმიანობრივ პრობლემები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა შევეცნოთ ჩვენი სტილი, ჩვენი სახე, ჩვენი მათურების ჩვენი ერთი უნდა ველაპარაკოთ და თანაც ისე, რომ ეს ენა უველასათვის გასაგებია და სინტერესო იყოს. უნდა ვიპოვოთ თანამართლ დრამატურები, ვუველსმობ, რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართველ დრამატურკებსა და მათთან ურთიერთთანამშრომლობით შევეცნოთ ჩვენი კვიუნისა და ჩვენი საზოგადოებისათვის სინტერესო სპექტაკლები, სადაც სიმართლე ცხადად, მუფერადლება იქნება ნაქვამი და ეს სიმართლე განმარტულებს მოკვებს მსატყველო სახეობი. ჩვენ ვეპირდება მოქალაქეობრივი ელტრადობის ღრმა კონსოლიტაციანი, დინამიური, მატარებულად დასრულებული პიესები და თუ ჩვენ ისინი გვეტყება, ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელშიც ბევრი ნიჭიერი და პროფესიულად დახელოვნებული მსახიობი მოღვაწეობს, შესძლებს ასეთ პიესას ხორცი შეასხას, მათურებელი ააღვლავს და დააფიქროს.


საშუალოდ, ჩვენს სპექტაკლებში ჭერ კიდევ იგრძნობა სწრაფვა სტერეოტიპულობისა და შტამისაკენ, რაც მოყულ დროის მანიჭილ დაძლეული უნდა იქნას, რადგან არაფერი არ კლავს ხელმძღვანელს ის, როგორც მოქმედებულის განმეორება, ერთხელ წაუტყობინა და წარმოდგენილის ხელახლა წარმოდგენა. სწორედ ამის შესახებ იქცა ბევრი რამ პირდაპირ და გულახდილად საქართველოს თეატრალური საზოგადოებამ ჩვენი გასტროლების შედეგების განხილვის დროს და ჩვენ უფროდ გათვივალსწინებულ უველადურს, რაც სამართლიანად და საქმიან შენიშვნად მიგვანია, ასეთ დისკუსიებს თეატრისათვის კოლექტივის დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ახლა ჩვენთვის ცხადია, სად მოვიყოლებით და სად და რა ზერზეთი ვაძლეო წარმართება.

ვსარგებლობ შემიხვედნო იმ მინდა ჩემს კოლეგებს და თეატრის ინსტიტუტს შევხვანეთ, რომ თეატრი მართლად განიცდიდა ახალგაზრდა მსახიობთა ნაკლებობას, ჩვენ თითქმის არ გვეყავ მომავალი თანამ, ცდილა. ის კი მალე დაიპოვებდა კრიტიკულ სიტუაციებში, თუ ამისთვის არ ირსუნეს ჩვენსა ზედღეობა ორგანიზება და განსაკუთრებით თეატრალურმა ინსტიტუტმა. თქვენ წარმოგიტყობ, ბათუმში ჩვენი ბიჭ წარმოგვანოლი აბიოთორენტებიც კი არ ბრუნდებიან. ჩვენ იმედო ვაქვს, რომ ამ საკითხზე დავგვეზარბაძონ თეატრალური ინსტიტუტის, კულტურის სამინისტროს და თეატრალური საზოგადოების.

ჩვენ კიდევ ერთი თხოვნა ვაქვს კულტურის სამინისტროსადმი. ძალთან ვეპირის სპექტაკლის ტექნიკურად გამოართვა და ამიტომ აუცილებელია სადავლო ხარჯების გარდა. მათნ ჩვენი სპექტაკლები მსატრადელად უკეთ იქნება გაფორმებული და ვერც შეუფერებლად ჩაქმელობას იხილავ მათურებელი სცენაზე.

მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი დედაქალაქის ურუნალ-გაზეთებსა და ტელევიზიას ჩვენი გასტროლების ფართოდ და ყოველმხრივ გაუმჯობესებისთვის.

იმედია, რომ ჩვენი მომავალი გასტროლები თბილისში კიდევ უფრო დიდი წარმატებით ჩაივლის და მათურებელიც უფრო კმაყოფილი დაავრება.



# თეატრი და საშუკუნე

ნანა ლვინვაძე

ასი წლის წინათ, 13 ივლისს გაზეთმა „დროებამ“ საზოგადოებას ამცნო: ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა! ეს გახლდათ სცენისმოყვარეთა მიერ გათამაშებული ზურაბ ანტონოვის კომედია — „ვანა ბიძიამ ცოლი შეირთო?!“

საქართველოში არა ერთი საუკუნოვანი თეატრია. ას წელიწადს მიაღწიეს და გადაბიჯეს ქუთაისის, მახარაძის, ფოთის, ზუგდიდის, ახალციხის, ცხინვალის (ქართული და-სი) თეატრებმა.

წელს ბათუმის თეატრის ჯერი დადგა — ბათუმის თეატრიც 100 წლისაა! ეს თარიღი ქართული კულტურის ერთ-ერთი ღირსსახსოვარი მოვლენაა.

ღირსსახსოვარია იმიტომ, რომ ბათუმის თეატრალური ცხოვრების ქორონიკონი დედა-საქართველოში თეატრალური ცხოვ-

რების გაცხოველებას, კერძოდ კი თბილისში ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის ზურღს ემთხვევა.

ღიბ, 1879 წელი საზიაროა დედა-თეატრისა და მისი ერთ-ერთი ძლიერი განშტოების — ბათუმის თეატრისათვის.

თეატრი ხომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისათვის საშფერლო საქმიანობაზე არანაკლებ საზრუნავი და საიმედო ასპარეზი იყო, რომელიც ილიას ცხოვრების განწმენდელად, ჭკუა-გონების განმანათლებლად და მწვრთნელად, იმ უწმინდეს ადგილად მიაზნდა, სადაც ენა ფეხზე უნდა წამომდგარიყო მთელის თავისი მშვენიერბითა და სიმდიდრით. მათვე წაახალისეს და მისცეს მაგალითი დიდი სიყვარულისა ეროვნული კულტურის კეშმარიტ მოამაგებს და შესძღეს ჩინებულ პროფესიული დასის შეკვრა უკვე სახელმძღვებელ მსახიობთაგან, რომელთა შორის პალმა პირველობისა ლადო მესხიშვილის,

ვასო აბაშიძის, კოტე მესხის, კოტე ყიფიანის, მკო საფაროვას, ნატო ვაბუნიას, ვალერიან გუნიას წილხვედრი იყო.

ეს გახლათ დიდი საქვეყნო ამბიონის, დიდი საერო საქმის აღორძინება და, ბუნებრივია, რომ თურქეთის უღლისაგან ახლად-განთავისუფლებული საქართველოს ღვიძლი კუჭახის — აჭარის მოწინავე საზოგადოებაშიც გულთხილი გამოძახებდა ჰოვია ეროვნული თეატრის — დედათეატრის აღდგენამ, რომელიც განმანათლებლად და წინამძღოლად, ერის წყლულთა მკურნალად იწამა ქართველობამ.

ილია ჭავჭავაძის მიერ დამოძღვრული აჭარელი მამულიშვილები ერთხანის გულმოდგინებით იღვწოდნენ წერა-თახის გასაგრელებლად და დრამატული ხელოვნების დასამკვიდრებლად. ამ საშვილოშილო საქმიანობის დამაგვირგვინებელი დავით კლდიაშვილი გახდა, რომელიც იმ ხანად სამხედრო სამსახურს იწყებს ბათუმში და მტრისაგან ტანჯული მხარის კულტურულ ცხოვრებასაც დიდად მზრუნველობს.


სტენისმოყვარეობის ერთ-ერთ თოსნად თბილისელ და ქუთათურ მანჯილოსანთა მსგავსად, ბათუმშიც ქალი, — ქეთევან ჟურული გვევლინება, რომლის მეცხებითაც დაიდგა პირველი წარმოდგენა ქართული სკოლის სასარგებლოდ. მანვე მოახერხა მუდმივ სტენისმოყვარეთა შეზოგება. სწორედ ამ ბათუმურ „მუდმივ სტენისმოყვარეთა წრეში“ აღმოჩნდა 1882 წელს რუსეთიდან ჩასული ახალგაზრდა ოფიცერი, შემდგომში გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელმაც თავის მემუარებში — „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმის კულტურული ცხოვრების შესვურთა, — კერძოდ კი პოლიცემისტერ ჟურულის ოჯახის ამავე ფრიად მზიუნებლობანი ადგილ დაუთმო; მწერალი იგონებს ჩიჭორთულად ჩატარებულ პირველ რეპერტიციებს, ქეთევან ჟურულის დედაშვილურ შეგონებას და შეუპოვრობას: იმართობდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ. იდგებოდა გიორგი ერისთავის „გაყრა“ და მე დამაქისრეს გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შეეუდექე როლის სწავლას, მაგრამ ჩემი ჩიჭორთული ქართული მეტად მიჭირებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენის გასატეხად, ცალკე რეპერტიციები მქონდა ხოლმე. ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევიებდა როლს. ათჯერ, ხუთმეტჯერ უნდა გაემეპორობინა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვი-

ყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლებ გაცნალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომამხებდა ხანდახან მოთმინებად-კარგული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარ!“ მეც ძალიან მოწინდებული ვიყავი მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში სელი ნაბიჯით შევდიოდი. ამ მზადების დროს, ერთ-ერთ რეპერტიციან ავეტიცყდა ოჯახის პატრონი და როგორც პოლიცემისტერმა, პიესის ცენზორობა მინდობდა. არ მოეწონა მთურავის ლექსი, ანდუყავდას რომ ეუბნებდა მონამართლზე: ასი თუმცა-თა სულდა-პალატას ხელით ვაქანებ. „და სულდასა, ა იმ კუჭახს, სულ ვაიამაშებ ლეკურბუნასა“. დაიპინა, ეს დავითი ამომშაფოთ, ამის თქმის ნებას ვერ მოგვეცეთ, სანასხურიდან დამოთხოვენი. დიდი შეტაცება მოვივლიდათ ცოლ-ქმარს ამის თაობაზე; ქეთევანმა ჩააჩუმა შემწინებული პოლიცემისტერი. ლექსი არ ამოშლილა!“

...ლექსი არ ამოშლილა! — ეს პირველი და უკანასკნელი წინააღმდეგობა არ იქნებოდა ქეთევანისათვის, მაგრამ იგი ქართული სკოლისა და თეატრისადმი მზრუნველობას თავის დედაცუკურ მოვალეობად მიიჩნევდა და სინდევუების წინაშე ქელს არ იხრია. ცნობილია მისი დიდი ყურადღება ქართველი მსახიობების მიმართაც, რომლებიც ბათუმში უმთავრესად ჟურულუბისა და პეტერ ლონტის ოჯახების იმედით ჩადიოდნენ. დიდი ეროვნული მისია იყო თურქეთის საუკუნოვანი ბატონობისაგან სულ ერთი წლის წინ (1878 წ.) გამოსწილი მხარეში თბილისური წარმოდგენების გამართვა! 1879 წლის გაზეთი „დროება“ ბათუმში ქართველ მსახიობთა მიერ მოღიერის კომედის „ძალად ექიმისა“ და ვოდვილის — „აყალ-მაყალ ცოლ-ქმარის შორის“ წარმოდგენის ამბავსაც გვაძენცობს.

...წარმოდგენებს ქართველი საზოგადოება დიდი ხალისით ესწრებოდა — დუნუნ მიმავალ ცხოვრებას ხანდახან ქართველი არტიტები ასიცოცხლებდნენო, — ცვთხულობთ ისეც დ. კლდიაშვილის მემუარებში, რომელიც მოგვიცხობს ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, მკო საფაროვას, ნატო ვაბუნიას, ალ. ყაზბეგის (სემიონ ლეონიძის როლს რომ თამაშობდა) სტუმრობის შესახებ ბათუმში.

თეატრალური ცხოვრების ტალღა ცილდებდა ინტელიგენციის მიერნა და მუშებამდეც აღწევს. როტიშვილის ქარხნის მუშები თავი-



ანთი დრამურის ხელმძღვანელობას დავით კლიაშვილის თხოვნა.

...ამ მომართვამ დიდად გამახარა და თავამოდებულად შეუდღეკი შეუაობას, — წერს მწერალი, რომელიც ილიასა და აკაკის კვალში ჩადგა და ქართული თეატრის ჭირისუფლად იქცა. ასე იწყება ბათუმში ეროვნული თეატრის არსებობა, რაც ქარაჯული წიგნის ტოლფასოვანი იყო სარწმუნოებაშეცვლილი, მაგრამ დედაენის უერთგულესი აქარელი მოსახლეობისათვის.

1912 წლიდან ბათუმში უფრო თანმიმდევრულად იმართებოდა წარმოდგენები, ხოლო შალვა დადიანმა 1913 წელს შედგენილი ე.წ. მოგზაური დასის სეზონი სწორედ ბათუმში გახსნა.

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1913 წლიდან ბათუმში დრამატული საზოგადოებაც დაარსებულა, რომელსაც პუბლიცისტი ივანე მესხი თავმჯდომარეობდა. ცხადია, საზოგადოების უპირველესი საზრუნავი იყო თეატრი, უფრო სწორედ სათეატრო დასის შენარჩუნება-შემომტკიცება, რასაც, თავის მხრივ, თბილისის დრამატული საზოგადოებაც არ აკლებდა ყურადღებას;

ბათუმის თეატრისათვის ახლობელი გიორგი არადელ-ოშენელის, ალექსანდრე იმედაშვილის, მიხეილ ქორელის, ნუცა ჩხეიძის, ნატალია ჭავჭავიძეის, ცაცა ამირეჯიბის, ცეცილია წუწუნავას, ვერკო ანჯაფარიძის სახელები.

სამუსლიმანო სექარტელოში ქართული თეატრის, — აკაკის ენით, — ამ ეროვნული საკის, არსებობას ღილი საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მუდმივი პროფესიული დასის შექმნა აჭარაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხერხდა, უფრო ზუსტად: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის 18 მარტიდან, აუცილებლად გადასაჭრელ საკითხთა გვერდით დგება თეატრის საკითხიც.

რეკვიმი დრამატული დასის კომისრად ნიშნავს ვასო ურუშაძეს, ხოლო მოადგილედ კირილე მაჭარაძეს. დასს თანდათან შემატეზბია საიმედო ძალები: აკაკი ვასაძე, მიხეილ გელოვანი, შალვა ღამბაშიძე, ემანუელ აფხაიძე, ნუნუ მაჭავარიანი, ვასო არაბიძე, სანდრო ყალაბეგაშვილი, დუდე ძნელაძე, გალაკტიონ რობაქიძე, მარო მიჯინანი, ბორის გამრეკელი, ნიკოლოზ ხორაჯა, რომელთა სახელები მრავალჯერს ქებითა და პატივითა მოხსენებული მაშინდელ ადგილობრივ თურესპუბლიკურ პრესაში. მალე ბათუმის ქაროველი დასი აკადემიურად იწოდება, იგი რუსულ, ასევე აკადემიურ დასთან ინაწილებდა დღეებს ე. წ. მესამე საბჭოთა თეატრში, ხოლო ორშაბათობით ორთავე დასი პირველ და მესამე თეატრებში მართავდა უფასო წარმოდგენებს. ამის თაობაზე მაშინდელ გაზეთ „უწყებებში“ (1921 წ. № 210, 6 XII)

ეკითხულობთ: „აქაირს რეკეომმა მესამე საბჭოთა თეატრი დაამტკიცა ქართულ აკადემიურ თეატრად. ხოლო ქართული დრამა ქართულ აკადემიურ დრამად. დრამას დაეთმო 3 დღე კვირაში. ქართული დრამის შემადგენლობა თითქმის სავსებით; ჩამოყვდა და შეუღდა პეისების მზადებას“.

11 დეკემბერს სეზონი გახსნო ვალერიან გუნისა „ალუმით“ და ვალერიან შალვაშვილის პეისით „გადატყრილი მუხა“.

პირველი რეცენზირება, პირველი ქება, განსაკუთრებით მარო მდივნისა, რომელზეც წერენ — „ნუცა რაინდაძის ოღონი ტოლი არა ჰყავსო“ და რომლის ნიჭი შემდგომ სხვა როლებშიც, განსაკუთრებით კი ქრისტიანში გამობრწყინდება.

მას ასე: ბათუმში გამოცოცხლა თეატრალური ცხოვრება, შეიქმნა სამი თეატრი: ქართული და რუსული აკადემიური დრამა და ოპერა (ოლდისი ბაზაზე). 1922 წლის გაზაფხულზე საოპერო თეატრთან ერთად დაიდა ივანე გედევანიშვილის ზღაპარი — ფერია „სინათლე“ (11 ნაწილი), რომელშიც მონაწილეობდა ბოელი დასი და სახელმწიფო ოპერის ორკესტრი და ქორო საბალეტო დასთან ერთად. ბათუმმა გაიცნო ქართული თეატრის კორიფეები და მომავალ კორიფეთა ასპარეზადაც იქცა. სენაზე ფეხი მოკიდა ეროვნულმა და კლასიკურმა დრამატურგებმა: აფიშებზე ჩნდება სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, შექსპირის „მეფე ლირი“ და „ოტელო“ (ოიდიპოსი, ლირი, ოტელო — იმე-

დაშვილი); სოფოკლესავე „ანტიგონე“ (ილიას „მარჯვარტა გიტეი“, რომელზეც აღნიშნა არება მოიპოვა ცაცა ამირეჯიბმა. ჯერაც არ წაშლილა კვალი იმ დიდ „შთაბეჭდილებასა, ამირეჯიბის ქალმა რომ დასტოვა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვით (ბათუმშიდან „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივ კითხვას თბილისშიც ვადმოუხვეცლებია 20-იანი წლების მიწურულში).

თავიდანვე დღეი ყურადღება მიექცა ეროვნულ დრამატურგებს: იდეატორებსა. შანშიაშვილის „უფროსი კვირი მეფენი“, კ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი — ლევან“, დავით ერისთავის „მეორედ გამარჯვება“, აკაკის „პატარა კახა“, ნიკო შიუკაშვილის „სიმსხინჯე“, ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, დავით კლდიაშვილის „უბედურება“, შალვა ლაღიანის „გუშინდელი“ და „გემეტკორი“, „გემეტკორის“ სათამაშო თეით შალვა მიუწვევით ბათუმელებს.

ბათუმში უნახავს შალვა ლაღიანის „გუშინდელი“ ჩვენს დიდ ანამემამულეს ალექსანდრე სუბაშთაშვილი-იუენის. პეისითა და მიხეილ გელოვანის თამაშით აღფრთოვანებულს, შალვა ლაღიანისთვის წერილიც კი მიუწერია:

„ღრმად პატივცემული და ძვირფასო შალვა ნიკოლოზის ძე, გწერ რამოდენიმე სტრიქონს იმ შთაბეჭდილების ვაგლენის ქვეშ, რომელიც მოვად მივად საუცხოო ტალანტით დაწერილი პეისის „გუშინდელის“ ნახვით ბათუმის სცენაზე. იშვიათია საღამო, რომლიდანაც ესოდენ ნეტარება მიმედოს“.

ხელოვანი ავტორის უწონებს საუცხოო იუმორს, კვანძს, დიალოგს, სიუჟეტს, გაკვირვებული ტიპების სიუჟეტი და ყოველი მოქმედი პირის ცხოველი განსაზღვრებით გახარებული განაგრძობს:

„ყველანი თამაშობდნენ ნიჟერად და ცხოველად, განსაკუთრებით გელოვანი, არასოდეს არ დამაიწყებდა საკვირველი თქმა — „სიძე“.

„გოკონი მხურვალედ და გაძლიერდ ნამდვილ მხატვრული განცდისათვის“.

თქვენი სუბაშთაშვილი-იუენის.

თუ კოტე მარჯანიშვილის მაღალ შეფასებასაც დავუმატებთ — მან „გუშინდელი“ თავისი ზემოქმედების ძალით გოგოლის „რევიზორს“ შეადარა, — შ. ლაღიანის კომედის ღრსება კიდევ უფრო გამოიკვეთება.

ამ სტრიქონებს რომ გწერ, შალვა ლაღიანის კალმით მოხაზული მისივე თავმოწონე პორტრეტე წარმოიძღვება იმ მშვენიერი მოგონებების წყალობით, „რაც გამახსენდა“ რომ დაარქვა: დაღიანი ივონებს საქართველოს მწერალთა კავშირის ჩაპოყალიბებას,

სცენა სექტაკლიდან „ღრო ოცდაოთხი საათი“. კალანდამე — ა. ტაიძე, რიფატა გიგოტიძე — ნ. მესხაძე



რომლის პირველი ქართული წესდებაც მას შეუდგენია და რის გამოც ნიკო ნიკოლაძეს შეუქცია. „თქვენ წარმოიდგინეთ, რა გუნება-ზედაც დამაყენებდა ასეთი დიდი კაცის გამხნეება. ამას ბანი მისცა ცნობილმა მოწინავე პოეტმა კოტე მაყაშვილმა და ამის შემდეგ დიდხანს ყელმოღერებული დაედოლი“.

მართალია, ბათუმისათვის ყოველწლიურად დგებოდა დასი, თბილისელ მსახიობებსაც აგზავნიდნენ, მაგრამ მას მინც ძირითადი, ადგილობრივი ძალები ესაპიროებოდა დასამკვიდრებლად და, ამიტომაც, 1924-25 წლებში გაიხსნა ორწლიანი სტუდია, რომლის მოსწავლეები დროდრო მონაწილეობასაც მიიღებენ წარმოდგენებში. სტუდიის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი მიხეილ ქორელი, ხოლო პედაგოგად პირველი ქართველი რეჟისორი ქალი — ნინო გამრეკელი-თორელი. ქორელიან ერთანდ ბათუმის ხეატრალურ ცხოვრებაში ჩაება ჩვენი სცენის სიამაყე ნუეა ჩხეიძე.

20-იან წლებში ბათუმის თეატრს ღვაწლი დასდეს რეჟისორებმა: ა. ფაღავამ, კ. ანდრონიკაშვილმა, ალ. წუწუნავამ, გ. ყურულმა, ხოლო 1931-32 წლის სათეატრო სეზონი უკვე კოტე მარჯანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული (ამას წინ უსწრებდა 1928-29 წლების ქუთაის-ბათუმის ერთობლივი დასის ხელმძღვანელობა კ. მარჯანიშვილის მიერვე).

საჭირო ვახდა ბათუმის ხეატრის რეორგანიზაცია, არათანაბარი, ჩავარდნილი სეზონის

შემდეგ მისი გადახალისება და ძლიერი სახელმწიფო თეატრის დაარსება.

მარჯანიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნული დრამატურგიის დამკვიდრებას ბათუმის სცენაზე.

„სეზონი გაიხსნება 10 ნოემბერს, პროლეტარულ მწერალ კ. კალაძის „ხატოჯეთი“.

პიესის თემა აღებულია აჭარის ცხოვრებიდან.


სეზონის მსვლელობაში ზოგჯერ პიესაში მონაწილეობას მიიღებენ კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები ე. ანაფარიძე და უშ. ჩხეიძე“ — იტყობინება 1931 წლის ოქტომბერში გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“.

„ხატოჯეს“ მოპყეა კალაძისავე „სახლი მტკვრის პირას“, ა. მაშაშვილის „განგაში“ და „ჩაი“, პ. კაპაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

ასე აღოძინდა ბათუმის დრამა თბილისის სახელმწიფო დრამის რეჟისორთა კოლეგიის და მარჯანიშვილის უშუალო მონაწილეობით. გადაწყდა იქამდე ფრიად მტკონეული პრობლემაც მუშა მყურებლის ფართოდ მოზიდვისა, რასაც ხელი შეუწყო ეროვნული და რუსული თანამედროვე დრამატურგის სიჭარბემ.

მარჯანიშვილისავე ღვაწლია პ. ოცხელის, ე. ახვლედიანის, თ. აბაკელიას ჩაბმა ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში.

დიახ, მარჯანიშვილისეულმა სეზონმა შეამზადა აჭარის სახელმწიფო თეატრის დაარსების აუცილებლობაც, რომლისთვისაც ახალეაობის აღზრდა ს. ახმეტელმა ითავა. რუს-



სცენა სპექტაკლიდან „მეშვიდე ცა“

თაველის თეატრის ბათუმში გასტროლების დროს, 1932 წელს, ახმეტელმა შეარჩია ბათუმის დასიდან საიზელ ახალგაზრდობა და მათთვის საგანგებოდ გახსნა „აჭარის სექცია“ რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში, ახმეტელის მიერ ხელდასმულთა შორის იყვნენ მურად ხინიაძე, იუსუფ კობალაძე, ნუნუ თეთრაძე, ლალი აფხაზავა, ნინო ფხაკაძე, გიორგი ახვლედიანი, ხსან მეგრელიძე, ზორბეგ ღლონტი, ისკანდერ კაკიციშვილი, გრიგოლ კობახიძე, კოსტა კინწუშაშვილი, სულკო თურმანიძე.

ახმეტელის არჩევანი უტყუარი გამოდგა. 21 სტუდიადამთავრებული დასის ძირითად ბირთვად იქცა. პროფესიულ მსახიობებს ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის საუკეთესო მოწაფე, რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი.

ბათუმის თეატრის თავისთავადობაზე, სხავისებურებაზე, ჭეშმარიტ შემოქმედებით აღმავლობაზე სწორედ ამ ეტაპიდან უნდა ვილაპარაკოთ, რადგან ეს არის ძირეული ბათუმის თეატრი, მყარი, დამოუკიდებელი, გააზალგაზრდავებული პროფესიული ჯგუფით, საკუთარი რეჟისურით, განმტკიცებული, გამიზნული, გულდაგულ შერჩეული რეპერტუარით.

ბათუმის თეატრის ეს ახალი ეტაპი, ანუ ახალი წელთაღრიცხვა 1937 წლის 18 მარტიდან იწყება — სეზონი გაიხსნა დიმიტრი ალექსიძის მიერ სტუდიაში დადგმული გიორგი მდიენის პიესით „ბრმა“ და გოლდონის კომედიათ „სასტუმროს დიასახლისი“. ამ

ორი სადბლომო სპექტაკლით ჩაეყარა სწავლადი ფუძეული ბათუმის განახლებულ თეატრის ფუძემდებელი ბათუმის თეატრი მართლაც განახლდა. სა-

მხატვრო ხელმძღვანელი არჩილ ჩხარტიშვილი დგამს ერთმანეთზე უფრო სანტერესო სპექტაკლებს. ტრადიციულად იგიც განსაკუთრებულ გულსყურს იჩენს ქართული დრამატურგიისადმი. იმ პირვანდელი დადგმებიდან მნიშვნელოვანია სიმონ მთვარის „თევზრაღი“, გუგა ნახუცრიშვილის „ალოო კეცხოველი“, ვეა-ვეავეელის „მოკვეთილი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან წამებული“ (სხვათაშორის, ეს დრამა ყაზბეგს ბათუმში ყოფნისას დაუწერია დავით კლდიაშვილის სიტყვით). ამ დადგმებით გამოიყვება რეჟისორის ხელწერა და, ანდენად, თეატრის რომანტიკული გეზიც, რითაც იგი დედათავეტრის ღირსეულ მემკვიდრედ ჩამოაყალიბდა.

ამ რომანტიკულად ზეაწეულმა, კომპოზიციურად მწყობრმა და ორიგინალურმა სპექტაკლებმა მიიყვანა აჩილ ჩხარტიშვილი „ოიდიპოს მეფის“ სრულყოფილ რეჟისორულ გადაწყვეტამდე, იმ მონუმენტურ და სკოპტურულად დახვეწილ ფორმამდე, რა ნიშნითაც გამოირჩევა ჩხარტიშვილის შემდგომი დადგმები მარჯანიშვილისა თუ რუსთაველის თეატრების სცენებზე და მოგვიანებით კვლავ ბათუმში, სადაც მან ისევ ანტიკური ტრავედია — სოფოკლეს „ანტიგონე“ დადგა, რითაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა ბათუმის თეატრის მაღალი, ანუ აკადემიური დონე, ანტიკური ტრავედიის გათავისების უნარი.

სცენა სპექტაკლიდან „მეფილე ცა“





სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი გაღებრუნდება“

ბათუმელთა „ოიდიპოს მეფე“ დღემდე ქე-  
შპარიტი თეატრალური ხელოვნების ნიმუ-  
შია, მარჯანიშვილისა და ახმეტელის სკო-  
ლის შემოქმედებითი განვითარების, მათი  
მემკვიდრეობის გაგრძელების საინო მავა-  
ლითაა.

ბათუმელებს კარგად ახსოვდათ 20-იან  
წლებში გახმაურებული იმდამდისიკული  
ოიდიპოსი და მით უფრო დასაფასებელი  
იყო აღიარება და შეყვარება ახალი ოიდიპო-  
სისა, რომლის ქებათა-ქება სამჭოთა კავ-  
შირის ფარგლებსაც გასცდა.

დიდხანს იცოცხლა ჩხატოშვილისეულმა  
„ოიდიპოს მეფე“. ოიდიპოსის შემსრუ-  
ლებელმა იუსუფ კობალაქემ კი, რომლის  
ბიოგრაფიაც მდიდარია არსენას, ალი-ფა-  
შას, ზაგრატიონის, ზევისბერი გოჩას, ბე-  
ჭირ გურჯანიძის, სოლომონ დიდის, გე-  
ლას, ბახას, ელოშუქის, ჭემელის, ურიელის  
სცენურა სახეებით, ოიდიპოსით საბოლოოდ  
განმტკიცა ტრაგიკოსის ტახტი.

იუსუფ კობალაქე ცალმოდებ რდი იყო.  
ბათუმელები ისევე არ აშორებენ ერთმანეთს  
იუსუფ კობალაძისა და მურად ხინიკაძის  
სახელებს, როგორცდაც თბილისელებმა შე-  
აწყვიტეს ორი აკაკი, როგორც მერე და მე-  
რე იტყოდნენ, — ორი დიდი აკაკის — აკაკი  
ხორავასა და აკაკი ვასაძის სახელები. ამას  
ხელს უწყობდა მათი ხშირი პარტნიორობა  
„მოკვიცილოში“, „კიკვიძეში“, „სამშობლო-  
ში“, „ოტელიოში“, „ოთარაანთ ქვრივში“,  
ორიოდ წლის წინ კი იუსუფ კობალაძის 71  
წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზეც იუ-  
ბილორმა და მ. ხინიკაქემ კვლავ ერთგულად  
გასწიეს უღელი და ვაახსენეს მაყურებელს  
თავიანთი კვიციყოზა, დღენიკოვოზა, იაკოვ-  
ბა. იუსუფ კობალაქე და მურად ხინიკაქე

კვლავაც თეატრის ცხოვრებით ცხოვრობ-  
ენ, საზოგადოება მათ მიმართ დიდ მოწიწე-  
ბასა და სიყვარულს იჩენს. მათი ღვაწლი და-  
აფასეს, მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ სა-  
ხალხო არტისტების მაღალი წოდება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დიდხანს  
იღგა თეატრის სთავეში მურად ხინიკაქე,  
თუმცა დირექტორობა შემოქმედისათვის  
მიმე ტვირთია. მის კამინეტში ილია ჭავჭავა-  
დაძის პორტრეტი ეკიდა და ეს არა მხოლოდ  
იმიტომ, რომ ბათუმის თეატრი ილიას სახე-  
ელს ატარებს, არამედ იმიტომაც, რომ თვით  
იგი, როგორც მოქალაქე და შემოქმედი, მო-  
ქარხულე და მოაზროვნე, სულიერ წინაპარ-  
თა შორის ყველაზე ახლობელ და მისაბამ  
პიროვნებად ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევს.

...ბათუმელებს უთეატრობა ვერც წარმო-  
ელგინათ... მავე დროს, განხეობრებულნი იყ-  
ვნენ ნიჭიერი მსახიობებით. 1925 წელს მარო  
ზღვიანს სასცენო ზოღვაწეობის იუბილე გა-  
ღუხადეს, რომელზეც მსახიობი ქალის საზო-  
გადოებას იმედაშვილმა და რონდელმა წარ-  
ულდინეს. იმ დღეს მარო ზღვიანს, აჭარაში  
პირველს, სახალხო არტისტის წოდება უბ-  
ოძეს.

ფრიად ნიშანდობლივი ფაქტია — აჭარაში  
თეატრალურ ასპარეზზე პირველი უმაღლესი  
აღიარება რომ მანდილოსანმა დიმიტასურა.

ეს იყო პირველი; ახლა კი ბათუმის სახე-  
ლწიფო თეატრის მსახიობ ქალთა შორის  
ბევრი ატარებს არათუ აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის, არამედ საქართველოს დამსა-  
ხურებელი და სახალხო არტისტის წოდებას,  
ესენი არიან: ნუნუ თეთარძე (საქართველოს  
სსრ სახალხო არტისტი). ნახი კეჭეშიძე, ნა-  
თელა წერეთელი, თამარ სულხანიშვილი, ნი-



ნო საყანდელიძე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები), ე. მალაყაძე, ნ. ხინკაძე, ნ. მყავანაძე (აქაირის ასსრ დამსახურებული არტისტები). ამავე თეატრთან საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია გაჰყვა ლ. ყარადაშვილს, რომელიც ახლა მსრჯანიშვილის თეატრშია.

აგაბო ბოვერაძე — ი. ცანავა ;  
(„სანამ ურემი გაღაბრუნდება“).

აწვერად დასში 43 მსახიობია. უფროსი თაობიდან ერთი, — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გორდენ იზნაიშვილი მოულოდნელად გამოაყლდა თეატრს დედაქალაქში წინასაიუბილეო გასტროლებს დროს: მან ხეთი სპექტაკლიდან სამშილა მოასწრო მონაწილეობის მიღება („დრო ოცდამთხი საათი“ — ოლქის გენერალ-გუბერნატორი, „აეტი“ — ხალიბი, „მეცხე წმინდანი“ — ბანკის დირექტორი).



ბათუმის თეატრი ღიდი პატივისცემით ეყიდება თანამოქალაქეთა შემოქმედებას. ბათუმის სცენაზე დაიდგა პირველად პარმენ ლორიას, ვალერიან კანდელაკის, ალექსანდრე ჩხაიძის, ამირან შერვაშიძის, ფრიდონ ხალვაშის, ალექსანდრე სასონიას, შოთა როყვას, ალექსანდრე ლორას ნაწარმოებები. ბოლო ხანებში განხორციელდა ა. სასონიას ახალი პიესა „ჩემი წვიმიანი მზიანეთი“. გასული სეზონის ბოლო პრემიერა იყო ალ. ჩხაიძის პიესა „შთამომავლობა“. პიესა „გზაჯვარედინით“ შედგა დრამატურგის დებიუტი და მას შემდეგ თითქმის ყველა მისი ნაწარმოები დაიდგა ბათუმის თეატრის სცენაზე („ზღაპარ იყო“, „ხილი“, „თავისუფალი ხემა“, „როცა ქალაქს სძინავს“). ალ. ჩხაიძის დრამატურგია გასცდა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც. პუბლიცისტური პირუთუნელობა, სიმპვილე, დრამატურგიული სიმძაფრე, კონფლიქტურობა მის პიესებს თანამედროვე, ქმედითი, მეტრობლი დრამატურგიის რიგებში აყენებს.

სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი გაღაბრუნდება“. ლანდა — ე. აბზიანიძე



რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს რუსულ და უცხოურ კლასიკას, მოამე რესპუბლიკათა დრამატურგიას.

დღეს თეატრის ერთ-ერთ წამყვან ძალას წარმოადგენს იური ცახავა. მისი თეატრალური ნიღაბი მრავალსახოვანია: შეწირულ კაცად თელის თავის თავს გენერალი მაზნიაშვილი. სამშობლოს ინტერესები მას საქართველოდან ლტოლვილთა გუნდს ჩამოაშორებს და მშობელი ხალხის სამსახურში ჩააყენებს 24 საათით კომუნისტების მხარდამხარსა ერთო მტრის — თურქი ოკუპანტების ბათუ-მიდან განსაღვენად. ამ თორნივე ერისთავისებურ თავდადებას, ფიქრსა და მკმუწეაზიუბას, დარბაისლური არტისტული ტაქტიით გადმოგვეცემს მსახიობი. გენერალ მაზნიაშვილისთვის, ისევე, როგორც მომდევნო სეზონში განხორციელებულ პაკი ამბასა და ავაბო ბოვეერაძისთვის ი. ცანავას სეზონის საუკეთესო როლების დიპლომი მიენიჭა.

თეატრის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაში უფროს თაობასთან ერთად დიდი როლი ითამაშეს შუა და ახალი თაობების მსახიობებმა. საქართველოს სსრ სახალხო არტისტების მ. ხინიაძის, ი. კობლაძის, ნ. თეთრაძის, ა. მეგლაძის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების გ. ახვლედიანის, მ. შერვაშიძის, შ. გეჯაძის, ხ. მეგრელიძის, გ. გოგიბერიძის გვერდით დაოსტატდნენ ა. ტაკიძე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), ლ. ლონტი, რ. კაკაურიძე, ნ. მესხიძე, მ. იმწიკრევილი (ავარის ასსრ დამსახურებული არტისტები), მ. ნაპირელი, ს. ახალაძე, თ. ფიცხალაიშვილი...

საკუთარ ადგილს იმკვიდრებს ახალთაობაც — ც. აბზიანიძე, ლ. ჯიბლაძე, ზ. შილაკაძე, ს. ბაზიაშვილი, რ. გელაძე, ვ. ბიბილიევილი, ს. ბაგათელია, წ. ხუხუნიანიშვილი...

დღეს ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი გურამ აბესაძეა. ოთხი წლის მინიმალზე მან დადგა საქაოლ საინტერესო და რთული სპექტაკლები: მ. გორკის „გეგორ ბულიჩოვი და სხვები“, ე. იურანდოლის „მეცხრე წმინდანი“, რ. იბრაგიმბეკოვის „მწვანე კარს იქით ქალი“, ჯ. პატრიკის „უცხოური ქალი“, პ. ზეითუნციანის „ყველაზე მწუხარე კაცი“, მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“, თ. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, თ. ჭილაძის „ბუდე მეცხრე სათულზე“, ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“. ამ სპექტაკლებში ნათლად ჩანს დაუცხრომელი ძიებანი, რეჟისორული კულტურა, ფსიქოლოგიური ალღო, ჩანს სიმართლის ერთგულება. სიმართლის ერთგული მომდევარია ილიას სახელზე ნაუბროთხი თეატრის მთელი დასი, რომელიც თეატრის საუკუნოვან იუბილეს მოესწრო და იმედიაანდ მიაბიჯებს წინ.

# ბათუმელთა საგასტროლო სპექტაკლები

ვაჟა ძიგუა,

ვაჟა ბრეგვაძე

რუსა თეატრი საგასტროლო რეპერტუარს ადგენს, ბუნებრივია, ცდილობს მთელი სისასხით წარმოაჩინოს კოლექტივის მრავალმხრივი შესაქლებლბანი, შემოქმედების მისწრაფებათა მიმართება, რაც შეიძლება თვალნათლივ დაგვანასოს დასის პოტენციალი, თეატრის საუკეთესო მხარეები.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის საგასტროლო აფიშა უთუოდ ითვალისწინებდა ამ აუცილებელ მომენტებს, რაც სარეპერტუარო პოლიტიკის თვალსაზრისით, ერთი შესხედვით, მიღწეულია — აქ ვხვდებით თანამედროვე ქართველი დრამატურგების სამ ნაწარმოებს: თ. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ვ. კანდელაკის „დრო — ოცდაოთხი სა-

თი“ და „აეტი“; გ. ფანჯიკიძის რომანის „მეშვიდე ცის“ ინსცენირებას; მოძმე რესპუბლიკის დრამატურგის ნინოშუპ. ზეთუნციანის „ყველაზე მწუნარე კაცი“, თანამედროვე პოლონელი დრამატურგის ე. იურანდოტის „მეცხრე წმინდანს“ და მ. ბულგაკოვის კლასიკურ ნაწარმოებს „სრაბოლას“, რომელიც პირველად განხორციელდა ქართულ სცენაზე.

სავსატროლო რეპერტუარის ძირითად ნაკლად მიგვაჩნია, რომ თეატრმა ვერ მოახერხა უახლესი თანამედროვე დრამატურგის თუნდაც ერთი ნაწარმოების წარმოჩენა, რაც ასერივად საჭირო და აუცილებელი იყო.

გასტროლები მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია იგი იმით, რომ თბილისელებს სამკუთხედზე შეეცა, საკმაო ინტერვალის შემდეგ, გაეცნობოდნენ ბათუმელთა ახალ ნამუშევრებს. თეატრის ჩამოსვლის მნიშვნელობას აძლიერებდა ის ფაქტორიც, რომ ეს არ იყო რიგითი გასტროლები, არამედ იგი მიძღვნილია თეატრის ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ თარიღს — მისი დაარსების 100 წლისთავს. თითქმის სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე გასტროლები მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გაიშარდა ამ ორ თეატრს 50 წლის მეგობრობა აკავშირებთ, კოტე მარჯანიშვილმა სწორედ ქუთაის-ბათუმის თეატრის ბაზზე ჩამოაყალიბა მეორე სახელმწიფო ქართული თეატრი, რათაც დიდი ამაგი დასდო ბათუმში თეატრალური ცხოვრების აღორძინებას. აქედან იწყება ბათუმის თეატრის საინტერესო დღეები, დირსშესანიშნავი პერიოდები. სხვადასხვა დროს ბათუმში მოღვაწეობდნენ ქართული რეჟისურის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც: დიმიტრი ალექსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი, ვახტანგ ტაბალიაშვილი, შალვა ინასარიძე და სხვ. შეუძლებელია სათანადოდ არ შევაფასოთ სანდრო ამხეტელის დიდი ღვაწლი ბათუმის თეატრისათვის სამსახირო კადრების აღზრდის საქმეში.

ბათუმის თეატრი მუდამ საგანგებო ყურადღებას უთმობდა ქართულ დრამატურგიას თითქმის ყველა თეატრალურ სიუჟეტი ფართოდაა წარმოადონილი ქართულ მწერალთა ცალკეული ნაწარმოებები. ერთნაირი დრამატურგიისადმი აქტიური დამოკიდებულება იმითაცა გააზიარებულა, რომ თანამედროვე ქართულ წამყვან დრამატურგთა უმრავლესობამ სწორედ ბათუმის თეატრს სცენაზე განამარტოვლა თავიანთი პიესები.

გასტროლები გაიხსნა ოტია ოსიელიანის ემედიით „სანამ ურემი გადამბრუნდება“, რომელსაც მოედინა და გახმაურებულ სცენურ ისტორია გააჩინა პრობლემა, რომელიც ამ ნაწარმოებშია დასმული. იმდენად აქტუალურია, რომ მისდაპირ

ინტერესი დღემდე არ განულებულა. არსებობს ამ პიესის სცენურ ინტერპრეტაციის უამრავი განსხვავებული ვარიანტი. ბათუმის თეატრის დადგმაში რეჟისორმა გურამ აბესაძემ თავისებურ გზას მიაკვლია — მან ზუსტად ისე გაიანარა სპექტაკლი, როგორც იგი ავტორმა აქვს წარმოდგენილი. პიესა პირველად რუსეთის თეატრში თეატრში გახორციელდა, ეს იყო 1969 წელს. მას შემდეგ ათი წელი გავიდა, როგორც იტყვიან „ბებრა წყალმა ჩაიარა“ და ეს გარკვეული ძვრები სპექტაკლში უნდა ასახულიყო როგორც ცხოვრებისეული, ასევე თეატრალური ასპექტით. აქ კი ყველაფერი ათი წლის წინანდელი განწყობილებით სუნთქავს, რაც ერთგვარი რესტრუქციის სახითაც მატარებელია.

სპექტაკლში არ გვაოცებს მიგნებები, სახითების გამოკვეთის მოულოდნელობანი, სცენოგრაფიაც (მხატვარი აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ფლიბაუვი) არ გამოირჩევა „აბსტრაგირებული“ მიდგომით — ყველაფერი ტრადიციული, ყოფითი, თუმცა ღრმად ცხოვრებისეულია და მიმართულია ძირითადი სათქმელის, ავტორისეული აზრის გამოსაკვეთად. იმერული ოდა, ჭურის თავი, სასიმინდე, კალოზე დაგდებული ურეში ქმნიან კოლორიტულ გარემოს, რაც ბუნებრივ ფონს უქმნის და ეხმარება სპექტაკლის მონაწილეებს.

სპექტაკლში განსაკუთრებით გამოირჩევა ორი აქტიორული ნამუშევარი — ნ. წერეთლის კვანარია და ი. ცანავას აგაბ ბოგვერდი. მასობრივი მოქმედებენ ორგანულად, დაუსაბავად, შესანიშნავად აქვთ დამყარებული ურთიერთობები; თვით უსიტყვო სცენებშიც კი იმდენი სიღრმე, აზრი და გულწრფელი დამოკიდებულება გამოხატავენ, რომ ისინი ახერხებენ სრულყოფილად წარმოგივადგინონ თავიანთი გმირთა სცენური ცხოვრების უწყვეტი მთავანობა.

აგაბ ბოგვერდამ ქართველი გლეხკაცის ერთნაირი ყველაზე კოლორიტული სისხლსავსე და მართალი სახეა, რაც დღემდე შეუქმნია ქართულ დრამატურგებს. ამ გმირს აწუხებს ზღაპრული თავისი მიწა, მისი ბრძნული დამოკიდებულება მომაგლთან იმდენად სიღრმისეულია, რომ შემდგომ მთელი სახეადით გამოჩნდა კიდევ მისი ზოგადსაკაცობრივი მნიშვნელობა. ანტიკონკრეტულია და პიესამ დამაჯერებელი სცენური სიტუაცია არა მარტო ჩვენი, არამედ მრავალი ქვეყნის თეატრებს სცენაზე.

ბათუმის თეატრის აგაბ ი. ცანავას შესრულებით ყურადღებას იპყრობს ქართველი გლეხკაცისათვის დამახასიათებელი ცხოველყოფითი იუმორის განსაკუთრებული ხასხასაობა. რის მემკვიდრეობაც ძალდაუტანებლად ახერხებს სუსტი აქცენტრებით აღნიშნის თავიანი გმირისა და, აქედან

გამომდინარე, მთელი სპექტაკლის ხაზის საკვანძო მომენტების წინშეგდება — პირველი და ძირითადი, რომ სოფლის ასე უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება, გამოიყენონ ტიპურები თავიანთ პატრონებს ვლიან, ინერტულითა და გულგრილობა კი ვერაფერ სიციფეს მიიტანს.

ი. ცანავას ავაბო გამოირჩევა, აგრეთვე, ფიზიკური და სულიერი სიმხვევით. როდესაც უყურებთ მის სცენაზე, გჯერათ, რომ იგი საკუთარი მაგალითით შეძლებს რწმუნა ჩანურგოს და შემოაბრუნოს სოფლისაგან ზურგმუცველი ადამიანები. ავაბო-ი. ცანავას თითოეულ სიტყვას თვითდაჯერებული და ჯერ კიდევ რწმუნებაუტყვებელი კაცის ყველაფერი დაჰყვება. ფინალურ სცენაშიც კი, როცა ყველა მიატრევებს და მარტო რჩება კუასარასთან ერთად, იგი ინარჩუნებს იმედის ნაპერწკალს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველა გზა წაიშალა მისთვის.

დახვეწილი აქტიორული ნამუშევრით წარმოგვიდგა ნ. წერეთელი კუასარას როლში. ზომიერი კილორითი, ნიუნსთა მრავალფეროვნება, მოზომილი ემოცია, ღრმა ადამიანური ტკივილი, სოფლის მოუცვლელი და გადაღლილი დიასახლისის რიტმი — ყველა ეს გამომსახველობითი ხერხი გეოთვნივითა და ტაქტიკით გააბთლიან ნ. წერეთელმა თავისი გმირის ხასიათის გამოსაკვეთად.

მსახიობმა შესანიშნავად ჩაატარა უმცროსი ვაჟის „გაბედნიერების“ სცენა. მისი შეცხადება, გულის შეღონება, მომავალი ნათესავების „შერიხსება“ ისეთი დამაჯერებლობითა და იმერული ხასიათის წარმოჩენითაა მოტიანილი, რომ ნ. წერეთელმა შეძლო იუმორთან ერთად ამ გარკვეული კონკრეტული მომენტის „ტრაგეზიმში“ გამოკვეთა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, სხვადასხვა დროს, გვეხანა მრავალი კუასარია, მაგრამ თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი თბილი, რბილი, მგრძობიარე და ამავე დროს, კოლორიტული, როგორცია ნ. წერეთლის კუასარია, დღემდე არ შეგვხვედრია.

ნათლად ჩანს, რომ რეჟისორმა მთელი თავისი ყურადღება ამ ორი ძირითადი გმირის ხასიათის გახსნისაგან წარმართა. ასეთი ცალმხრივი მიდევნებით ერთგვარად გაუფრთხილნენ სხვა პერსონაჟები, რომელნიც არცთუ ურთოდლა გამოკვეთილი დრამატურგის მიერ. შვილებისა და რძლების სცენაში დარღვეულია ჟანრობრივი „წონასწორობა“. საესტეტიკო გასაგებია, როდესაც რეჟისორი რძლების სამუშაოდან დაბრუნების სცენას გროტესკულ პლანში გვიავაჯობს, მაგრამ თუკი გროტესკი შარჟის დონემდე უშვება, აქ უკვე მიზანი მიუღწეველია. გარდა ამისა, გაურკვეველია ხაზი შვილებისა და რძლების ურთიერთობისა, არ არის ნათლად გამოკვეთილი მათი პოზიცია, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, სერიოზული სათქმელი ზედაპირზე აღმოჩნდება ხლმე.

გამოჩნეული და პრივილეგირებული დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ლანდს (ც. ბაზიანი-

ძე) მიმართ, რაც, სამწუხაროდ, ვიზოლდურ, ზერელე ხასიათს ატარებს მსახიობები: ო. ფირცხელა-ნილი (იოველი), ს. ბაზაშვილი (დიტო), ს. ახალაძე (დურმიშხანი), ხ. ბაკაიელია (კოკოლა), ე. მალაყმაძე (ქუქუნა) სრულყოფილად ვერ ხსნიან პერსონაჟთა ხასიათებს, ისინი მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებში ახერხებენ სიმართლესთან მიახლოებას. რაც შეეხება კარპეს, სოფლის ამ „ადგილობრივ დამნაშავეს“, რ. კაკაურიძის შესრულებით — აქ თითქოს ყველაფერი კიბეზა, ხალისიანი, აზარტული განწყობილება, კომიკური სილაღე, მაგრამ კარპეს ყველა შემოსვლა სპექტაკლში დამოუკიდებელ სესტრადო ნომრად იქცევა.

სცენური სიმართლე და უშუალობა ახლავს ზ. შილაკაძის ბუხუტის და მ. ხუხუნაიშვილის ცაკოს.

საერთო მილიანიბაში სპექტაკლი „სანამ ურები გადაბრუნდება“ გამოირჩევა დახვეწილი ფორმით. იმ ადამიანურ ტკივილს, რაც პიესაშია გადმოცემული, შესატყვისი განწყობილება აქვს მოძებნილი, რომელმაც შეუძლებელია არ შეგძრას და არ დაგაფიქროს.

საგასტროლო რეპერტუარში ვალერის კანდე-ლაკის ორი პიესაა წარმოდგენილი — „ღრო — ოცდაოთხი საათი“ და „ვატი“; რაც შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ. ე. კანდელაკი ბაიუმის თეატრის პირმშობა და მისი შემქმნელება მკობრულაა დაკავშირებული მასთან.

„ღრო — ოცდაოთხი საათი“ ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესაა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების რთული პერიოდია ასახული. ძველისა და ახალი დროების განსაზღვრული ერთმანეთს ეჯახება ორი განსხვავებული მსოფლმხედველობის ძალა, სადაც ადგილი ეთმობა ძლიერს, პროგრესულს, მაგრამ როდესაც ეს ორი ძალა საერთო მტრის წინაშე აღმოჩნდება, ხდება მათი დროებითი კონსოლიდაცია, რომელშიც საშობლობის სიყვარული, ზნეობრივი სიწმინდე იღვერი მრწამსის საფუძველი ხდება. ავტორი სერიოზული დისტანციიდან ჭვრეტს ამ მოვლენას და ამას გარკვეულ სცენებში პერიოდიული კომედის სიმშუბუქით გამოხატავს, სადაც ახალგაზრდა რიფთაა გოგიბრები გაორბული ისტორიულ პერიოდში თავისებური გულმურყვილობით აფასებს ყველა კონკრეტულ შემთხვევას. ამ დროს იქნება განსაკუთრებული სიყურად სირთულე: რეჟისურამ აქ უნდა შეძლოს სერიოზულობა და „არასერიოზულობა“ უმტკივნეულო შესამება, უნდა შექმნას მათი ერთად არსებობის ლოგიკური საფუძველი.

ბათუმელთა დადგმაში ეს სირთულე ძალაში რჩება. ახალგაზრდა რეჟისორმა დ. ხინვაიამ ვერ შეძლო ქრონიკაში ასახული ამბების ლოგიკური დაკავშირება ისე, რომ განწყობილებათა მოხაზულობა და რიტმი სპექტაკლისა ურთიერთგაუმრავ-ში აღმოჩენილიყვნენ. ზოგიერთი მონაკვეთი

მოკლებულია სცენურ დამაჯერებლობას. მაგალითად, გაუგებარია და ბუნდოვანი რიფთაოს სიკვდილისა და მკვდრებით აღდგენის სცენა. მოქმედ პირთა უმრავლესობა რიტორიკული სიყალბით, მოჩვენებითი იმპოზანტურობით გამოირჩევიან, რასაც არაბუნებრივი ინტონაცია და პლასტიკური გამომსახველობა შეაქვს სპექტაკლში.

მთელი რიგი სცენები (დინა ვაჩნაძის სალონი, არმიის შტაბი) გამოირჩევა შინაგანი სისავსით; ემოციურობით და, აგრეთვე, კარგადაა გამოხატული მოქმედების არსი აქტიორული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ი. ცანავა (გენერალი მაზნიაშვილი), გ. გოგიბერიძე (ანდრონიკაშვილი), ა. ტაკიძე (კალანდაძე), ნ. მესხიძე (რიფათა), მ. შერვაშიძე (სუმბათაშვილი).


მყარი ხასიათის პიროვნება, თავის ძალებში ღრმად დარწმუნებული, უნაგარო, ნამდვილი მამულიშვილი — ეს თვისებები გამოვყვთა ი. ცანავამ თავის შესრულებაში. გენერალი მაზნიაშვილი განსაკუთრებული მოვლენა საქართველოს ისტორიაში, რომელსაც საშუალება მიეცა უაღრესად დაძაბულ, ზედმიწევნით კრიტიკულ მომენტში ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მიეღო, რაც მან შეასრულა გულის კარნახით, როგორც თავისი ქვეყნის ერთგულმა ჯარისკაცმა მსახიობი თავისი გმირის სცენური ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მომენტებს სადად, შინაგანი სიდარბაისლით და ლოგიკური სიმტკიცით წარმართავს.

სპექტაკლის ერთ-ერთ საყურადღებო სცენაში, დინა ვაჩნაძის სალონში, მსახიობი გ. გოგიბერიძე სწორად გადმოგვცემს დაძაბული სიტუაციის განწყობილებას, შინაგან აპათიას და, საერთოდ იმ განწყობილების საშიშროებას, რომელიც ირაკულივ სუფევს.

ამაყი, გულცივი და თავისი რწმენის შეუვალობაში დარწმუნებული გენერლის სახე შექმნა მ. შერვაშიძემ სუმბათაშვილის როლში.

ექსპანაიურა, სწრაფი ფეთქებადი ხასიათის — ასეთია ა. ტაკიძის კალანდაძე.

რიფათას მსკავსნი, მოხვედრილი რეოლუციური კატაკლიზმების პროცესში, არაერთი შეგვიძლია გაავსენთო ლიტერატურიდან როგორც წესი, ისინი ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანთა საუკეთესო თვისებებს ამტკიცებენ და თავიანთ არჩევანს მათთან მეგობრობაზე შეაჩერებენ ხოლმე, რომელთაც ყველაზე მეტად სწამთ მომავალი ცხოვრების სიკეთისა. რიფათას თავიდანვე უმართლეს, როდესაც იგი პროგრესულად მოაზროვნეთა ბანაკში აღმოჩნდება. ის იუმორი, რომელიც მის პიროვნებას თავიდან ბოლომდე გასდევს, განტივრთავს და ერთგვარად ამსუბუქებს დაძაბულ სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს ქართული ქრონიკის ეს მძიმე დღეები მსახიობი ნ. მესხიძე ყველა იმ თვისებას ფლობს, რაც რიფათა კოლექტივის ბუნების გახსნისთვისაა საჭირო — ხალაზი



სცენა სპექტაკლიდან „აეტი“, აზო — მ. გევაძე, ცამკუში — მ. შერვაშიძე

სცენა სპექტაკლიდან „აეტი“. აეტი — ი. ცანავა, სერაფიტა — ც. აბზიანიძე



იუმორი, უშუალობა, კომიზმის განსაკუთრებულ გრძობა და სცენური თავისუფლება.

სცენოგრაფია (მხატვარი აჭარის ასრ კულტურის დამსახურებული მუშაკი თ. წურჭავაძე) ხსოვდნ ფორმალური ფუნქციის მატარებელია. თანედან თითქმის იკვეთება ჩანაფიქრის კარგი საწყისა (გემისა და სანახადგურთ შუქურის მიზნისა, მაგრამ ამის სპექტაკლში გათამაშება ვერ მოხერხდა). მასხიბობებს არა აქვთ თავისუფალი სამოქმედო არე, რაც თავისთავად ხელს უშლის მოზანსცენების კომპოზიციურ გამოზისაველობას.


თეატრმა უნდა განაგრძოს ამ პიესაზე მუშაობა, სპექტაკლს ღოუქებნის ზუსტი ჭანრული გასაღები, რომელშიც გაწონასწორებული იქნება მონაცვლეობა ერთმანეთის საპირისპირო სიტუაციებისა და, ამასთან ერთად, უფრო მეტი ტკივილი იქნება მოტანილი ტრაგიკული ბედის ადამიანების მიერ. რომლებიც ახალი დროის წინაშე დანან და მიიხე წუთებს განიცდიან.

„იტიკ“ იძლევა სტილიზებული დადგმის საშუალებას, რაც რეჟისორ ე. ჩაიძეს მაქსიმალურად გამოუყენებია. პიესაში უხვად გაბნეული აფორასტიკული თქმები, შეგონებები, შედარებები ზოგჯერ საგრძნობლად აფერხებს მოქმედების განვითარებას, რაც თავისთავად მაყურებელს უშლის ნაწარმოების ტექსტის აღქმას, რომელშიც იგი დიდი ყურადღებითაა ჩართული. ზედმეტ სამკაულად ახლავს პიესას და, შესაბამისად, სპექტაკლსაც თანამედროვე ახალგაზრდების ინტელიგენტულუ-

რი დიალოგი. დრამატურგი ამ პიესაში შეეცადა გადმოეცა ურეში ძალის პრინციპის წინაშე ხსნობ. რივი დაეცემლობის შემაზრუნეი სურათი, რაც მიღწეულია. ამ ძირითადი ამოცანის დაძლევის წყალობით კარგადაა გამოკვეთილი მოქმედ პირთა ხასიათები.

დამდგმელმა რეჟისორმა ე. ჩაიძემ შესძლი რთული ნაწარმოების სცენური ორგანიზაცია, სადაც კონკრეტულ ამოცანებში მოქმედი ღოქმედება მსახიბებისაგან აქტიურულ შესაძლებლობათა სრულ გამოფენის მიზნითვის პლასტიკა, მხატვრობა, კოსტიუმება, განათება-მუსიკალური გაფორმება ერთ სინთეზშია მოქცეული, რითაც მიღწეულია ერთიანი აზროვნება რეჟისორულად აღორ და მსახიბი თეატრ განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში გამოჩნდა. რიტმის გრძობა, ხასიათებში ჩაღრმავება, დიალოგის წარმართვის ოსტატობა ნათლად იგრძნობა სწორედ პირველ მოქმედებაში. მეორე მოქმედება ამ მხრივ ნაკლებათანაბრდება, რაც დრამატურგიიდანაც გამომდინარეობს. რეჟისურა აქტიურად უნდა ჩარეულიყო დრამატურგიული ტექსტის შეცვლაში და ანტიკური ტრავედიის დარად გაცილებით მოიგებდა, რომ პიესაში მოტანილი ამბავი ერთ მოქმედებაში ჩაეტია, რითაც კომპაქტურს გახდიდა სპექტაკლს და ამით, ნაწილობრივ, ბუნდოვანებასაც ჩამოაცილებდა ამ ნაწარმოებს.

მეორე მოქმედების არსებით ნაკლად მიგვაჩნია უკვე დამცხალი ვნების ღელახალი გაღვივება, გმირთა გამოკვეთილი ხასიათებისაგან



კვლავ მიბრუნება, რაც ზედმეტი ილუსტრაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სექტაკლი შექმნილია ძლიერი სახეები. ავტორი ცანავეს შესრულებით წარმოვიდგა როგორც ტიტანური ძალის, სატანური ბურების და ანასთანავე, ადამიანური სისუსტეების შემცველ პიროვნებად. მსახიობი კარგად მოქმედებს მისი გმირის ხასიათის ამ საწინააღმდეგო ზღვრებზე; გადახვედები ერთი განწყობიდან მეორეში ამოღიანებს აქტის ხასიათის მრავალმხრივობას.

ზინაჯანი დაბაბულობა, ტუქანრამენტი, გარეგნული დახვეწილობა ახლავს ა. ტაკიძის იერადობს. მსახიობი თავის გმირს ტრაგიკული ფერებით ვეინატავს. იერადობს ა. ტაკიძის შესრულებით წარმოვიდგება პიროვნებად, რომელსაც ძალაღაც შესწევს და ნიჭიც, მაგრამ აკლია გამბედაობის ის ერთადერთი საბიჯი, რომელიც მას გმირობასთან დააახლოვებს. იერადობის სახიათის ეს მნიშვნელოვანი ნიუანსი მსახიობის ყოველთვისაა წინა პლანზე აქვს წამოყვლილი.

შესანიშნავი, მეტყველი პლასტიკის წყალობით ც. ამხანიძემ სერაფიტა ქალური მომხიბვლელობის, დემონური საწყისის ცბიერებისა და ამორთალური სითამამის მრავალსახეობაში წარმოვიდგინა მხოლოდ, მსახიობს უნდა ვუსაყვედურთო სცენური მეტყველების არასასურველი დონე.

ნიკოლისტური დამოკიდებულება, ფორმის მკვერად შეგრძნების უნარი. კომიკური, სიტუა-

ციების ზომიერად მორგება ახასიათებს მ. შერვაშიძის თამაშს ცამუქემის როლში.

დაბნეული, მშინარა, ორაბირი, მამაბეული, მომხვეჭელი — ასეთად წარმოვიდგინა ს. ხაზინაშვილმა ახო ამ მსახიობის სცენური სიმართლის გრძნობა გააჩნია, რაც კარგად გამოავლინა ამ სახეში.

თეატრის საინტერესო ნამუშევართა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ე. ირანდატის „მცხრე წინდანი“. ეს პიესა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ბრეტტისეული განწყობილებითაა დაწერილი, რამაც განაპირობა რეჟისორული ჩანაფიქრის ბალანსური ფორმა. გ. აბესაძე მიმართავს გროტესკს. არ ურიდება ხსენებულს, ფერების გამუქებას, მაგრამ ვაგოსახვის ეს საშუალებები იფეთქიხური როლია. არამედ ორგანულ კავშირშია ნაწარმოების არსის გამოვლენასთან, რომ მხოლოდ სულეურად სუბტაქ ვაგოსახვის შეუღლიათ იხსნან სამყარო დაღვრისაგან. ვაგოსახვის ეს საშუალებანი ხელს უწყობს, ავრთვევ, პირობე-მური ხაზის წინ წამოწევას — თუ რაოდენ რთული დადგინდეს მოდელი წესრიგებისა, პარმიონული პიროვნებისა. ეს გზა მინც კომპრომისულია — არ არსებობს აბსოლუტურად დადებითი პიროვნება, ცხოვრება მინც თავისთავად აკეთებს, ზედნადები შექმნილია წინააღმდეგობათა დაძლევის გზაზე და იგი ადამიანის თვისობრივ ნაწილად იქცევა.

(ჯეოსირმა თანავატრობაც არ ითავილა — ორი გამოვლილი პერსონაჟი შეიყვანა სექტაკლში, რომელთაგანაც ერთი — მდაბო მასის სიმბოლური წარმომადგენელი (ნ. წერეთლის შესანიშნავი შესრულებით) ორგანულად შეერწყა სექტაკლის შინაარსს; იგი რეჟისორული ჩანაფიქრის მკვეთრი აქცენტის გამოხმატველია არსებითი მონაკვეთების ფინალში, როგორც მოვლენათა შედეგად და მიაი შემფასებელი. თუ პირველი წმინდა ადამიანური საწყისის წარმომადგენელია, ცნობისმოყვარეობის გარკვეული დოზით, მეორე პერსონაჟი სატანისეულია. რომელიც რეჟისორმა პანტომიმის საშუალებით შეიყვანა მოვლენათა განვითარებაში. მიუხედავად მსახიობ ზ. შილაგაძის კარგი პლასტიკური მონაცემებისა, ამ გამოვლილმა პერსონაჟმა ვერ გამართლა თავისი არსებობა. სექტაკლში იგი „უცხო მოვლენად“ იქცა. ვერ გაყვია დრამატურისეულ ჩანაფიქრს ამას ისიც დამატა, რომ წარმოდგენაში შესამწინეად მოუწესრიგებელია მასობრივი სცენები, რომელნიც მოკლებულნი არიან ფუნქციონალურ დაინშნულებას. შქაბამისად არ გააჩნიათ შინაგანი დინამიზმი და კომპოზიციური წყობა. ერთადერთი გამონაკლისი წარმოადგენს სცენა საყდარო-სა, სადაც ყველა კომპონენტი — მხატვრობა, განათება, მუსიკალური თანხლება გემოვნებითაა შეხამებული; ემოცია ისეთი დიზიოთია მოწოდებული, რომ გარეგნული გამოსახვისა და აზრის

სცენა სექტაკლიდან „მცხრე წინდანი“



ურთიერთშერწყობის მიხედვლ ნიშნულად აღიქმება. სპექტაკლი მკვეთრი კომედიური სახეები შექმნეს: მ. გოგობერიძემ (ზაორავაველი), რ. კაკაურიძემ (აზარია), მ. შერვაშიძემ (ხოდი), ი. ცანავამ (პატიკ), ნ. კეკელიძემ (ივრასა), ი. ჯობიაძემ (ავიჯი), ნ. აბზიანიძემ (ცილა), ნ. საკანდელიძემ (ასსა). თითოეული მათგანი თავის გმირს უკუბნის დამახასიათებელ შტრიხებს, განსხვავებულ პლასტიკურ მონაზახს, შინაგან რიტმს და ვაწყობობებს.

პერჩ ზეითუნციანის ტრაგიკომედია „ყველაზე მწუხარე კაცი“ დოკუმენტურ მასალებს ემყარება. ნაწარმოებში კარგად ჩანს, რომ ვერკავითარ ძაღს ვერ შესწევს უნარი, ჩაგლის საღი ასრის განვითარება; შეიძლება შეაფერხოს იგი, მაგრამ მისი სიცოცხლესუნარანიზობა იმდენად ძლიერია, რომ თავის გამოატყულებას მაინც იპოვის. გამოგონილი ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც დემოკრატია სიტყვით ეგველუცება, ხოლო ბიუროკრატული აპარატით ყველა დანერგვას ქმნის ნორმალური ცხოვრების განკარგვისთვის, გზას უზომბს საღი ასრის გამოვლენას. დრამატურგი დაახლოებით მიგვანიშნებს ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთ სახელმწიფოზე, ეს იცე — კოლორიადისთვის. ბოროტ პიესაში ასახული მოვლენები თურქუაზიული ყოფის განზოგადებად გვევლინება.

პიესაში ორი ნაკადი შემოდის — ერთი, რომელიც დაკავშირებულია სტრუქტურის ცხოვრებასთან, მის მოვლენებთან, რაც ფსიქოლოგიურ პლანშია წარმოდგენილი, მეორე კი — გამოგონილი სახელმწიფოს პრეზიდენტთან თავისი ბიუროკრატული აპარატით, რომელსაც გროტესკული სიმწვავე ახლავს. ეს ორი ძირითადი ხაზი ქმნის გარკვეულ სადადგომ სირთულეს და, ამასთანავე, მრავალმხრივ საინტერესოა რთული სცენური ამოცანების სორცმესამის მისაღწევად.

დრამატურგს საინტერესოდ აქვს გააზრებული პიესაში სტრუქტურის სახე. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ რაიმე ორიგინალური სახელე კჭონდეს მწერალს ამ სახის გახსნაში, მაგრამ თავისთავად მწერლისეული დამოკიდებულება წრფელია, ის ბოლომდე თანაურწინობს გმირის როგორც ადამიანურ სისუსტეებს, ასევე გადაუჭარბებულად წარმოაჩენს მის კეთილ ბუნებას, რითაც ხასიათს ხელშესახებს ხდის.

სპექტაკლის ყველაზე დიდი წარმატება რეჟისორ გ. ანესაძის თავისებური თეატრალური რიცია, როცა მან ახალგაზრდა მსახიობის ზ. შილაკაძეს სტრუქტურის რთული ფსიქოლოგიური სახის გახსნა დააკისრა. ზ. შილაკაძის შესრულება გამოირჩევა დრმა ადამიანური განცდით; მის ყველა ქმედებაში გამოსტყვივის სიკეთე, შეუცნობელი სვედა, რომელიც თან სდევს მას პერმანენტულად. შესაძლოა მსახიობის ინტონაციებში მონოტონურობაც გამოვითვდეს, მაგრამ ეს მონოტონურობა განპირობებულია მისი გმირის

დიდი მწუხარებით, დრმა ხულეირი ტკივილითა და ბედისაღები ინტელიგენტური მორწმობით. მსახიობის თვალბში მოცლი სპექტაკლის მანძილზე აირველება სიმართლისადმი რწმენა. ზ. შილაკაძის სტრუქტურ თანდათანობით ბერდებს და ეს პროცესი ისეთა ორგანელობით მოაქვს მსახიობს, რომ ფინალში იგი აღძრავს უსომო თანაგრძობას, ვინაიდან ჩვენს თვალწინ გაიარა ერთი ადამიანის მძიმე ცხოვრებამ ახალგაზრდობიდან დრმა მოხუცებულობამდე.

სპექტაკლი სტრუქტურის სამყაროს უპირისპირდება პრეზიდენტი და მისი ბიუროკრატული აპარატი. რეჟისორი შეეცადა, რომ ეს სახი გროტესკისთვის დამახასიათებელ რიტმში წარემართა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია ცალკეულ შემსრულებლებს — გ. გოგობერიძე (პრეზიდენტი), ს. ახალაძე (პრემიერ მინისტრი), ნ. იაობიძე (სამართლიანობის მინისტრი), ნ. მესხიძე (რთული სიტუაციების მინისტრი), ნ. მცხვანიძე (დელუკატურა სიტუაციების მინისტრი) დვტალეში მოაქვე ეს განწყობების მაგრამ ხასიათების მთლიანობას ვერ აღწევს.

სერიოზული პრეტენზიები უნდა წაუყვენოთ ციხის ზედახვედგელის როლის შესრულებელს ს. ზაზიაშვილს. ეს სახე თან გასდევს სტრუქტურის ცხოვრების გზას, მასთან ერთად განიცდის ხასიათის ტრანსფორმაციას, თანამონაწილეა მისი ხულიერი ტანჯვისა და ეს ყველაფერი უნდა ჩანდეს მსახიობის შესრულებაში ს. ზაზიაშვილი კი მხოლოდ უკონტროლო, ისტერიული ყვირილით, ყალბი პათეტურობით ცდილობს თავისი პერსონაჟის გააზრებას, რაც, რა თქმა უნდა, სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღება.

დიდი მორალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აკისრია გვას სახეს. მსახიობი გ. ანზიანიძე უღრესად პლასტიკური და სასიათუნია ამ როლში, მოაქვს ემოციური ხაზიც. მაგრამ საკვანძო მომენტები ზერედედა გამოგვეილი მსახიობის მიერ, სიტყვის მნიშვნელობა ნაკლებადაა წინაწამოწეული.

რეჟისორმა გ. აბესაძემ შეძლო პიესის იდეური მხარის წინ წამოწევა, სპექტაკლი გამსჭვალა პოეტური სვედით, მაგრამ თავისი მისაფერხის განმტკიცებას თავად შეუძალა ხელი სპექტაკლისთვის სრულიად მიუღებელი „ზონგების“ შემოტანით. მართალია ც. აბზიანიძემ და ა. ტაკაიძემ ჩინებული ვოკალური მონაცემებიც მისაწმენდებლად კულტურა გამოამტყვევეს, მაგრამ იგი ვერაფრით ვერ მიესადაგა სპექტაკლის საერთო ანწყობილებას, ამასთანავე, „ზონგების“ ხშირმა გამოყენებამ საგრძობლად გააჭიანურა სცენური დრო, რამაც გამოიწვია რიტმის მოღუნება და რაც მთავარია, არასაკვირო პაუზები შეიტანა მოქმედების განვითარებაში.

თვით ის ფაქტი, რომ თეატრმა ხელი მოჰკიდა რქით რთულ და აღიარებულ ნაწარმოებს, როგორიცაა მ. ბულგაკოვის „სრბოლა“, ნიშნავს, რომ

კვლავ ძალაში რჩება მისწრაფება — შევედითს მნიშვნელოვან კლასიკურ ქმნილებებს და პირველ — სუბური ინტერპრეტაცია კართულ სცენაზე მას ეკუთვნოდა.

მიხეილ ბულგაკოვის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სამოქალაქო ომის მღვლეჯი დღეთა აღწერას. მწერალი ისე დრამად არის შესული ამ ისტორიულ სანსტრუქტურა სიტუაციებში, რომ მის მიერ მოტანილი უმნიშვნელო დეტალოც კი სახიერ სიყოფილეს იძენს. ამას ემატება მ. ბულგაკოვისათვის დამახასთებელი რაციონალიზმი, რაც საოცარ ეფექტს ახდენს. უაღრესი ბოლანოზმის მიუხედავად, ეპოსოლდები ისეთი სინაუთით, სისაყნითაა აღწერილი, გმირები იმდენად ხელშესახებნი არიან, რომ მათი გჯერათ, მიპყებით და მათთან ერთად განიცდით. წარმადვალს, განწირული კლასის წარმომადგენლები შუამზახენი სინამდვილის წინაშე აღმონდებიან, ყოველი დღე აახლოვებს საბოლოო მარცხის გარდაუვალ შედეგებს და ეს განწყობილება გმირთა ესოდენ მძაფრად, მწარე ტკივილის ჩვენებით სხვადასხვა ხასიათებს საშუალებას აძლევს ბოლომდე გამოავლინონ თავიანთი აუკარგი, რასაც წარმოგიდგენს ავტორი.

რეჟისორ დ. ხინიკაძის ნამუშევარში ნათლად ჩანს, რომ მას საფუძვლიანად დაამუშავა ნაწარმოები, თითოეულ ეპიზოდს მოუძებნა შესატყვისი გააზრება, მოქმედების „გეოგრაფია“ ლოგიკურად დააკავშირა ერთმანეთთან, სპექტაკლს მოუძებნა შინაგანი რიტმი და განწყობილება. მიოლოდ, ზოგიერთ სცენებში შეიძლება უფრო მეტი აქცენტრება მოეხდინა საკანძო მნიშვნელობის მოვლენებზე. მაგალითად, კრაპილინის სიკვდილის მისჯის სცენას აშკარად აკლია სიმძაფრე. სპექტაკლის ხასიათიდან ამოვარდნილია ბერძენი დონ გუანისა და არტურ არტუროვიჩის ეპიზოდები. აქ შეიძლება მეტი სიფრთხილე და გემოვნება გამოვყენინა.

მხატვარი ა. ნიკარაძე ყოველმხრივ ცდილობს მსახიობებს შეუქმნას სამოქმედო ასპარეზი, მოიტანოს სახიერი წარმოდგენა დროისა, სიტუაციისა. მაგრამ ამ ჩანაფიქრს იმდენად სწორბაზობრავად ახორციელებს, რომ ვერ აცდა ილუსტრაციულობას.

სერაფიმა ვლადიმროვნა კორზუხინას ქალური მომხიბვლელობით აღსავსე სახე შექმნა ნ. საკანდლიძემ. მსახიობი განსაკუთრებით გამოყოფა თავისა გმირის კეთილ ბუნებას, უსაზღვრო ერთგულებას სამშობლოსადმი. მისი განცდები წრფელია და საყოფი, დამოკიდებულება საგალალო მდგომარებაში ჩავარდნილი მეგობრების მიმართ გულწრფელია და უანარო.

ახალგაზრდული ცესქლი, ტემპარამენტ. განწყობილებათა მონაცვლეობა ახასიათებს მსახიობლ ჯიბლადის შესრულებას ლუსკას როლში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სცენა კონსტანტინოპოლში. სადაც ლუსკა გადაწყვეტილებას მიი-



სცენა სპექტაკლიდან „სრბოლა“. სერაფი გოლუბოვი — ნ. მესხიძე, რომან ხლედოვი — ა. ტაყიძე



სცენა სპექტაკლიდან „სრბოლა“. გრიგოლ ჩარნოტა — ი. ცანავა, ლუსკა — ლ. კობლაძე

სცენა სპექტაკლიდან „სრბოლა“. სერაფიმა კორზუხინა — ნ. საკანდლიძე, ბერძენი დონ გუანი — რ. კაკაბურიძე



ღებს, შეცვალოს თავისი ცხოვრების ხასიათი. აქ მსახიობმა შეძლო სიმწვავეთი მოეჭანა თავისი გმირის სულიერი განცდა და განემსჭვალა მაყურებელი მისდამი თანაგრძობით.

საესტროლო სპექტაკლებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მსახიობმა ნ. მესხიძემ, როგორც მკვლელად სახასიათო მსახიობმა. „სრბოლში“ მან სრულიად განსხვავებული ხასიათი გამოკვეთა, რითაც დაგვარწმუნა თავის აქტიურულ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებაში. უზუსტურად სუსტი, გულმხმინერი, ამავე დროს, საკითრებისამებრ აქტიური და ღრმად დარწმუნებული თავის სიმაართლეში — ასე გაიასრა ნ. მესხიძემ სერგეი გოლუბოვის როლი. მსახიობი ხაზს უსვამს გოლუბოვის ინტელიგენტობას და მოყვასობასში თავგანწირვის აუცალკებლობას.

გრაფორი ჩარნოტას მრავალმხრივი ხასიათი შექმნა ი. ცანაყმა ძლიერი და ამავე დროს სუსტიც, დაუნაზღვრელი და გულწრფელი, მხიარული და შენიღბული ტკივილს მატარებელი — ამ ურთიერთსაპირისპირო განცდებს მსახიობი ერთ ხასიათში ამთლიანებს ცალკე აღნიშვნის ღირსია სცენა პარიზში კორუჟინის ბინაზე; ბანქოს თამაშის დროს მსახიობი ზუსტი ნიუანსების გამოყენებით შესანიშნავ ეფექტს აღწევს.

მსახიობმა გ. გოგბერიძემ პარამონ კორუჟინის სახეში განსაკუთრებით გამოყო თვისება იმ ადამიანისა, რომელიც ყველგან ითვის სამშობლოს, ვინაიდან მისთვის ფულის სიყვარულია უმთავრესი. ხაზგასმული რესპექტაბელობა და შინაგანი სიცარიელე განსაკუთრებით გამოჩნდა მსახიობის მიერ ოსტატურად ჩატარებულ სცენაში დოლარის ყოვლისშემძლეობაზე.

პიესაში ყველაზე რთული და დრამატურგის მიერ განსაკუთრებული სიძლიერით გამოკვეთილი სახეა რომან სლუდოვი. გენერალი, რომელმაც სახელი გაითქვა სისასტიკით, დაუნაზღვრობით, რკინისებური სიტკიცით, სენური დროის მონაკვეთში განიცდის ორმხრივი შურისგების ტკივილს — ერთი, რომ იგი იმყოფება ემიგრაციაში, მეორე — თვით მას შინაგანად აწუხებს მის მიერ ჩადენილ ცოდვათა სიმრავლე. მსახიობი ა. ტაკაძე ღრმა შთაბეჭდვით გამოვყვამს სლუდოვის გაორებული და დამძიმებული სულიერი სამყაროს ცვალებადობას, მის შინაგან ძალას, შემოიფეხული საზარელი ხილვების საშინელებებს. ეს მძაფრი განედები მსახიობს გარეგნულადაც ხაზგასმითა აქვს მოტანილი — გაყინული სახე ანთებული თვალებით, დინჯი, დამძიმებული მოძრაობა და განწირულებით შეპყრობილი ადამიანის გამომხატველობა უკვე გამოკვეთს სლუდოვის შინაგან ბუნებას.



თანამედროვე თემაზე დადგმულ პიესებს შორის გ. ფანჯიძის „მეშვიდე ცა“ დიდიხან შემორჩა ბათუმის თეატრის სცენას. ეს იმითაცა განპირობებული, რომ სპექტაკლს დღემდე არ დაუკარგავს შემოქმედებითა ძალა; ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა სიმწვავე კვლავ ძალაში რჩება, მსახიობების თამაშს არ დაჰკარავს სიძველეს „ისი“ და მთავარი გმირი პიესისა დღესაც აქტიურად იბრძვის თავისი სიმართლის დასაცავად.

დამდგმულმა რეჟისორმა ე. ჩაიძემ გაითვალისწინა რა ინსცენირებული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სამოქმედო ასპარეზოს დანაწევრებული ხასიათი, რაც შეიძლება შეაჭიდროს და სცენური ეპიზოდები და პაუზების შემოვირთოს ხარჯზე, შეძლო მათ შორის სწრაფი და ბუნებრივი გადახედვის მიღწევა. სპექტაკლში გამოკვეთილია და წინა პლანზე წამოწეული საკუთარი სინდრის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა და თანამედროვე ადამიანის მორალური პრინციპების დაპირისპირება საზოგადოებრივ მოვალეობასთან. სპექტაკლში თანამედროვეთა საინტერესო სახეება შექმნილი.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ სახედაა მიჩნეული ლევან ხიდაშელი. ამ სახის გარშემო, ცხარე პოლემიკის შედეგად აზროს სხვადასხვაობა და პუბლიკისა, მაგრამ საბოლოოდ ყველანი იმ დასკვნამდე მი-



სენა სპექტალიდან ავეჯზე მწუხარე კაცი

ვიდნენ, რომ სწორედ ხიდაშელის ხასიათის მრავალმხრივობა ზრდის მისი პიროვნების მნიშვნელობას. მსახიობი ლევან ღლონტი მრავალმხრივ ასპექტში წარმოგვადგენს თავის გმირს. იგი გამოკვეთს ხიდაშელის ჯასიათის მთლიანობას, მის მტკიცე მიზანდასახულებას, საკუთარ ძალებში რწმენის შეუვალობას და იმ განსაკუთრებულ, მიღამელისეულ ეგოიზმს, რომელიც ცალმხრივად არ შეიძლება იქნას გაგებელი.

ცოცხალი, კომედიური სილამით აღბეჭდილი სახე შექმნა რ. კაკაურიძემ (რამიდა). რეჟისა და ელიზბარ ხუნდაძის ეპიზოდურ როლებში კვლავ მიიპყრეს ჩვენი ყურადღება ა. ტაკიძემ და ი. ცანავამ. მათ შესრულებას ახასიათებს სიმართლე, სიტუაციების მძაფრად შეგრძნების უნარი და დაშასაბამებელი ნიუანსებით სახის გამდიდრება.

სპექტაკლის სცენოგრაფია (მსატყარი ვ. სეიდიშვილი) ხელს უწყობს დანაწევრებული მოქმედების ადგილების გამოთიანებას, რაც მის წმინდა ფუნქციონალურ დანიშნულებას ამჟღავნებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ახლავს მსატყარული შთამბეჭდაობა. სცენა შედგება დაა გაძარცვული, გაღარიბებული. კონსტრუქციის ფაქტურა შეიძლება უფრო გამომსახველ ფერებში წარმოდგენილიყო.

აქვე არ შეიძლება გულისტკივილით არ აღინიშნოს, რომ ესოდენ საპასუხისმგებლო გასტროლებითთვის მზადების პროცესში თეატრმა ვერ მოახერხა მსატყარული აფიშების შექმნა, ხოლო

რაც შეეხება პროგრამების ხარისხსა და შინაარსს, ისინი ვერავთარ კრიტიკას ვერ უძლებენ.

ბათუმელთა საგასტროლო სპექტაკლებმა დავანახეს, რომ თეატრის ერთი მოლიანი შემოქმედებითი სახე ნათლად არ არის გამოკვეთილი. გამოიხატა მისწრაფება როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ყოფითი და პათეტკური ხასიათის სპექტაკლებისაკენ. არ აღინიშნება რომელიმე მათგანის დომინირება; თვით ცალკეულ დადგმებშიც კი არ არის მიღწეული ერთიანი განრული სიწმინდე, რაც საშინებებს ქმნის, რომ კლამტიკური თავისუფლება შემდგომ ნორმად არ გადაიქცეს.

ბათუმის თეატრის მაღალნიჭიერ კოლექტივს ყველა მონაცემი გააჩნია იმსათვის, რათა იოლად დააღწიოს თავი მათ წინაშე წამოჭრილ სირთულეებსა და დაბრკოლებებს, შესწევს უნარი გააანალიზოს დღევანდელი დღე, ჩაუფლოს იმ შენიშვნებს არსს, რომელიც მათ მიმართ გამოითქვა და ახლო მომავალში თავისი საუკეთესო სახით წარმოვიდგავს.

კპრ/რტ ბიჭვინთაში ამას წინათ გავრის რაიონის სოფელ ლიძავის მკვიდრის გიორგი ხეცურაიანის ნაკეთობათა და პირადი კოლექციის მეტად საინტერესო, ვრცელი გამოფენა მოეწყო.

— ჩემს მშობლებს თორმეტი შვილი ჰყავდათ — თქვა ჩვენთან საუბარში გიორგიმ. — შრომის სიყვარული და სხვადასხვა ხელსაქმისადმი ინტერესი მამამ — ხელმარჯვე ოსტატმა — იასონ ხეცურაიანმა გაგვიღვივა. ჩვენი წინაპრებიც ხელმარჯვე ოსტატები ყოფილან და შთამომავლობას გადასცემდნენ ყოფითი საოჯახო ნივთებისათუ ნაკეთობათა დამზადების ტრადიციულ ტექნიკურ ხერხებს.

ბიჭვინთის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გიორგი ხეცურაიანის მიერ წლების მანძილზე დამზადებული შრომის იარაღები, სხვადასხვა ნაკეთობანი, მაკეტები, აგრეთვე კოლექციები, რომელთა საერთო რაოდენობა 700-ს აღემატებოდა: სამეცურნო, საოჯახო ნივთები და იარაღები, მათ შორის მიწათმოქმედებას, მესაქონლეობის, ცხენოსნობის, ნადირობის, მეფუტკრეობის, მეღვინეობის, სამშენებლო თუ სატრანსპორტო საშუალებათა მაკეტები და მოდლები. აქვეა ქართულ-აფხაზურ ხალხურ მუსიკალურ საკრავთა მრავალი ნიმუში.

თითოეული ექსპონატი ყურადღებას იქცევს შესრულების ფილიგრანულობით, სინატიფით, ესთეტიკური ღირსებებით. ნაკეთობათა უმრავლესობა ფუნქციონალურია და ადგილზევე შეიძლება მათი დემონსტრირება.

გიორგი ხეცურაიანს მხატვრული განათლება არ მიუღია, მაგრამ მის კომპოზიციებში სპეციალისტებსაც კი ანცივიფრებს ხაზების, პროპორციების გრძნობა. ყოველი ნივთი, საგანი, მაკეტი ისტორიული სიზუსტით ასახავს დროს, ეპოქას, იმ კუთხეს, რომელსაც იგი განეკუთვნება. ავტორ-

# ხალხური ოსტატის გიორგი ხეცურაიანის გამოფენა ბიჭვინთაში

შოთა აბუთიქი

მა იცის, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონების კლიმატურ-გეოგრაფიულმა პირობებმა განაპირობა ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების წარმოქმნა, რომელთა თავისებურებებიც თითქმის დღევანდლამდეა შენარჩუნებული.

ამ ნაწარმოებთა შექმნაში მას ეხმარებოდა და შთავაზუნებდა მშობლიური ბუნება, მისი ლანდშაფტები, მთები და დაბლობები, ზღვა და მდინარეები, მდიდარი ფლორა და ფაუნა, რომლებიც ასევე მხატვრულად აღუბეჭდავს გიორგის აქვე გამოფენილ ფოტოკომპოზიციაში „წელიწადის ოთხი დრო“. ყოველივე ეს მან დაამზადა სპეციალისტთა, მეცნიერული კონსულტაციების, წინასწარი ვეგმებისა და სქემების, საზოგი ხელნაწყოების გარეშე. გამოფენაზე ყოველი დარგი წარმოდგენილი იყო ისტორიულ, ქრონოლოგიურ ასპექტებში. მაგალითად, წისქვილის მაკეტები თანმიმდევრულად ასახავენ პირველყოფილი ხე-

გიორგი ხეცურაიანი



ლის წისქვილიდან დაწყებული, დღემდე არსებული ელექტრომნიშვნელოვანი წისქვილების მთელ ნაირსახეობას. ქსოვისთვის საჭირო იარაღები წარმოდგენილი იყო ბამბის თესლისაგან გასაწმენდი, შალის გასარეცხი და გასაპნტი დაზვევით, საჩენელეებით, ძაფსაწვევი თუ სართავ-საძეხი ჯარათი, საქსოვი დაზვევის ნაირსახეობით. აქვეა კანაფდასამუშავებელი, ტყავის სათრიმლაკი და გამოსაყვანი მოწყობილობა, ხოლო სახნავი იარაღების ზოგადი სახეობა ნ—7 ათასი წლის წინანდელი ნიმუშების იდეტიკური.

უხვად იყო წარმოდგენილი შინაური საოჯახო შრომის იარაღები, ნივთები თუ ავეჯი: ჭურჭლის კარადა, ჯაჭვის საკიდელი „საჭა“, ხის სამფეხა, ჭინის გამოსაცხობი ჭეხის კეცები, სხვადასხვა სახის თუნგები, გობები, ჭეხანაყები, ფარდაგერი, კიდონები, საფენები, ჭოგინი, სუფრები, ტანისამოსი, ხისა და კერამიკული ჯამ-ჭურჭელი...

საექსპოზიციო დარბაზის ცენტრში ყურადღებას იქცევდა მთლიანი ხიდან გამოთლილი, ამოჭრილი ნახატებით შემკული საწნახელი. ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი ბინებისა და ეზო-კარის, ლობეებისა და ტიშკრის დამახასიათებელი ნიმუშები: ოდა-სახლები ავერუთაღიანი თუ ხის დაკიდული აივნებით, რიკულებიანი თუ ძელაკებისაგან შედგენილი ან დაფიტრული მოაჯირებით, ყავრით, კრამიტით თუ ისლით დახურული, საჯალაბო სამზადები, ბეღელი (ხუღა), სასიმინდე (ნალია), მარანი, ბოსელი, საჯინიზო და, ვინ მოთვლის, რამდენი დამხმარე სათავსოს ნაირსახეობას არ იხილავთ აქ, რომელთა სახელწოდებაც დღეს იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს. ექსპოზიციაში იყო მთისა და ბარის ურმები, მარხილები, ოთხთავა „ავეტონი“, რომელიც ბევრჯერ გამოუყენებიათ კინოფილმების გადასმდე

ჯგუფებს გაერაში. იშვიათად შეხვდებით სადმე კულ-ნამგლებს, კავების, გუონების, კვარების, ჭურების, ცხენის მოსართავის ამდენ ნაირსახეობას. ბევრ მნახველს აღადგენია ახლო წარსული მდინარე ბოზიფე გადებულ ბორნის მაკეტმა. გამოფენილი იყო ნაერ-ნაირი დაწალითა კალთები, გილდები, სანოვავის ჭურჭელი თუ სათავსო.

საყოფაცხოვრებო ნივთებსა და მატარებელ ნაკეთობებში ოსტატის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. მათ დასამზადებლად იგი იყენებს აფხაზურ ბზას, წითელ ხეს, წიფელას, ჯაკალს, მუხას, ბეზლას, შინდს, ცაცებს და ხის სხვა ჯიშებს, რომელთა საიდუმლოებას იგი ზედმიწევნით ფლობს და ამ საიდუმლოებას იგი სიყვარულით გადასცემს ახალგაზრდობას.


გიორგი ხეყვრიანის სახლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის. სახლს ვამბობთ, თორემ სახლი კი არა, ეს არის უნივერსალური სახელოსნო, ხელმარჯვე ახალგაზრდობისათვის საკონსულტაციო პუნქტი და, ბოლოს, მუზეუმი... თუმცა, ამდენ ექსპონატს რომელი საოჯახო მუზეუმი დაიგვეს? არადა, ცნობისმოყვარეთა რიგები დღითი დღე იზრდება... საწორედ ამან განაპირობა ამა წლის მისიმი კურორტ ბიჭვინთის საგამოფენო დარბაზში გამოფენის გამართვა, რომელიც მოაწვეს აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმმა და გატრის კულტურის განყოფილებამ. გამოფენის გახსნას დაესწრნენ პარტიული თუ საბურთაული მუშაკები, კოლმურელები, მუშები, ტრისტები, პედაგოგები, მოსწავლე ახალგაზრდობა; მრავალი თბილი სიტყვა ითქვა იმ დღეს შემოქმედი დამიანის მისამართით.

— მიხარია, რომ ჩემი გატაცების საგანმა, თავისუფალ დროს შექმნილმა ნაკეთობებმა და შეგროვილმა კოლექციებმა ასეთი ინტერესი გამოიწვია, სიამოვნება მიანიჭა ჩემს თანასოფლელებსა და ჩამოსულ სტუმრებს; — თქვა გიორგი ხეყვრიანმა — მინდა ახალგაზრდობა, მომავალი თაობა იცნობდეს და აფასებდეს მათი მშობლების, წინაპრების საქმიანობას, მათ ნახედავებს, მათ სიბრძნესა და გამოგონებლობას... წელს ხომ ბავშვთა საერთაშორისო წელია და ამ გამოფენასაც მათ უთქვინ!

გამოფენის გახსნაზე ბავშვები პირველები მოვიდნენ. დაბადების 60 წელიც პირველებმა მიულოცეს, მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვეს იუბილარს.

ბიჭვინთის საგამოფენო დარბაზი მუდამ სავსე იყო დამთვალეირებლებით. საამოდ ვერდა ქართულ-აფხაზური ხალხური მუსიკის პანგები. ყველა გულდასმით აკვირდებოდა საინტერესო ოსტატის ორიგინალურ, განუყოფელ ნახედავებს.

გამოფენაზე



# აფხაზური მუსიკის დღეები

თბილისში, რუსთავა და თელავში წარმატებით ჩატარდა აფხაზური მუსიკის დღეები.

მსმეღელთა წინაშე წარსდგა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიკეირი ლიტბარი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დიმი სუდაკოვი. მისი შეცადინებით აფხაზეთის საგუნდო კაპელა დაიგუნდა მრავალფეროვან რეპერტუარს და მყარი პროფესიული ჩვევებით აღჭურვილ კოლექტივად გადაიქცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კაპელამ აფხაზური ხალხური მუსიკის მრავალსაკუნიოვან ტრადიციებთან ერთად, ბიძგი მისცა საგუნდო მუსიკის სფეროში აფხაზი კომპოზიტორების მოღვაწეობას. მშობლიური მუსიკალური წილადანა ამოზრდილი თბილისში შესრულებული კომპოზიტორებისა ა. ჩიჩბას, რ. გუმბას, კ. ჩენგელას, მ. ბერიასვილის, ი. ლაკრბას საგუნდო კომპოზიციები, თვალსაჩინოდ რომ გამოავლინეს აფხაზური პროფესიული მუსიკის წინსვლა, მისი მიღწევები. აფხაზური საგუნდო მუსიკის კონცერტში მონაწილეობდნენ ლიტბარი ვ. აიბა, კომპოზიტორები ტ. ჯაპაუა და ე. კიკირბა.

დიდი ინტერესი გამოიწვია სიმფონიური მუსიკის კონცერტმა, რომელზეც მერაულა სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ნაწარმოებები. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით აქედრდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ვ. ჭკადუას სიმფონიური სურათი „დილა მთაში“, მ. ბერიკაშვილის სიმფონია-პოემა, ა. ჩიჩბას სიმფონიური პოემა „აბრსკილი“, პ. პეტროვის საგიოლინი კონცერტი, ლ. ჩეპლიანსკის უკრტორა „დიმიტრი გულა“, რ. გუმბას კანტატა „პარტია“. კონცერტში მონაწილეობდნენ აფხაზი დირიჟორები ლ. ჟურგენია და ა. შავბა, აფხაზეთის საგუნდო კაპელა ვ. სუდაკოვის ხელმძღვანელობით.

„აფხაზური მუსიკის დღეები, — აღნიშნა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა სულხან ცინცაძემ, — განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩენგელის, ბედაგოგებისათვის. აფხაზეთის მუსიკალური კულტურის მრავალმა წარმომადგენელმა — კომპოზიტორებმა, ნუსიკოს-შემსრულებლებმა თუ მუსიკისმკვლევებმა — ხონ თბილისის კონსერვატორიაში მიიღეს განათლება. ჩვენთან აღიზარდნენ აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე მუსიკისმკვლევ ს. ჭკება, კომპოზიტორები ს. გუმბა, კ. ჩენგელა, ა. ჩიჩბა, ვ. ჭკადუა და სხვები, მათი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი პედაგოგები ა. ბაბაიანიშვილი და ა. შავგოშაშვილი.

აფხაზური მუსიკის დღეებმა თვალსაჩინოდ გამოაჩინა მათი ნიჭი, პროფესიული ალღო და უნარი. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ზოგიერთი ხარჯი, რაც, ალბათ, აფხაზ კოლექტებს საწყენად არ დარჩება — ეს ესება სიმფონიურ მუსიკას. ამ სფეროს ნაწარმოებთა უმრავლესობა გადატვირთულია ელტრადობით, უნდა გაიზარდოს აფხაზური მუსიკის თემატური საზღვრები, საჭიროა მეტი მუშაობა მუსიკალური დრამატურგიის სფეროშიც, საერთოდ კი აფხაზური პროფესიული მუსიკა დგას სწორ გზაზე, განსაკუთრებით მისასაღებებელია კავშირი ხალხური მუსიკის წყაროებთან, რაც განაპირობებს ნაწარმოებთა ეროვნულ თავისებურებებს.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კვლავც ფართოდ გაუღებს კარს აფხაზეთის მუსიკალური კადრებს, ახალგაზრდობას შეუქმნის ყველა პირობას პროფესიული ზრდისა და დაოსტატებისათვის, რათა ამაღლდეს აფხაზური პროფესიული მუსიკის დონე, გაფართოვდეს მისი პირიზონტები“.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა



ემკვნება  
გავშვითა  
საერთაშორისო  
წელს



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის  
სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
ახალი სამკაპალი

### ნანა ლორია

ამას წინათ ჩვენმა ბავშვებმა შეასანიშნავი საჩუქარი მიიღეს. 30 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე შედგა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის ახალი საბავშვო ოპერის „ნაცარქექის“ პრემიერა.

კომპოზიტორს ამ ფანრში მუშაობის გარკვეული განმტკიცება აქვს. მან ამჯერადაც, ისევე როგორც თავის პირველ საბავშვო ოპერა „ქაჯანაში“, გამოავლინა ცოდნა ბავშვის ფსიქოლოგიისა. თავის პირველ ოპერაში მერი დავითაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს დაკვრდნო, ამჯერად კი მან ქართულ ხალხურ ზღაპარს მიმართა. კომპოზი-

ტორმა ნორჩი მაყურებელი მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების საოცარ ატმოსფეროს აზიარა კარგად ცნობილი პერსონაჟების — ნაცარქექისა, მზეთუნახავის, დევების საშუალებით, პერსონაჟებისა, რომელთა კოლორიტული სახეები ჟანთა მსგეღლობამ ვერ გააფრმერთალა. ნაცარქექის სახემ ხომ უროვნული ფოლკლორიდან ქართული პროფესიული ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში გადაინაცვლა. ასლა კი საბავშვო ოპერაში შეაღწია. ბავშვებისათვის იგი განსაკუთრებით ახლოებლია — მოზარდებს მოსწონთ, ხიბლავთ მისი სიხალისე, საზრიანობა, სიცოცხლისუნარიანობა... სწორედ ასეთია მერი დავითაშვილის

ნაცარქექია — უშუალო და სიმპათიური, მისი ეშმაკობა სხარტი გონების გამოვლინებაა. მას მიერ წარმოქმნილი ხალხური ანგაზა — „ხერის სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“, მსუბუქ იუმორშია გატარებული და ბავშვებს ძალდაუტანებლად, მშრალი, დიდაქტიური ტონის გარეშე გადაეცემა.

ოპერის ნათელი, ხალისიანი განწყობილების გადმოსაცემად კომპოზიტორმა მიწარაა აწარულებასათო მუსიკალურ მასალას, რომელიც კარგად მიესადაგა ზღაპრის წინარსს, მის გმირებს, მათ თავგადასავლებს. ოპერის მუსიკალური ენა გამსჭვალულია ხალხური სასიმღერო ინტონაციებით, კიდანებით, საცეკვაო რიტმებით, მუსიკალური ციტატის სახით კი მხოლოდ ორი ხალხური სიმღერაა გამოყენებული — მერული სახუმარო „ჯან, სულო“ და კახური სუფრული „მასხინძელსა მხიარულსა“.

ნაწარმოების თავისებური რიტმულ-ინტონაციური წყობა განაპირობა ლირებუტომაც (ავტორი ს. ჭიომელი), რომელმაც უხვადაა წარმოდგენილი ხალხური ანდაზები და საბავშვო ლექსები.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ნაცარქექიას მუსიკალური სახე, საორკესტრო შესავალშივე ოსტინატური აკომპანეიმენტის ფონზე ისმის მარტივი მელოდია, რომელიც ორად-ორ ბერას შეიცავს და განსაკუთრებულ სიღალესა და ბავშვურად უდარდელ განწყობილებას ქმნის.

ნაცარქექიას სახათოს კარგად გამოხატავს ხალხური სიმღერა „ჯან-სულო“, რომელიც ოპერის პირველ სურათში — ნაცარქექიასა და ბავშვების სცენაში გამოჩნდება და გადმოგვცემს მათ მხიარულებას.

ნაცარქექიას არიას კი პირველ მოქმედებაში საფუძვლად უდევს ქართული ხალხური საბავშვო ლექსი „ალათასა, ბალათასა“. თვით ეს ტექსტი და მისი თავისებური „გამუსიკალურება“ გარკვეულ დრამატურგულ ფუნქციას ასრულებს და ნაცარქექიას კოლორიტულ პორტრეტს ქმნის. ამ დროს უქნარა ნაცარქექიას ვოკალური ინტონაციები გამოხატავენ კენჭსას, ოხვრას, მუდარას. იმავდროულად, ჩვენს წინაშე წარმოდგება შეუნიღბავი ნაცარქექია, რომელიც მხიარულად ღიონებს — „ალათასა, ბალათასა“ — რაც ამ ელანებს მის თვალთმაქობასა და მოჩვენებით შიშს.

ნაცარქექიას მუსიკალური დახასიათება გრძელდება მეორე მოქმედებაში. დევების ნადიმის დროს იგი დევებთან ერთად ასრულებს ხალხურ სუფრულ სიმღერას „მასხინძელსა მხიარულსა“, რომელიც მის სახეს ახალ ელფერს სძენს. აქ ნაცარქექია გამარჯვებულია, თავმოწონია, რადგან აშკარად გრძობს თავის უპირატესობას დევებზე. მას ეს ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქაღალხად.

სპექტაკლში ნაცარქექიას სახე გონებამახვილური სცენური გამომხატველობის საშუალებით

კომიკური ფერებით მდიდრდება, რაც დამსახურებაა რეჟისორ თ. აბაშიძისა, ქორეოგრაფ კ. ძნელაძის და მომღერალ თ. გუგუშვილისა, რომელმაც მოხიბლა საყურებელი სწორფელით. იუმორით, სახასიათო ნიჭით. მასხიობი შეერწყა თავის გმირს; იგი ძალდაუტანებლად მიღრის, ცეკვავს, მოქმედებს. ხან საწყლად იკატუნებს თავს, ხან ეშმაკობს და ხან მხიარულებას აფრქვევს, მის წარბაქებას ხელს უწყობს ფართო ღიაპასონის სასიამოვნო ტემპრის ხმა (ტენორი), რომელიც იგი თავისუფლად გადმოგვცემს თავის „განდებებსა“ და განწყობილებებს. განსაკუთრებით გამომხატველი, პლასტიკური და მიმზიბლებელია იგი სწორედ ნადიმის სცენაში, დირიჟორობის დროს, სადაც მისი ხმა მაღალ რეგისტრში სავანებოდ ფორსირებულია, რაც სავებით გამართებულია სცენური სიტუაციით. თ. გუგუშვილი ამჟღავნებს იმპროვიზაციულ ნიჭს, რაც ნაცარქექიას სახოვანს, ძალზე არტისტულს ხდის.

ოპერაში დევების მუსიკალურ დახასიათებაშიც გამოყენებულია კოლორიტული ერთეული მუსიკალური ფოლკლორის ელემენტები. „სუფრულის“ გარდა, ისინი მღერიან სიმღერას „დღე გათუნდა მშვენიერი“, რომელიც გურული მხედრული სიმღერების თვისებებითაა გამსჭვალული, დევები გულმოდგინედ ცდილობენ „გულშიმამწვდომად“ შესარულონ კრიმინაქული, დასაწყისი მი ისინი ფიგურირი სიძლიერთი ანციფერებებ პატარებს. იგი გამოხატულია „პირქუში“ გრძელსკული მარშით, რომელმაც უხვადაა გამოყენებული სპილენძის ჩასაბერი და დასარტყანი საკრავების ტემპრები. მეფე კი ნაცარქექიასთან შეხვედრის შემდეგ თვალსაჩინო ხდება მათი მიამიტობა, გულწრფელობა, უგუნვრობა, რაც გამოხატულია ქანოლი ბუნების სასიმღერო და საცეკვაო მასალით.

დევების „მრისნანებას“ აწვრთავს მათი უფროსი ძმა ბაყბაყდვი, რომლის არითო „იქით გორასა“... გამსჭვალულია „ომასიანა“ ინტონაციებით, ხმამაღლი წამოძახილებით, ოღორჩილორ სვლებით, პარიდირებულია ქართული სალაპარაკო ენის ინტონაციებით.

დევების მუსიკალურმა სახეებმა შესანიშნავი სცენური ხორცშესხმა ჰპოვა. მათ ნაცარქექიასთან ერთად მიჰყავთ მიწელ სპექტაკლი. ძალზე სახოვანი და კოლორიტულია მათი კოსტიუმები, რომლებიც ფერთა გამოთ მუსიკალური სპექტაკლის მშვენიერ გაფორმებას (მხატვარი მ. მალაზონია). თადაპირველად გამოჩნდება ბაყბაყდვი. იგი მხრებით უშედეგულ მთას „გადადგამს“ და გზას გაუხსნის დანარჩენ დევებს, რომლებსაც მიჰყავთ მოტაცებული მწუთუნხავი. ამ დროს დეკორაციების აწვე-დაწვევის საშუალებით მაყურებლის თვალწინ იმლება ზღაპრულად ხატოვანი პანორამა — მაღალი მთები, მდინა-

რე, ღრუბლიანი ცა. შვიდი დღეი ქმნის კოლორიტულ აქტიორულ ანსამბლს, რომელშიც თითოეული სახე შეაფიოდ იკითხება.. ბაყბაყდგი „იმპოზანტურია“ (ტ. ჭიჭინაძე), პირველი დღეი, ეტყობა, ყველაზე უმცროსია — იგი ბავშვურად მომზიბულელია და სასაცილო (ე. კრავიცი-შვილი), მეორე დღეი (გ. ჭანიშვილი) ანცია, მესამე (ზ. ცისკარიძე) — კვალუცი და პრანჭია. ასევე გამოირჩევიან ხსიათობრივი თვირებები მეთხე (მ. დონაძე), მესუთე (ნ. კაპანაძე), შექვეცი (ა. ლეფიევი) დღეები. მსახიობი — დეეები ბუნებრივად გრძობენ თავს მათთვის უჩვეულო როლში — ხტინ, კოტრიალოზენ, ცელქობენ. ერთმანეთს დასადევენ — ყოველივე ამას ესანი სიმღერას, ცეკვას, თამაშს უთანხმებენ, რაც რთულ ამოცანას სახას მათ წინაშე. ალბათ, ამის გამო, დროდადრო ინტონაციას სიზუსტე აკლია. იმედია, მომავალში მსახიობები ამ ნაკლს გამოაწორებენ. შესაძლოა, ამის მიზუხი ისიც იყოს, რომ დეეების მუსიკალურ პარტიაში პარმენადმე გადატვირთულია საორკესტრო ფაქტურა ლითონის ჩასაბეკრავეთა ჭარბი ხმოვანებით. ეს არ ითქმის საცეკვაო ნომრებზე, სადაც ორგანტრი (საყვირის ელერადობის შეხამება არფის მსუბუქ გლისანდოსთან, სიმბიანთა ფლაუტულტების მახვილკონიერი გამოყენება, დოლისა და ჩელესტას ერთდროული ელერადობა) ეფექტურად ევერს... დეეების სასიმღერო ნომრებში კი შეიმჩნევა ვოკალურსა და საორკესტრო ხაზეც შორის თანაფარდობის დარღვევა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბაყბაყდგის არიოზოში „იქეთ გორას...“, სადაც ხმამაღალი საორკესტრო ელერადობა ხელს უშლის მომღერალს, გაუგებარას ხდის მის მუსიკალურ მეტყველებასა და დიქციას.

ნაცარქექიასა და დეეების კოლორიტული სცენური სახეების გახსნას და წარმოსახვას დიდად შეუწყო ხელი ქორეოგრაფიამ, რომელიც ამ სპექტაკლის ერთ-ერთ დამდგმელს გ. ძნელაძეს ეკუთვნის. თითქმის ყველა სცენას თან ახლავს საცეკვაო ნომრები, ან საცეკვაო ილუტები, რომლებიც ადიდრებენ, ასუბენ ვოკალურ პარტიებს. ნაცარქექია ბავშვებს ზღაპარს უყვება და თან ტრამაობს. მის მოძრაობას მსჭვალავს „ხორუმის“ ელემენტები. დეეების კომიკურ წარმოსახვას დიდად უწყობს ხელს მათ მიერ შესრულებული ცეკვა „განდაგან“. ქორეოგრაფიული თვალსაზრისით კოლორიტულია ოპერის ბოლო სურათი — დეეები ცდილობენ თავი მოაწონონ მზეთუნახავს და განსაკუთრებულ საცეკვაო პლასტიკას იშველიებენ, რითაც აძლიერებენ მიზანსცენების გამომსახველობას.

ამგვარად, ქართული ხალხური საცეკვაო და სასიმღერო ელემენტების უხვი გამოყენებით ოპერაში შექმნილია ჟანრული ნაკადი, რომელსაც მეორე მოქმედებიდან ერწყმის გულწრფელი ლირიკა, წარმოსახვული მშენიერი მზეთუნახავის




რძალი — ე. გარსევანიშვილი, ნაცარქექია — თ. გუგუშვილი



ბიკი — ე. ჩიქოვანი, გოგო — ტ. ჭანტურია, ნაცარქექია — თ. გუგუშვილი

სცენა სპექტაკლიდან





სცენა სპექტაკლიდან

სახით. სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, მზეთუნახავის მუსიკალურ პარტიაში არ შეიმჩნევა აშკარა კავშირი ხალხურ სასიმღერო მასალასთან. მაშინაც კი, როდესაც კომპოზიტორი იშველიებს ეროვნული ფოლკლორის ძანს, — ვგულისხმობ მზეთუნახავის „ტირილს“, — იგი ხალხური ტირილისათვის დამახასიათებელ რიტმულ-ინტონაციურ ელემენტებს კი არ იყენებს, არამედ მხოლოდ ფორმას. მზეთუნახავის პარტია არიოზულ სტილშია დაწერილი, რაც ამრავალფეროვნებს ოპერის სასიმღერო ფორმებს.

მზეთუნახავი გავლენას ახდენს ნაცარქექიაზე. მისდამი წმინდა სიყვარულის ზეგავლენით ნაცარქექია თითქოსდა უფრო კეთილშობილი ხდება. მის პარტიაში შენიჭებრა მხოლოდია მზეთუნახავის მუსიკალური დახასიათებლად. ნაცარქექიას პარტიაც თბილ, ნაზ ინტონაციებს იძენს. ყველაზე ნათლად ეს ვლინდება მზეთუნახავისა და ნაცარქექიას დასკვნით დუეტში, რომელიც ოპერის საუკეთესო ფურცლებს მიეკუთვნება და რომელშიც საბოლოოდ მტკიცდება ოპერის კეთილშობილური იდეა — სიყვარისა და გონიერების გამარჯვება ბოროტ ძალებზე.

მზეთუნახავის მომხიბვლელ სახეს ქმნის ასალგაზრდა მომღერალი მ. დავითაშვილი. იგი ნაზი და მიაბიძია. ლირიკულ საწყისს, რომელიც მას შემოაქვს, კარგად ესადაგება მ. დავითაშვილის ხმის (სოპრანო) ლამაზი, თბილი ტემბრი.

ოპერის პირველ მოქმედებაში იხსნება რძლის (ე. გარსევანიშვილი) მუსიკალური სახე. ამ სცენაში მოცემულია ნაცარქექიას, ბავშვების, რძლის რიტმულად და ინტონაციურად კონტრასტული ფრაზები, რითაც გამოხატულია ხასიათებისა და ინტერესების შეჯახება — რძლი ბრაზობს, ნაცარქექია თავს ისაწყლებს, ბავშვები ეხვეწებიან პედრას ნაცარქექია შეიცოდოს. რძლის ვოკალურ დარტყაში ჭარბობს „მკვირალა“ ინტონაციები, ბუზღუნა რატრატი. პირველი სურათის დასკე-

ნით კვარტეტში (რძალი, ნაცარქექია, ბავშვები) რძლის ვოკალურ პარტიაში იამბის „ჯან, სჯლოს“ ინტონაციები, რითაც იგი თითქოს დასცინის, აბუნად იგდებს უწინარა ნაცარქექიას, რომელსაც სახლიდან აგდებს და თან აყოლებს „რაც მოგვა დავითა — ყველა შენი თავითა.“ იგი კმაყოფილია თავისი გადაწყვეტილებით. მართალია, ე. გარსევანიშვილი მკვეთრ, რელიეფურ სახეს ქმნის, მაგრამ აქვე იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რძლის სახე რამდენადმე ამოვარდნილია სპექტაკლის სტილისტიკიდან მეტისმეტად „რეალიზმის“ გამო. ჩემი აზრით, მისაგნებია რძლის გარეგნული იერი.

რაც შეეხებათ ბავშვებს, გოგონასა და ბიჭს, რომლებსაც მთელი სიწრფელით, გატაცებით ანახიერებენ მთლიანობები ტ. ჭანტურია და ვ. ჩიქოვანი, ისინი ბუნებრივად იქცევიან, თუმცა, მათი მუსიკალური პარტიები რამდენადმე ერთფეროვანი და არააპერსონიფიცირებულია — ბავშვები ფაქტიურად იმეორებენ ნაცარქექიას მუსიკალურ ფრაზებს.

მ. დავითაშვილის ქანრულ-ლირიკული ოპერა „ნაცარქექიას“ სპექტაკლის დამდგმელებმა — აჭარის ასსრ ხელმოწევის დამსახურებულმა მოღვაწემ თ. აბაშიძემ, მხატვარმა მ. მალაზონიამ, ქორეოგრაფმა კ. სნელაძემ, მუსიკალურმა ხელმძღვანელმა და დირიჟორმა ი. ჭიაურელმა — მიანიჭეს მხიარული, სანახაობითი, „სათამაშო“ წარმოდგენის სახე.

რა თქმა უნდა, ამის საფუძველს იძლეოდა თვით ოპერა, რომლის ფორმას წარმოქმნის ლა-კონური სცენა-ეპიზოდების თანმიმდევრობა — ნაცარქექია ბავშვებს უყვება ზღაპრებს, კონფლიქტი რძალიან, ნაცარქექიას შეხედრდა ბავშვადევთან, დღევანდელი ამხიარულეზ დტკვევებულ მზეთუნახავს, ნადმი დღევანდის სახასლში, მზეთუნახავისათვის ნაცარქექიო საჩუქრების ჩვენება, დევების ჭკაბში ჩამწყვედვა და ა. შ. ეპიზოდების



ასეთმა ცვლამ თავისი გავლენა მოახდინა მუსიკალურ დრამატურგიაზე, რომელმაც იმპროვიზაციულ მუსიკალურ ნომრებში, სხვადასხვა საოპერო ფორმებში — (სიმღერა, არიოზო, არია) სხვადასხვა შენადგენლობის ანსამბლებში — (კვარტეტი, სექტეტი, ტრიო, დუეტი) კმოვია გამოხატულება. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმ სისხარტისა, სიმსუბუქისა, სანაზაობითობისა, რაც სპექტაკლს ასე ადვილად გასაგებს ხდის პატარებისათვის.

ამ მცირე მასშტაბის მუსიკალური ნომრების გაერთიანების მიზნით კომპოზიტორი მიმართავს თემატური თაღების გამოყენების პრინციპს. ამას მოწმობს მხიარული მოტივი ოპერის საორკესტრო შესავლიდან, რომელიც ოპერაში ნაცარქექიას ლეიტმოტივის როლს ასრულებს. იგი ისმის ნაცარქექიას ზღაპარში „ვიარე, ვიარე“ (I მოქმედება), ელერს მეორე სურათის საორკესტრო შესავალში და ნაცარქექიას მომდევნო სიმღერაში მეორე მოქმედებიდან, სადაც ნაცარქექია ტრახახობს „ახლა ისეთ მადახე ვარ...“ ოპერაში ნაცარქექიას ლეიტმოტივი არ განიცდის სახეცვლას. ამით ხაზი ესმება მის ლალსა და მხიარულ ხასიათს. ამასთან ერთად, დროდადრო, ელერს ლამაზი, მღერადი თემა ნაცარქექიასა და მზეთუნახავის დუეტიდან. სცენური სიტუაციების შესაბამისად რამდენიმეჯერ მეორდება სიმღერის „ჯან, სულო“, ბაყბაყდვევის არიოზოს „აქეთ გორასა“, დვეების სიმღერის „დღე გათენდა ბედნიერი“ — მუსიკალურ-თემატური მასალა. ყოველივე ეს გარკვეულ სიმწყობრეს ანიჭებს მუსიკალურ დრამატურგიას. თუმცა სწორედ ამ გამეორებების გამო დროდადრო მუსიკალური მასალა მოგვეჩვენა სცენურ ვითარებას დამორჩილებული, რამდენადმე გაწეული (მაგალითად, პირველი მოქმედების პირველი სურათი), რამაც გამოიწვია გრძლიობები თვით სცენურ მოქმედებაშიც.

რეჟისორ თ. აბაშიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად შეკრა სპექტაკლი, ცალკეული სცენა-ეპიზოდები ერთმანეთთან დააკავშირა და მოქმედება ცოცხალ ტემპში განავითარა. რეჟისორის თანავტორად მოგვევლინა ნიჭიერი ჰორეოგრაფი გ. ძნელაძე, რომელმაც გამოამჟღავნა იუმორი, შემოქმედებითი ფანტაზია, გამომგონებლობა, რითაც ოპერის პერსონაჟებსა და სიტუაციებს სიმკვეთრე და სახოვანება მიანიჭა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სპექტაკლის სცენოგრაფია. ფარდის ახდისთანავე მაყურებელი

ექცევა ზღაპრის სამყაროში. სპექტაკლის ფარდულაზე ოპერის სათაურია აღბეჭდილი. სპექტაკლიდან წაქეცილ ასოებში ინერუსტირებულია „სათამაშოები, სპექტაკლის დეკორაციულ ჩარჩოსა და უკან ფარდაზე შესანიშნავი სანახაობა აღბეჭდილი — ნაირნაირი სიუეტები მოხატული ძველი ქართული მინიატურის სტილში. ნატიფი გემონების მხატვარმა მ. მაღალხონამ ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით ამბეჭყველა ეროვნული სახეითი ხელოვნების ელემენტები. მხატვრულ გაფორმებას მან დაურთო ბავშვებისათვის კარგად ცნობილი ანდაზები, გამოანთქაგები, რომლებიც ჩართულია ოპერის ლირიკტოში. მ. მაღალხონიას ხელწერა საოცრად დახვეწილია, უდავოა, რომ სცენოგრაფია სპექტაკლის საუკეთესო მხარეა.

სპექტაკლის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა დირიჟორმა ი. ტიაურელმა. მას სპექტაკლი მიჰყავს ცოცხლად, ხალისიანად, იგი კარგად გრძნობს მუსიკალურ ფრასს, საორკესტრო თანხლების სპეციფიკას. გამომსახველად ელერდნენ სოლო ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი ფლეიტა პიკოლო (დ. ერქმეიანიშვილი, გ. ტურუხაშვილი). ამასთან ერთად, სასურველია საორკესტრო-ვიოკალური ელერადობისა და მეტრო-რიტმული პარტიტურის მეტი სისუსტე და სიმყარე. რა თქმა უნდა, სპექტაკლის მუსიკალური გამომსახველობა მომავალში უფრო დაიხვეწება, უფრო შეთანხმებული იქნება.

გვეჯერა, რომ მერი დავითაშვილის მგლოდიური, მიმზიდველი მუსიკა, სპექტაკლის ხატოვანი დადგმა, მსახიობთა მიერ არტისტული გატაცებით წარმოსახული პერსონაჟები მოეწონებოთ ჩვენს პატარებს, რომლებსაც უ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის საოპერო თეატრმა ასეთი მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა ბავშვთა საერთაშორისო წლის აღსანიშნავად.

# ქართული ჩეჩენური ისტორიისათვის

ვასილ კიკნაძე

ქარმშელ ხალხს უძველეს დროიდან მოსდგამს დიდი სანახაობითი კულტურა, რომელშიც განვითარების ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. ქართველი ხალხი ოდითიანე ესწრაფოდა შეერწყა და ერთ მთლიანობაში წარმოესახა ცეკვა, სიმღერა, პლასტაჟა, დრამატული ელემენტები, ჟონგლირობა. შრომის პროცესთან და რელიგიურ საკულტურ რიტუალებთან დაკავშირებული სანახაობითი ფორმები გამოხატავდნენ კეთილისა და ბოროტის ბრძოლის მარადიულ იდეას. ქართული სანახაობითი ხელოვნების ერთ-ერთ ფორმას შეიქმნობდა ქაენოფონტე: „მოსანიეები ცეკვას იწყებდნენ სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ. თითქოს სხვებისათვის უნდა ეჩვენებიათ თავიანთი ხელოვნება“<sup>1</sup>. ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ფორმები შეიცავდნენ დრამატული ხელოვნების ელემენტებს, სინთეტური სანახაობის საწყისებს. ქართული არტისტუზმის ფორმების ურთულეს პროცესში გარკვეულ როლს ასრულებდა მისი კონტაქტი ევროპისა და აზიის სანახაობის კულტურასთან. მსგავსი პროცესები საქანაურია ანტიკური საბერძნეთისა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. თითოეული ქვეყანა თავისი ერთეული სპეციფიკის საფუძველზე ქმნის განსხვავებული ფორმების სანახაობას, მაგრამ ისტორიის განვითარების კანონზომიერება თანდათან აკალიბრებს ხალხური სანახაობითი კულტურის გარკვეულ მოდელს. ყველა ხალხი ქმნის თავის სანახაობით კულტურას. ზოგი დიდად განვითარებულს, ზოგი ნაკლებად, მაგრამ ყველა შემთხვევაში იმ უძველეს სანახაობით ხელოვნებიდან წარმოიქმნა თეატრი. უფრო სწორად, იმ პერიოდისათვის თავად განასახიერებდა თეატრს.

თეატრის ისტორიის ყველაზე ნიმუშელოვანი ეტაპი იყო ძველ ბერძნული ანტიკური თეატრი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოს თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში.

თეატრის ცნება სხვადასხვა შინაარსს ატარებდა განვითარების სხვადასხვა პერიოდში. ვგულისხმობთ არა მის საერთო საფუძვლის მონაცვლიობას, არამედ მისი შინაგანი სტრუქტურის ხასიათს. თეატრის ცნება ძალიან დიდხანს გულისხმობდა ორი ელემენტის — დრამატურებისა და მსახიობის ერთობლიობას. თითქმის, საკმარისი იყო მათი „შეერთება“, რომ მაყურებელს თავი თეატრში ეგრძაო. დროთა მანძილზე გართულდა

თეატრის სტრუქტურა, გაფართოვდა მისი შინაარსი. მის წინააღმდეგე წარმოიქმნა ხელოვნების ახალი ფორმები (მხატვარი, კომპოზიტორი, რეჟისორი). მაგრამ თეატრის ისტორიის განვითარების ყველა ეტაპზე მაყურებლისათვის სწორედ ის იყო მისი თეატრი, რასაც იმჟამად თეატრის ცნება გულისხმობდა. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ თეატრის სხვადასხვა კომპონენტების წარმოქმნისა და ფორმირების ისტორიაც. უდავოა ქვეყნარტება, რომ დრამატურგიის გარეშე თეატრი არ არსებობს. აუცილებელია ისიც, რომ იგი არ არსებობს მსახიობის გარეშეც. მაგრამ შეიძლება თუ არა ოდესმე დადგმულიყო სპექტაკლი, რომ თავისი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი არ ყოფილიყო? თუ თეატრის ცნება ისტორიული კატეგორიაა, მისი შინაარსი განიცდის ცვლილებას და ყველა დროს ექმნება შესაბამისი თეატრალური სანახაობა, მაშინ ბუნებრივია, ასევე განვითარებდა პროცესში უნდა წარმოვადგინოთ მისი ყველა ელემენტი. ამ შემთხვევაში გველვისხმობთ რეჟისურას დაე ნუ ეწოდებოდა მას „რეჟისორის“ სახელს. მთავარი სახელწოდება ხომ არ არის! თუ თეატრის ისტორია საერთოდ ვერ წარმოიადგინება დადგმულის გარეშე, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ რეჟისურის ფესვებიც თეატრის ისტორიის სათავეებთან იწყება. მაგრამ ვინ იყო ის პიროვნება, რომელიც თავისი ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა და ამის გამო წინამძღოლად მოცემულ საქმეს? ის გარემოება, რომ თეატრს ხშირად მფარველობდნენ ანა ქვეყნის ძლიერი, სრულიად არ ამცირებს თეატრის კონკრეტული ხელმძღვანელის ფუნქციას. უნდა ვიფარაუდოთ, რომ სანახაობით კულტურას იმთავითვე ჰყავდა თავისი ორგანიზატორი. ისტორიული ასპექტით უნდა განვიხილოთ ამ ორგანიზატორის თანდათან სხვადაცვების, მისი უფლებამოსილების გაზრდა-განვითარების, თეატრალური ხელოვნების ცალკე სახეობად ფორმირების ურთულესი გზა.

ეს არის ერთობ მძიმე და რთული სფერო კვლევა-ძიებისა. განვითარებულნი ვართ ერთ სათანადო მასალათა სიმდიდრით, მაგრამ თემის სირთულე ძიებაზე უარის თქმას არ უნდა ნიშნავდეს. დაე, ყოველმა მძიებელმა ერთი რომელიმე ასპექტი გაამუქოს!...

<sup>1</sup> დ. ჩანელიძის წერილიდან „ანტიკური ხანის საქართველოს თეატრი“. გახ. „ქართული თეატრის დღე“. 1972, 14 იანვარი, გვ. 2.



ჩვენ ერთობ საყვრადღებოდ მიგვაჩინა ს. რიხავეის სურვილი და ტრაქტიკის, რომ სომხურ რევოლუცია სომხეთში ვიკრიბო- დი, ღრმადველის „ბაკანელი ქალების“ დღემდინი იწყება. მას აქეთ კი ორიათასი წელია გასული. მკვლევარი ვერცაღ ანა- ნოზებს სპექტაკლის იდეურ-მხატვრულ მხარეს და დასკვნის, თეატრს ჰქონდა თავისი რევოლუცია.

აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, სომხეთში უძველესი თეატრის არსებობა გარკვეულად ხელს უწყობს უფლისციხის თეატრის არსებობის იდეასაც.<sup>2</sup> უფლისციხის თეატრის იდეას იზიარებს ამა ერთი ქართული მუცენი. მაგრამ უფლისციხის თეატრის არსებობის დასამტკიცებლად არც ერთი მუცენიერ მხოლოდ ანალოგიის პრინციპით არ ხელმძღვანელობს. პროფ ტ. რუხაძე საერთოდ უარყოფს ამ ანალოგიის პრინციპს. მისა- ლხით, ანალოგიების მეოთხედს მსჯელობს სახიფათოა. ანალოგია რომ საბუთი იყოს, მაშინ თუ მეზობელ სომხეთში არა, ბიზანტიაში მაინც უნდა წარმოშობილიყო ისეთივე კლასიკური საერთო მწერლობა, რომელსაც ადგურა ჰქონდა ჩვენში. საქართველოში, XI-XII საუკუნეში<sup>3</sup>, რასაკვირველია, ანალოგია თავისთავად საბუთი არ არის მაგრამ არც მისი უარყოფა მიზანშეწონილი.

მეცნიერულ კვლევა-ძიებაში იგი სასებთი მისაღები და ცნობილი ფორმაა. მი თუფრი, რომ საკითხი ეხება ორი მეზობელი ხალხის ისტორიულ წარსულს, სადაც ხშირად სწორედ ანალოგიური, კულტურული და პოლიტიკური ხასიათის მოვლენებთან გვაქვს საქმე. ბერძნული ანალოგიები ნაით თქმულებები და ლეგენდები, რიტორთა და ფილოსოფოსთა კონტაქტები, რომელიც კოლხიდან არის დაკავშირებული. მდიდარ სულიერ საზრდოს ქმნილად და ხელს უწყობდნენ სანახაობითი კულტურის განვითარებას.

„შივი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცოვრებ ქართულ ტომებს, ძვ. წ. შოთხუთ საუკუნეში, განვითარებულ წყობის სრულად ორიგინალური საფერხლო, საცეცხლი და საპაწიურო სანახაობანი ჰქონდათ“<sup>4</sup>. ბერძენი ისტორიკოსის ეფორუს ცნობით (ძვ. წ. IV საუკ.) „ტიბერანები გატაცებული არიან თამაშით“.

ცნობილია, რომ საქართველოს გატყვევებელი კულტურული ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთთან. იმდენად ძლიერი იყო ეს კავშირი, რომ, მეცნიერთა აზრით, ბევრი რამ შეიჭრა ქართველადან ბერძნულში და ბერძნულიდან ქართულში. ის რაც ამ მხრივ არის შესწავლილი, უკვე იმდენად საუფშველს ვილაპარაკოთ თეატრალურ ურთიერთობაზეც.

ცნობილი მეცნიერის ა. აფაქიძის აზრით, „თუ თეატრალური ნიღბები, ნიღბისან და იტიფობურ ფიქურთა ამოიქნენა მზეივლებთ მხედველობაში, წყრილობით წყაროთა კველა სამახასი ჩვენებას გაეითავისწინებთ და უფლისციხის ყველა ნაკვეთი დარბაზის თეატრად მიინვეის ვარაუდს საფუძვლიანად ჩაეთვლინ, მაშინ საკმაოდ დამაჯერებელი სურათი შეიქმნება ანტიკური ხანის საქართველოს სანახაობითი კულტურის წარმოსადგენად“<sup>5</sup>.

ა. აფაქიძე იზიარებს ა. ურუშაძის შეხედულებებს და ასკვნის,

რომ „ანტიკური ხანის სანახაობების მხოლოდ თეატრები და პიპოდრომები როდ უშეადგენდნენ. როგორც აპოლინო როდოსის სქოლიოს ერთ-ერთი ავტორი ტიმონასე ამბობდა, აიამი უჩვენებდნენ განმასების, დისკოების, მქედას თალამოს, იასონის ტაძარს და სხვა სალოცავებს... ეს ცნობა სანახაობითი დანიშნულების დაწესებულებათა წრეს აერთოთებს“<sup>6</sup>.

სინტიგროსის ვაქტივ, რომ 1938 წელს მსჯელობაში ნაპოვ ერთ-ერთ ქავსუ ასე ეწერა: აქ განისვენებდა მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრალი აქოლისი ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ „ავრალი აქოლისის ერთ-ერთი წოდება „მხატვართუხუცესი“ იხივ ბერძნული სიტყვიით არის გამოსატლურა რომელიც თვით ბერძნულში არ გვხვდება და საკეყოლურად ქართული სინამდვილისათვის არის შექმნილი („მხატვართუხუცესი“).<sup>7</sup> ეს უღერესად საინტერესო ცნობაა. მხატვართუხუცესის არსებობა მარმუნილო ხელმოწერის მაგალ დინეუხე მტკიცელებს. იგი ხუროთმოძღვრებასთან არის დაკავშირებული და მასებთი გასაგებია. რომ ხუროთმოძღვრების განვითარებას მაგალდა საფუხრუხუ საჭირო გამხდარა სპეციალურად განიყოთ მხატვრის ფუნქცია. სავარაუდოა, რომ მხატვრის ფუნქციის წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა სანახაობითი ხასიათის ნაგებობებს, რადგან იგი ყველაზე მეტად საჭიროებდა სწორედ „მხატვართუხუცესს“. აქ ისიც აფიქრებელია (ლოგიკური ექნება), რომ იბერიანთა ამაგვარი თანამდებობის წარმოქმნას ხელს უწყობდა გარკვეული ტრადიციაც. მხედველობაში გვაქვს სწორედ უფლისციხის თეატრი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტურული ნაგებობის მხატვრულ გადაწყვეტას.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ დამოწმებული ქვის წარწერა IV საუკუნით არის დათარიღებული. ამავე საუკუნეში საქართველოს დიდი ურთიერთობა აქვს განაღებულ ბერძნულთან. IV საუკუნის პირველ ნახევარში ფოთის მახლობლად არსებობდა რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღებთ ბერძენ ფილოსოფოსებსაც (თემისტოხოსი). თემისტოხოსი ერთ-ერთ ჭაბუკს განუპრატავს. რომ მნიშვნელობა არა აქვს თუ სადა სწავლობ, არამედ მთავარია თუ რას სწავლობ. თემისტოხოსი ჭაბუკს განუპრატავს: — „მე თითონ, უძვირფასესო ახალგაზრდაც, რიტორიკული დიერელებანი მივიპოვე ვით ადგილს. რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებ ცნობილია, ვიდრე ჩვენი სამშობლო; არა წყნარსა და ღლიზურ ადგილს არამედ პირტის ნაპირზედ, ფაზისის მახლობლად. სადაც უფსალიდან წარსული გემი არგოსი მოადგა. რაც პოეტებში გავერგებმა იწყებდა და შეცავდა აიტაცა, სადაც ცნობილი თერმოდონიტი, ამაზონელთა საყმინი და თემისტოხოსი. აი ეს ბარბაროსული და უმშვიდო ადგილი ერთი კაცის სიბრძნე და სიქველემ ულნიერ და მუშუთა ტაძარი გახდა. რითაც იმინი, ბერძნობითილინი რიტორიკულ სიტატობაში, ბერძნებზეც კი იმარჯვებდნენ“<sup>8</sup>.

საქართველოში შეჯიბრებები ეწყობოდა არა მარტო „რიტორიკულ სიტატობაში“, არამედ ფართოდ განვითარებულ სანახაობით ხელოვნებაშიც. დიონისეს კულტი თავის ვარკვეულებს და თავისებურ გამომხატვლს პოულობდა ქართულ მიწა-წყა-

<sup>2</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1941 წ. გვ. 123.  
<sup>3</sup> ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, „ხელოვნება“, 1949, გვ. 63.  
<sup>4</sup> და. კანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, ფრეილესი პერიოდისად XIVIII საუკუნედ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, გვ. 96.  
<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“ 1972, გვ. 777.

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 777.  
<sup>7</sup> ს. ყაუხჩიშვილი, რას ვიკომობენ ძველი ბერძენები საქართველოს შესახებ, „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 91.  
<sup>8</sup> ციტატა დამოწმებულია შ. ნუცუბიძის წიგნიდან, ქართული ფილოსოფიის ისტორია, საქაბედლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1966, გვ. 95.

ლზეც. უკანასკნელ წლებში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ნიღბები და საკულტო სანახაობითი კულტურის სხვადასხვა ფორმები სულ უფრო და უფრო ნათელა ხდის ქართული სანახაობითი კულტურის სათავეებს. მისი განვითარების მართალ დონეს.

„ძველ სამეგრძეთშიც და დიონისეს კულტის მაღიარებელ ლევისპირეთის ქვეყნებშიც, მათ შორის კოლხეთშიც დიონისეს ლევისპირეთის ერთ-ერთ სიმბოლოდ დღეღინი იყო მიჩნეული. არ შეიძლება ისიც არ გავიხსენოთ, რომ ტრაგედიის საწყისის — დიონისის შემოქმედ და შემომღები პოეტი იერიონი, მით-გადმოცემით, ზღვაში დაღუპვისაგან დღეღინმა იხსნა, ზურგზე შესივა და სამშობლოსთვის გაიქცა. ყოველივე ამის მიხედვით გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ მეასში 1340 წელს აქტიურული ნიღბის სკულპტურულ გამოსახულებასთან ერთად იპოვეს დღეღინა ქანდაკა“<sup>9</sup>.

ყოველივე ეს ძველი ქართული თეატრის სიღრმისეულ ისტორიაზე მეტყველებს. შორეულ საუკუნეებში ჩაყარა საფუძველი ქართულ თეატრს. დროთა მანძილზე იმდენად იმძლავრა მან, რომ ახ. წ. VI საუკუნეს ბიზანტიური ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით ქალაქი აფსურტე „ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კლდეული და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მრავალი სხვა რამე ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია, ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“<sup>10</sup> (ხაზი ჩემია — ვ. კ.). ამ დოკუმენტის სისწორე სხვა წყაროებთან დასტურდება. აფსურტე დღეღინ ქალაქი ყოფილა, და როგორც კ. კესარიელი აღნიშნავს, ქალაქი „სხვა რამეც ჰქონდა“. უნდა ვიფიქროთ, რომ დღეღინ ქალაქი მართო აფსურტე არ იქნებოდა. მაშასადამე, თუ თეატრს და იპოდრომს დამახასიათებელი იყო წარმინდელი დიდი ქალაქისთვის, იგი სხვა ქალაქებშიც უნდა წარმოქმნილიყო. ამ მხრივ ჭკრჯკრებით სათანადო დოკუმენტების უქონლობა არც იმის იწინააღმდეგავს, რომ სხვა ქალაქებში არ იყო თეატრი, და არც მის არსებობას ადასტურებს. ორივე ნომინტი ადგილს სტოვებს ჰიპოთეზისა და ვარაუდისათვის. მაგრამ პ. კესარიელის ცნობა ექვიმუტანლად ამტკიცებს აფსურტეში თეატრის არსებობას. როგორი თეატრი უნდა ყოფილიყო? ცხადია, აქ ლაპარაკია ქართულ თეატრზე, გამორიცხული არ არის, რომ მაშინ იდგებოდა ბერძნული პიესები. ჩვენამდე მოღწეული ცნობის მიხედვით, საქართველოში ესპეტრის წაწარმოების იცნობდნენ IX საუკუნიდან. ძნელად დასაჯერებელია, რომ ბერძნული დრამატურგია ცნობილი არ იყო ბევრად უფრო ადრევე კოლხურ-ბერძნული ურთიერთობის მაშინდელი დონე თითქმის გამორიცხავს ამგვარ ვარაუდს.

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ავიათა სქოლასტიკოსი კოლხებზე წერს: „ძლიერსა და მამაც ტომებს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსც მზრანნიებოდნენ, ამჟომენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლებოდნენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლად... მე არ მგებულება არც ერთი სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორგმული, როგორც თავისი სიძლიერით, სიუფით, ისე ქვეყნადრომთა სიმარტობით. როგორც მინა-წყლის სიჭარბით და მოსავლანობით ისე ხასიათის სიღამაზით და სიეჭვით... მცხოვრებ-

ლები დასკურავენ კიდევ... თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“.

არ როგორი ძლიერი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ფონი ჰქონია იმჟამინდელი თეატრი. განა შეიძლება ქვეყნის ამგვარი აღორძინების პირობებში მას დაწინაურებულ სანახაობითი კულტურა არ ჰქონოდა? როგორც უკვე ვთქვით, ბოლო წლებში არქეოლოგიურმა გათხრებმა, და სხვადასხვა ნიღბების აღმოჩენამ. ერთსობა კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს ძველ წელთაღრიცხვამდე და მას შემდეგ დიდად განვითარებული სანახაობითი ხელოვნება ჰქონდა.

ქართული თეატრის განვითარების გზა ზოგნახაობითა, მაგრამ აქველა შემხიზნებელი ქართული კულტურის მოღვაწენი ცდილობენ თეატრი დაუკავშირონ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული განვითარების საერთო ამოცანებს. გამარჩნილი მოღვაწენი მიდიან ევროპაში, რუსეთში ეცნობიან თეატრალურ ხელოვნებას. ამგვარ ურთიერთობას თავისი დადებითი შედეგო მოჰქონდა. გაჩაღდა მთარგმნელობითი მუშაობა. ვაძლიერდა თეატრისადმი ინტერესი. საქართველოში ჩამოდიოდნენ უცხო დასები. ყოველივე ეს მოითხოვდა სანახაობითი კულტურის ორგანიზაციას. საჭირო იყო რეპერტუარის შექმნა, გარკვეული სა-რეპერტუარო პოლიტიკის გატარება. ამ დიდ საქმეს მეთაური სჭირებოდა. „თეატრალურ-სანახაობით ხელოვნებას წარმოაგდა და ხელმძღვანელობდა სამეფო სახლისკარი. წარჩინებული გვარისა და შეძლების ფეოდალები“<sup>11</sup> მამასადამე, სანახაობებს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს იმასაც იწინააღმდეგავს, რომ იგი გარკვეული იდეოლოგიას გამტარებელი იყო. აშასთანვე, გარდა სამეფო კარის ხელმძღვანელისა, თეატრს თავისი კონკრეტული სანახაობის წარმომდგენი მეთაურიც უნდა ჰყოლოდა. ე. ი. ის დაიბანინ, რომელიც უზაღოდდ დგამდა საექტელს. უნდა ვივსაზრდებოდნენ, რომ მაშინდელ წარმოდგენებში დიდი იყო იმპროვიზაციის რღლი. იმპროვიზატორ მსახიობს ჰქონდა ტექსტი, თემა, მაგრამ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მოქმედებაში ურთავდა თავისსა.

საქართველოში თეატრისათვის უძველეს პერიოდშივე იყო ღირსეული ნაგებობანი. აფსურტის თეატრის გარდა სხვაც ბევარი იყო სანახაობითი კერები. ამ მხრივ ტბიპირთა ცნობა: „ნაჭარმაგვესა სახლსათა მათამაშოსა შინა... სათამაშო სახლებს სიმრავლე თავისაჲადა სანახაობრივი კულტურის განვითარებაზე მეტყველებს.

სანახაობითი კულტურისა დიდ მფარველობას უწევენ ქართველი მეფეები. ისტორიამ შემოგვიჩინა ცნობები თეიმურაზ პირველის, როსტომ მეფის, ვახტანგ მეფის, არჩილის, ერეკლე მეფის სახალის კარის თეატრების შესახებ. განსხვავებულ იყო თეატრთა დონე და მასშტაბი, მაგრამ მათ ერთი საერთო ნიშანთვისებაც ჰქონდათ. ისინი ატარებდნენ გარკვეულ პოლიტიკურ-სოციალურ ტენდენციებს, ასრულებდნენ ესთეტიკურ ფუნქციას. XVII საუკუნის თეატრის შესახებ სანქტეფსო ცნობებზე გვაწვდის არჩილი თხოხულებამი „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაგელისა“.

აქ თეიმურაზი ამბობს:  
 არც მე მინდოდა ბაბაა, მითქვამს, აქებდე რუსთველსა, მას ხარება ენა — მეტყველსა, ვით ტბილი მოსდის თვე სთველსა, მაგარო თეატროსმ ავსებენ, ასპარეზსა და კვლავ ველსა.

<sup>9</sup> დ. ჯანელიძე, ნიღბები და დღეღინი, გზ. „ქართული თეატრის დღე“, 1977, გვ. 2.  
<sup>10</sup> ციტირებულია დ. ჯანელიძის დას. წიგნიდან, გვ. 79.

<sup>11</sup> დ. ჯანელიძე, დას. წიგნი, გვ. 437.



ბასობენ და გვადრან, ქედან ჩანდახან თვალ — სველსა.  
 „სახელწინო“ თეატრის პარულულურად ვითარდებოდა  
 სახალხო თეატრიც, სადაც უფრო ძლიერი იყო ფოლკლორული  
 მოტივები და იმპროვიზაცია. ამ თეატრის ძირითად თემას  
 წარმოადგენდა პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის თავდადების  
 იდეა, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის პა-  
 თოსი. იგი განსაკუთრებით წარმოქმნილი იყო ბერკაპობისა  
 და ყვენობის თეატრში. ხალხურ თეატრს ყავდა თავისი ორგა-  
 ნიზატორი, რომელიც ამავე დროს პროტოვონისტის ანუ პირ-  
 ვეული მსახიობის ფუნქციას ასრულებდა. იმპროვიზატორის ნი-  
 ქით, ორგანიზატორული უნართი დაჯილდოებული ადამიანი  
 ხელმძღვანელობდა სანახაობის მთელ მსვლელობას. სანახაო-  
 ბის ჰქონდა თავისებური რეჟისორული წყობა და გააზრება.  
 გარკვეულად რეგლამენტირებული იყო მისი დრო. მოქმედების  
 პარკეტზე, განსაზღვრული იყო მისი ბუჯაფორია, რეკვიზი-  
 ტი. მასობრივ სანახაობით მოქმედებს გააჩნდა შინაგანი დის-  
 ციპობისა და წესრიგი. ეს ყოველივე უმთავროდ არ ხდებოდა.

სანახაობის კომპოზიციის აგება, გარკვეული მიზანსაცნე-  
 ბის შედგენა, პლატაჟური ეფსტასიში გამახვილებული  
 კურადღება, ჩანაფიქრის შეფუძნება და მისი შესრულების  
 ორგანიზაცია, ფუნქციათა განაწილება — ყველაფერი ეს ერთი  
 ხელმძღვანელის მეთაურობით ხდებოდა და სწორედ მასში  
 იყო „კოდირებული“ მომავალი რეჟისორის სახე.

რეჟისურა ემბრიონული ფორმებიდან თანდათან უფრო  
 რთულ საფეხურზე ვითარდება. თანდათან ჩნდება მომავალი  
 რეჟისორის სახე. ეს პროცესი დაკავშირებულია თვით თეატრ-  
 რის ცნების გაფართოებასთან, მისი სტრუქტურის გართულე-  
 ბასთან. გ. ერისთავის თეატრამდე განვლილ პერიოდში ყვე-  
 ლაზე თვალსაჩინო ძეგრები მანც XVIII საუკუნესთან არის  
 დაკავშირებული. წარმოდგენები იმართებდა მესამეშვილებს,  
 ორბელიანებისა და მელიქიშვილების სახლებში. „თელავში  
 და თბილისში ქართულ კომედიებს თამაშობდნენ მეფე ერეკ-  
 ლეს დროში“.<sup>12</sup> გ. ჭიჭინაძის ცნობით ამავე პერიოდში წარ-  
 მოდგენები იმართებოდა ვიროშიც. ხოლო მეტრამატე საკუენის  
 პირველ ნახევარში თეატრალური ცხოვრება მოიცავს მთელ  
 საქართველოს. თბილისში იმდენად განვითარებულა თეატრი,  
 რომ სანახაობის სხვადასხვა ფორმები წარმოქმნილა. 1845 წ.  
 ლევან მელიქიშვილი გრ. ორბელიანს სწერდა: „აქ მალე-  
 მალე ტანცობა აქვთ. დაიარაღებ ხან თეატრში, ხან ვოლტა-  
 ურებთან აკრომატების სანახავად. ხან მექანოკურ თეატრში,  
 და ძალღებთ კომედიაც არს. წარმოიდგინე სამავე ამ გარ-  
 თობას, კვირაში სამ-სამჯერ წარმოდგენა აქვს და მუდამ  
 ხალხით სავსეა“.<sup>13</sup>

ქართული თეატრში უძველესი პერიოდიდან მაცურებელი  
 თითქმის მუდამ აქცევდა ყურადღებას მსახიობის ხელოვნების  
 სწავლას. ცნობილია ფრიდონის სიტყვები:  
 „ჩემსა სიმკროსა გამწვდელი საშუაითად მზრდელანს,  
 მასწავლეს მათი საქმენი, მასტყუნიდებინა, მწყინიდიანა“.  
 „ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციამო ვიკითხულობთ:  
 „მომღარი ყმასა ყოვლითა სახიობითა და მუსიკითა ასწავებდა,  
 სწრაფ სწავლობდა, მცირესა ხანში ისტატე გადაამატა.  
 მეგონობასა და სახიობისა ოინენი სხვადასხვა რიგი გადააქარ-

ბა“. ტ. რუსხადის ცნობით თელავის სემინარიის წესდებამ  
 შეტანილი იყო: „შესასდლებელ არს ორგანის წესდებამ  
 შინა ნუ უშეტეს ქმნა რომელისამე მოქმედისა,  
 მასისა, კომედისა და რიტორიული გამოცდილსა-  
 ბითა“. წრეში, რომელთა ძალებით უნდა გამოსუ-  
 ლიყო სპექტაკლი, „ახლად დამწყებნი იყვნენ“. ძველი  
 საქართველოს თეატრალური განათლების შესახებ საკმაო  
 ცნობები არსებობს, სახიობის მასწავლებლულად შიძლებოდა  
 ისინი ყოფილიყვნენ, რომლებსაც კარვად ეცოდინებოდათ საგა-  
 ნი. საკულისსმთა აკ. ფლავას შინაგანი: „ყოვლით, ოდენაც კე-  
 ვლიფიფიფიფი რეჟისორი იმავე დროს არის პედაგოგი,  
 აღმზრდელი, ტყუილად კი არ ეძახოდნენ ძველი ბერძნები  
 დიდსაკალოსს (მასწავლებელს), თანამედროვე გაგე-  
 ბით რეჟისორს, რომელიც იმავე დროს პროტოვონისტიც  
 (პირველი აქტორი) და მხრად ავტორიც იყო“.<sup>14</sup> (ხაზი  
 ჩვენია — გ. ვ.). ვიკამათო დებულების პირველ ნაწილზე.  
 შეიძლება თუ არა ყველა რეჟისორი პედაგოგიც იყოს. მაგრამ  
 „დიდასკალოსის“ მისადაგება რეჟისორის პროფესიისათან მე-  
 ტად საინტერესო მინიშნებაა. იქ, სადაც ისწავლებოდა სახიო-  
 ბობა, მისი მასწავლებლები თავისებური რეჟისორ-პედაგო-  
 გებიც იყვნენ.

XVIII საუკუნის ქართული თეატრის განვითარებისათვის  
 დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ-რუსულ ურთიერთობას.  
 ურთიერთობა და კულტურული ზეგავლენა ორმხრივია. ქარ-  
 ველი მოღვაწეები წარმატებით ცნობიან რუსულ კულტურას  
 საერთოდ და თეატრს კერძოდ. ამგვარი კავშირი ხელს უწყობს  
 ქართული თეატრის განვითარებას. მთორ მზრვი ქართულ  
 მოღვაწეთა ნაწილი რუსეთში აგრძელებს მოღვაწეობას. მაც.  
 ზანდუკელს, რომელიც ცნობილი იყო სანდუნვად, დიდი  
 წარმატება ჰქონდა რუსეთის თეატრში, მის ერთხანს რეჟისო-  
 რის თანამდებობა ეჭირა. დიდ მუშაობას უწევდა შალივაშვი-  
 ლიც. ასე რომ, საკმაოდ ძლიერი იყო XVIII საუკუნის რუსულ  
 თეატრში ქართველთა წვლილი ამასთანავე ქართულ თეატრზე  
 თავისებურ გავლენას ახდენდა ქართველ მოღვაწე-  
 თა მოგზაურობა რუსეთში, იქ ეცნობოდნენ რუსულ თეატრს.  
 „მოგზაურებმა ოსებ გელვანაწივლმა, გაბრიელ რატკიშვილმა,  
 ნიკოლოზ ონიკაშვილმა, გიორგი ავალიშვილმა, გრიგოლ ბატ-  
 კონიშვილმა და ვაგის რეჟისორმა დავილტოვეს ცნობები იმის  
 შესახებ თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინეს მათზე უცხო-  
 ურმა თეატრებში“.<sup>15</sup> რუსეთში მიიღო განათლება ერკლეს  
 კარის თეატრის მოღვაწეებმა ბაბრიელ მაიორმა. თ. ბატონიშვილის  
 თქმით, გაბრიელი იყო „კაცი ფრიად მხნე და განსწავლული“.  
 ერკლეს კარის თეატრში ცნობილი იყო მარაბელის გვარი.  
 მისი შესახებ ძუნწი ცნობათა შემოინახული ყველაზე მნიშვნე-  
 ლიანად მანც: თ. ბატონიშვილის ცნობა. მარაბელი ისე რო-  
 გორც დასის სხვა წევრები, გმირულად დაიღუპნენ ალა-მამად-  
 ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. „კვალდ მცხოვრებთავან. —  
 წერს თ. ბატონიშვილი — ტყუილისათა გამოირეგლია იქნეს  
 კანნი მამაგინი და მარკვენი, რომელთაცა აღირჩიეს წინამძე-  
 ვრად თვისდ კაცი ვნწუ მსახიობი (რომელსაც სახანდრად  
 უხმობენ). ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსა-  
 ხიობთავან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი. და ესე იყო უფ-

<sup>12</sup> მ. აბაშიშვილი, „ძველი ქართული თეატრი“, ქუთაისი, 1925, გვ. 31.

<sup>13</sup> ტ. რუხაძე, „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, ხელოვნება, 1949, გვ. 79.

<sup>14</sup> აკ. ფლავა, ლალი ქოსტოშვილი, ფედერაცია, 1938, გვ. 159.  
<sup>15</sup> ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, ხელოვნება, 1949, გვ. 64.

(გარკვეულმა იხ. 42-ე გვერდზე).

# ფიზკულტურა და სპორტი ქართულ სახვით ხელოვნებაში



დიდი რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ მოეწყო საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში, საინტერესო და სახვითი ხელოვნების ოსტატათათვის ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობების მომცველ თემას — ფიზკულტურასა და სპორტს მიძღვინა. ამ თემამ ასახვა კპოვა ქართველ მხატვართა ფერწერულ ტილოებში, გრაფიკულ სერიებში, სკულპტურულ პორტრეტებსა თუ კომპოზიციებში, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებში. სპორტული თემატიკისადმი ხელოვანთა ინტერესს, მისი ესთეტიკური გააზრებისა და ემოციურ მხატვრულ სახეებში განსახიფების სურვილს, უპირველეს ყოვლისა, თემის მრავალპლანიანობა განაპირობებს.

ექსპონატებს შორის მრავლად იყო ისეთი ნამუშევრები, სადაც წინა პლანზე იწვევს უშუალოდ სპორტული ორთაბრძოლის დინამიკა, მისი დრამატიზმი. გარკვეული ადგილი დაეთმო ხალხური თამაშობების ამსახველ სურათებსაც.

გამოფენაზე წარმოდგენილი ბევრი ნამუშევარი ხოტბას ასხამდა ადამიანის სხეულის პლასტიკას, მის ძალასა და შესაძლებლობას. და ალბათ მთავარი, რაც იზიდავს ხელოვანთა ყურადღებას



სპორტის თემისადმი — ესაა შესაძლებლობა მხატვრული საშუალებებით სორტი შეასხან თავიანთ წარმოდგენას კარნივლიად განვითარებულ პიროვნებაზე, თანამედროვე ადამიანის იდეალზე.

მხატვართა უმრავლესობისათვის სპორტის თემა უკავშირდება ბუნებასთან, გარე სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობის პრობლემას. ამ ესთეტიკური ამოცანის შემცველ ნაწარმოებებში თითქოს უარყოფილია ბრძოლის, სიმძლევა აქტიური დაძლევის თემა და კარნივლი, თვით ფიზიკური ძალა და ენერჯია სულ სხვა კატეგორიაში წარმოგვიდგება.

ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი სახელოვან ქართველ სპორტსმენთა ფერწერული თუ სკულპტურული პორტრეტები. ამ ჯანრის ნამუშევრებში მხატვრები ცდილობენ ხაზი გაუსვან იმ ფიზიკურ და სულიერ თვისებებს, სპორტი რომ უწვევითარებს ადამიანს.

რაც შეეხება გამოფენის საერთო მხატვრულ დონეს, იგი იწვევდა უკმაირისობის გრძობას. ექსპონატების მხოლოდ მცირე ნაწილი ნათელიყოფდა ხელოვანთა შთაგონებულ დამოკიდებულებას არჩეული თემისადმი, მოწოდდა შემოქმედებითი ამოცანის ღრმა გააზრებას. ასეთ ნამუშევრებს შორისაა დ. ერისთავის „სრბოლა“, გ. ლლიონისა და გ. წერეთლის გრაფიკული სერიები, ა. მონასელიძის სკულპტურული კომპოზიციები „ჭიდაობა“ და „წმინდა გამარჯვება“, ს. გირკელიძის „სპარტაკი“ და სხვა. ნამუშევართა უმრავლესობა კი უკეთესის სურვილს ბადებდა, როგორც მხატვრული გადაწყვეტის, ისე სახვითი ოსტატობის დონის თვალსაზრისით.



ს. გირკელიძე      სპარტაკი  
დ. ერისთავი      სრბოლა  
მ. ჭავჭავაძე      მანუჩარ მანაიძის პორტრეტი  
გ. ლლიონი      სპორტდარბაზში





როსი მსახიობთა და ცნობილი იყო სამეფოსა სახლს შინა. ესე იყო გვარგულებითა და სარწმუნეობითაც ქართველი, რომელსა სახელ დებენ მაჩაბლად.<sup>14</sup>

როგორც ვხედავთ, მაჩაბელი ერეკლეს კარის თეატრის მსახიობთა (ე. ი. დასის) უფროსია ყოფილა. თეატრის ხელმძღვანელთა კი იმას ნიშნავდა, რომ დასის მეთაური წარმოდგენებზეც დგანდა რადგან ჯერ ერთა, მაჩაბელი ამ დასის მოწინავე და აღიარებული მსახიობი იყო და მეორეც, ამას ავალუბდა საერთოდ თეატრის ტრადიცია. XVIII საუკუნის დას. ევროპული სპექტაკლებს სწორედ დასის ხელმძღვანელები დგამდნენ. მესე რომ არ იყოს, სხვა რა ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა მაჩაბელს? შემთხვევითი არც ეს არის, რომ აღამაჰამად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში „მამაცი და მარჯვენი“ შემოშრების მეთაურად აირჩიეს მეფის ერთგული წარჩინებულ იყო, თეატრის ხელმძღვანელი მაჩაბელი, რომელიც „ცნობილი იყო სამეფოსა სახლს შინა“.

XVIII საუკუნეში იწერება და ითარგმნება პიესები. ამ მხრივ ყველაზე დიდ როლს ასრულებს გ. ავალიშვილი. გ. ავალიშვილი ითარგმნა ა. სუმაროვიჩის პიესას, ითარგმნება ფრანგული კლასიციზტური ნაწარმოებები. სცენაზე იდგებოდა ორიენტირებული და თარგმნილი პიესები. გ. ავალიშვილის თეატრისა და დრამატურგიისათვის დამახასიათებელია მაღალი ზნობრივი პრინციპების დაცვა. იგი სპექტაკლის (პიესის) დასაწყისში მაყურებელს (მეიხველს) განუმარტავდა ნაწარმოების მიზანს, აუწყებდა, რომ კეთილი და მაღალი მიზნები ჰქონდა დასახული. საუკუნისმთაის ფაქტორი, რომ გ. ავალიშვილის ნაწარმოებები დიდ ყურადღებას იქცევს მოქმედების განვითარებაში. ეს ტენდენცია იგრძნობა დ. ჩოლოყაშვილის „ფეიდანიაშიც“. ტ. რუხაძის აზრით, „თეატრალური დეკორაციები, მოქმედებისა და სურათების შუა რამ იკვლევდა, ითიქვის ხელ არ მოეპოვება სუმარიკოვსა და ფრანკ კლასიციზტის. საერთოდ ისინი არაფერს არ ავალუბენ ამ მხრივ რეჟისორს. ირაკლის დროის ქართული სცენისა და პიესის დეკორა. თუ მაინც და მაინც „ფეიდანია“ და „ველისორი“ გვეყვება მხედველობაში, მდიდარია, ზოგჯერ კი მეტის-მეტცი კი არის“.<sup>16</sup>

არ არის სწორი, რომ თითქოს თეატრალური დეკორაციების მხრივ რეჟისორს არაფერს ავალუბენ ფრანგული კლასიციზტური დრამატურგია. „კლასიციზტური ესთეტიკის მიხედვით სცენაზე ყველაფერი შეაყრდნენ განსაზღვრულ ნორმებს ემორჩილებოდა. რასინი თავად იყო მთავრისწავი რეჟისორ-პედაგოგი. მან დიდი როლი შეასრულა ფრანგული სამსახიობო და სასცენო ხელოვნების გარდაქმნაში“.<sup>17</sup>

საერთოდ კი „ფრანგული კლასიციზმის სასცენო სკოლამ დიდი როლი ითამაშა სამსახიობო ხელოვნების განვითარებაში მთელ ევროპაში. მან აღამაღლა მსახიობის კულტურა და ისტატობა, შეასწავლა მათ მუშაობა როლის შინაარსზე“.<sup>18</sup> მიუხედავად კლასიციზმის დოგმებისა, მის სამსახიობო ხელოვნებაში წარმოიქმნა შტამებისა. მან მაინც შეკეთარდა ამაღლა რეჟისორ-პედაგოგის როლი თეატრში. რეჟისორის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მსახიობთა თამაშის ერთიანი რეგლამენტირებული სტილის შექმნა. რასინი თითონ დგამდა

თავის ტრაგედიებს, ქმნიდა სპექტაკლის საინტერესო სახე მუშო რეჟისორულ ვარტიკულას.

სავარაუდოა, რომ ქართველი მოღვაწეები, როცა კლასიციზტურ პიესებს თარგმნიდნენ, მის დადგმით მარასაც ითვლიდნენ სწინებდნენ. კლასიციზმის ესთეტიკით განსაზღვრული მოქმედების, დრისა და ადგილის მილიანობა გარკვეულად იქნეს უწყობდა სპექტაკლის სადადგმო კულტურის გამოვლენას.

ქართულ თეატრში საკმაოდ ძლიერი გამოძახილი პირველ კლასიციზმმა, იგი საკანგებო კვლევას საჭიროებს. მაგრამ ერთი რამ შეიძლება გარკვევით ითქვას: გ. ავალიშვილის თეატრმა გარკვეულად აამაღლა სპექტაკლის სადადგმო კულტურის მნიშვნელობა. უფრო აქტიური ჩანს რეჟისორის ხელი სპექტაკლის იდგურ-სპექტრულ მოარტებაში.

XVIII საუკუნის თეატრში წარმოიქმნა ტენდენცია, რომელიც ხაზს უსვამს ენოგრაფიის მნიშვნელობას, ეს იმის მაყურებელიც არის, რომ რთულდება ქართული სპექტაკლის სტრუქტურა, მაღლდება დამდგმელი რეჟისორის იწვევა. დასის წესრიგში დგება სცენის სივრცის პრობლემა, ფრანგულადგმის სახანაობითი კულტურა. მეტი ყურადღება ექცევა მსახიობის სამოქმედო გარემოს დაკონკრეტების საკითხს. ყველაფერა ეს პირდაპირ კავშირშია რეჟისორის პრობლემასთან. ჩანს, რომ თანდათან იზრდება თეატრის როლი. მეტი ხალხობაც ეტანება მას მაყურებელი. თვალსაჩინო ხდება თეატრის ადგმითა და სამოქმედო კულტურის სრულად ამიტომ იყო, რომ „ი დროს. — წერს ე. კოჭიანი — ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია წარმოდგენებს. ასე რომ, ხალხი სთხოვდა გამარბთველებს, ერთი კიდევ „სასახანებეცველით“.<sup>19</sup>

ქართული თეატრის განვითარებას ხელს უწყობდა სხვადასხვა ფორმის სახანაობითი კულტურა. თეატრი იტყვებოდა და მდიდრდებოდა სხვადასხვა შენაკადებით. ფართოდებოდა თეატრალური საცქაროს თვალსაწიერი. ქართველი მოღვაწეები ყოველნაირად ცდილობდნენ მის მიმდლარებას. მართალია, ეწეოდა თავისი მოძღვრებით ვერ ეგუებოდა „საემუაყო სანახაობას“. ზღერამ ამასთანავე ობიექტურად თვით ეკლესიაც ხელს უწყობდა თეატრალური, სახანაობითი კულტურის განვითარებას. რადგან მისი რიტუალები სწორედ თეატრალურისა საფუძველს ემყარებოდა. ამასთანავე მე-17-18 საუკუნის საქართველოში, საერთო თეატრის გვერდით, არსებობდა საეკლესიოც (იგივე ხდება რუსეთშიც). საუკეთესო თეატრის თავისი რეჟისურაც ჰქონდა. სავროსაგან განსხვავებით მის მეტი ცნობილი პირობებიც გააჩნდა. რათა უფრო მდიდრულად წარმოედგინა თეატრალურზე მისი სახანაობა, რომელიც იესო ქრისტეს განსაზღვრულად იყო შექმნილი.

როგორც ცნობილია, მე-17-18 საუკუნის საქართველოში გარკვეულად გააქტიურდა კათოლიკური მოძრაობა. დას. ევროპა დაინტერესებულ იყო მისი გავრცელებით. საქართველოში ბევრ პროგრესული მოღვაწეს ეჭირა თვალს ევროპისაკენ. ფრანგმა დიტილიმმა, მისიონერებმა „ჩვენში დააარსეს ეკლესიები და სკოლები. ერთი ასეთი სკოლა თბილისში დაარსებულა 1630 წელს... ცნობილია, რომ ევროპაში ამ ტიპის სკოლებში ასწავლობდნენ თეატრალურ და ობიექტურ ხელოვნებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საგნები თვით ისწავლებოდა საქართველოში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებშიც. მისიონ-

<sup>16</sup> ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, „ხელოვნება“, 1949, გვ. 159.

<sup>17</sup> დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორია. ტ. I, „ცოდნა“, 1961, გვ. 724.

<sup>18</sup> დასახ. შრომა, გვ. 732.

<sup>19</sup> ე. კოჭიანი, ლიტერატურა და ხელოვნება, 1964, გვ. 40.



რები საქართველოში მართავდნენ მისტერებს. სწავლის მისაღებად საქართველოდან რომში მიიღოდა ქართველი ახალგაზრდები. სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ისინი საქართველოში ბრუნდებოდნენ. მართალია, სასწავლებელ დამთავრებულთა დიდი უმრავლესობა სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ იტალიაში ყოფნის დროს, მათ მსწავლეობიდან არ გამორჩეულდა იტალიური ხელოვნების მიღწევები, კერძოდ სკულპტურა და საერო თეატრები. მათ უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრალურ ხელოვნებას თავისებურად კიდევ ასწავლიდნენ<sup>20</sup>.

საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება. აღენიშნათ მხოლოდ ერთს. 1627 წელს ნიკოლოზ (იგივე ირახაი) ჩოლოყაშვილი, რომელსაც განათლება რომში ჰქონდა მიღებული, ეწვია პაპს. „ვატიკანის საგანგებო კონგრეგაციაში მომწიფებული საკათოხი ქართული სტამბის დაარსებისა განსწავლული ქართველის ჩასვლით რეალური გახდა. ქართული ანბანის ჩამოსხმა და ქართული წიგნის დაბეჭდვა ბუნებრივია, მოითხოვდა ქართულის კარგ მცოდნეს და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმაც არ დააყოვნა. წიგნის მომზადებაში თავის უშუალო მონაწილეობის გარდა, ქართული შესწავლა სტეფანე პაოლინის — შემდგომში ქართულ-იტალიური ლექსიკონის უბადლო შემდგენელს... და აი, 350 წლის წინათ, 1629 წელს, რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნი... ამან დასაბამი მისცა შემდგომი ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს“<sup>21</sup>. მე-17 საუკუნეში რომში დაარსდა ქართული ენის კათედრა, რომელიც ძირითადად იტალიელებისათვის იყო განკუთვნილი, რომ ქართული ენა შეესწავლათ.

ამ პერიოდში იტალიის თეატრი (როგორც საეკლესიო, ისე საერო) უაღრესად პოპულარულია. კომედია დელ არტეს თეატრი დიდ გავლენას ახდენს ევროპის თეატრალურ კულტურაზე. განსაკუთრებით ფასილებია მისი იმპროვიზაცია. იტალიის პიროფიქსულ თეატრს, მის სამახინობო ხელოვნებას ნოყიერი ნიადაგი აქვს. ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუალედში ლეონარდო სომი წერს შრომას „საუბრები სასცენო ხელოვნების შესახებ“. ეს არის პირველი თეორიული ნაშრომი იტალიაში. სომი იყო დამდგმელი რეჟისორი და ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შრომას იტალიის თეატრის რეჟისურის ისტორიაშიც.

იტალიასთან კულტურული თუ თეორიულობის განვიხილავთ. ქართველთა და იტალიელთა კონტაქტები, გარკვეულად აფართოვდა და ამდიდრებდა ქართული თეატრალური-სანახობითი კულტურის ფონს.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს თეატრალური ცხოვრება კვლავ ორ განსტამბას შეიცავს. ერთს ხელმძღვანელობენ თავადაზნაურების მოწინავე წარმომადგენლები. მეორეს ხალხის უფართოესი მასები, რომელიც იმპროვიზაციის თეატრის გზით ვითარდება. ორივეს ჰყავთ თავიანთი ენთუზიატები, საქმის კარგი ორგანიზატორები. — რეჟისორები.

ქართველმა მოღვაწეებმა კარგად იციან თუ რა პროცესები ხდება მათ. ევროპისა და რუსეთის თეატრში, ქართულ თეატრში იგრძნობა მისი გამოძახილი. პირველ რიგში ანგარიშგასა-

წვება ქართველ მწერალთა დამოკიდებულება რუსულ და დივერსიულ თეატრებისადმი. რადგან საქართველოში მწიგნობრებს ხვდათ თეატრის ისტორიული მისიის შესაფუძვლება.

მიუხედავად ამისა, ვასარკვევია: როგორი იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თეატრალური ცხოვრება?

რა ფორმაში ვლინდება რეჟისორული აზროვნება?

გაუთქოს საუკუნის პირველ ნახევარში გამოდევძებულა სასოვადობრივი აზროვნება. საუკუნის ნივორ მეთოსედა „მეძრა გონება და გული მაშინდელი ყმაწვილ-კაცობისა“<sup>22</sup>.

სულიერი გახალხება დაეტყო ყველაფერს. თანდათან მწიფდებოდა აზრი თეატრის განახლებისადმი. მაღლდებოდა საოთქრო აზროვნების დონე. დიდ ინტერესს იწვევს ქართველ მოღვაწეთა შესხედულებანი ხელოვნებაზე „ს. დიდაშვილის შემედლებანი ხელოვნებაზე — წერს ნ. ურუშაძე — არა მარტო თავისუფლად გაუთქობდებოდა იმ დროს გველა მოღვაწის ნააზრებს ამ დარგში, არამედ დივრს გასწრების კიდევ წინ... ჩვენთვის ისაა ყურადღაბები, რომ ქართული პროფესიული თეატრის გახსნას და ქართული თეატრალური კრიტიკის პერიოდულ პრესაში დაბადებას წინ უძღვის ასეთი მაღალი აზროვნება ხელოვნების გარშემო“<sup>23</sup>.

ს. დიდაშვილი მძისაბო მიწერილ წერილში წერს: „ჩვენს ქალაქში წარსულ კვირას იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა. საკურგელად წარმოადგინეს, მერწუმზე, უკეთესად არღა შეიძლებოდა. გარნა რა წარმოადგინეს და ვითარ ამას ყოველივეს საკურირე მოჰწერ“<sup>24</sup>. ჩვენთვის აქ ყველაზე მეტად საინტერესო ის ფაქტია, რომ ს. დიდაშვილი პირდაპირ დასწრის როგორ წარმოადგინეს. მასხადამე, საკითხები ეხება წარმოდგენის არა მარტო აქტიორულ, არამედ რეჟისორულ მხარესაც.

თეატრზე ფიქრობენ, პიესებს წერენ, თარგმნიან. წარმოდგენებს და გასართობ საღამოებს სდგამენ ქართველი მოღვაწეები: ნ. ბაიათაშვილი, ს. დიდაშვილი, გრ. ორბელიანი, თეიმურაზ, იოანე და ოქრობიანი ბაგრატიონები დაღებები არ შემოიფარგლება მარტო საღამოს ორგანიზებით. ისინი უკვე კარგად ერკვევიან თეატრის სპექტაკლის საკითხებში. იცან თეატრის დიდი მნიშვნელობა, იცან, რომ „პირველი საღამინო აღკვილი არს თეატრი, რომელცა გამოაჩენს ხარისხსა და ერის განათლებას“ (გ. ორბელიანი). თეატრის დრმა ცოდნით არის შესრულებული ოქ. ბაგრატიონის მიერ „ეფხვისტყაოსნის“ ინსცენირება. ეს არის ხუთმოქმედიან ტრაგედიად გადაკეთებული პოემა. ნაწარმოებს წინ უძღვის ახსნა-განმარტება თუ რა პირიცააზე აიგო ტრაგედია. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ავტორის სიტყვები „ყოველივე სცენა და გინდა წარმოდგენა ერთ მთორვედ დამოკიდებულ არიან და უმიზნოვდ არც ერთი არ არის ნაშარი“<sup>25</sup>. დასასრულ დასაკვნის, რომ ფინლის ცვლილებები ჩავატარე „დაკვირებად მოქმედებისა და შესაბამისად თეატრისა მოვიხილავ“ ოქ. ბაგრატიონს გარკვეულად წილად რეჟისორულ ფუნქციაც შეუხარებლობა. პოემა იყო გადაუკეთებია რომ მასში ნაკლისსმეგია დადგმითი მხარცე. პირველ რიგში, რომ „ყველა სცენა მთორვედ დამოკიდებუ-

20 ა. ვაჩიანი, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიადან, ხელოვნება, 1957, გვ. 13.  
21 რ. მეტრეველი, აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ... ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 7, გვ. 78.

22 ი. პავლევი, ოზულებანი, ტ. III, სახელმწიფო გამომცემლობა, ობ., 1953, გვ. 238.  
23 ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის კრიტიკა, „ხელოვნება“, 1953, გვ. 102-103.  
24 ნ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 103.  
25 ნ. ურუშაძე, დასახ. წიგნი, გვ. 112.



ლი არიან<sup>26</sup>. მასში არაფერი არ ხდება უმისოდ. მოქმედების განვითარების მთლიანობა, ნაწარმოების სტრუქტურის გარკვეულობა, მიზნის სიხვედრე და საერთო დიდი ინსცენირების ერთ მთლიან მოვლენაში მოაზრება თავისთავად დრამატურული და თეატრალური აზროვნების შესაბამისობას, მის მაღალ დონეს გულისხმობს, რაც არაპირდაპირ გზით „ინსცენირების“ ადგილზე მხარესაც მოიცავს. სასოგადოებრივი აზრი იმდენად მომწიფებულა, რომ იგი ყურადღების გარეშე არ სტრუქტურის რეჟისორულ მხარეს.

„ალრძინების ხანის დასავლეთი ევროპაში შექმნა არა მარტო დიდი დრამატურგია და თეატრი, არამედ უდიდესი როლი შეასრულა რეჟისურის ფორმირებაშიც. შესაბამისი პერიოლი ქართული თეატრი და დრამატურგია ვერ მაღლდება აღორძინების დროის თეატრალური სელოფენების დონემდე და ამდენად არც ქართული რეჟისურა ისე წამოჩნდება. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე იმდენად მომწიფდა ქართული თეატრალური-სანახაობითი კულტურა, რომ მან გარკვეული ნიდაგი შეუქმნა რეჟისურის საწყისების წარმოქმნასა და განვითარებას.

თეატრის ფუნქციის თანდათანობით ზრდა, მისი სტრუქტურის გართულვა ხელ უფრო და უფრო აუცილებელს ხდის თეატრში იმ ადამიანის წამოჩენას, რომელსაც შემდეგ რეჟისორის სახელი ეწოდა.

ძველ ქართულ თეატრში არ იყო რეჟისორული ხელისუფლება, მაგრამ იყო განვითარებადი რეჟისურის საწყისები, რომელთაც ფორმირების ერთობ ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა.



ქართული რეჟისურის ფორმირების ხანგრძლივ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ვ. ერისთავის თეატრის რეჟისურა იყო. საკმე მარტო პროფესიონალური თეატრის აღდგენას როდი ეძება აქ უფრო რთული თეატრალური პროცესებია განვინილი. თვით ეპოქის ხასიათშია საძებებელი იმეამინდელი თეატრის თავისებურება მიხეზებში. ეს ის პერიოდია, როდესაც თანდათან ქრება „პატარაგალური ცხოვრების საუკუნის მოსვენება“<sup>26</sup> იწყება ცხოვრების გარდაქმნები რომელიც თავისებურ გამოძახილს პოულობს ლიტერატურასა და თეატრში. ამ დროს „რუსეთის კაპიტალი კავკასიას ითრებდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში“<sup>27</sup>, მსოფლიო ბრუნვაში არის მოქცეული ქართული თეატრიც. თეატრი ერთმანეთს ეუროპის სუბთევას. ეს არის არა მარტო ძლიერი აქტიური დინდივდულების წარმოჩენის, მათი სამშენარულბლო ხელოვნების წარვით განვითარების საუკუნე. არამედ განვითარებულ თეატრალური აზროვნების ეპოქაც „მსოფლიო სტანდარტების“ დონეზე ილიას, აკაკის, ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, ვ. ყვიფიანისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა თეატრალური ნაწარვები. იმეამინდელი რუსული და დასავლეთი ევროპული თეატრალური ცხოვრებაში არ წამოჭრილა თითქმის არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი თეატრალური პრობლემა. ქართული მოღვაწეთა ყურადღების გრძელზე რომ დარჩენილიყო. ყველა საკითხს მისწავდა ქართულ მოღვაწეთა აზრი, თეატრის თეორიის და პრაქტიკის ყველა სფეროს შეეხო მათი კავაში. მათ ნაწარვში კარგად იკითხება არა მხოლოდ ქართული თეატრის თავისებუ-

რება, არამედ ის საერთოც, რაც დამახასიათებელი იყო რუსულ და დას. ევროპის თეატრებისათვისაც. სხვადასხვა ქვეყნის მხარე დღევანდელ ხმირად ერთნაირად ფიქრობდა, ერთნაირი კრიტერიუმებით განიხილავდნენ ხოლმე თეატრალური პროცესებს, ამიტომ გასაგებია, რომ საგვებით ბუნებრივად იქმნებოდა სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური პარალელები. მათ წარმოქმნას საფუძვლად ედო, ერთი მხრივ, მსგავსი სოციალ-პოლიტიკური მიზეზები, შემოქმედების საერთო. ზოგადი კანონზომიერებანი-ლოო, მეორეს მხრივ, ფართოდ განვითარებული თეატრალური ურთიერთობანი. სხვა ხალხების კულტურისაგან მოწყვეტით არც ერთი ქვეყნის დიდი თეატრალური ხელოვნება არ შექმნილა. არც საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამაჩნისლის ქართულ თეატრშიც იყო რუსული და დას. ევროპის თეატრის გამოძახილი. ეს მას ხელს არ უშლიდა შენარჩუნებინა თავისი თვითმოყვარობა. პირაქით, ფართოდ გამოვლი კულტურული ურთიერთობა ხელს უწყობდა ახლის ძიებას. ამდენად თეატრის საერთო კულტურას და საბოლოოდ ყველაფერს უმორჩილებდა აზროვნებ სტაქიას, ეროვნულის სუბში გადაწყვეტობა ხოლმე ყოველი უცხოურიც. ამაში ეროვნული თეატრალური ენერჯიას სიდიადე, მისი დიდი შემოქმედებითი ძალა. ამ პერიოდის ქართულ თეატრს ერთობ ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტო. ევროპას უკვე გადაჭრა მთელი რივი თეატრალური პრობლემები, სწორ გზაზე დადივდებინა ესა თუ ის თეატრალური საკითხი. მოენახ მისი გადაწყვეტის გზები ერთ-ერთი ასეთი საკითხი სექტუალის დადგმას ეხებოდა. არსებითად, ეს იყო რეჟისურის პრობლემა. მართლაც, რეჟისურა იმდენად ფართო პლანში იზრდებოდა, ისე ყოვლისმომცველი ხდებოდა და ისე რთულ წინააღმდეგობებში ფორმირდებოდა, რომ მის რთულყოფას ერთობ დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ იგი თავისი მხატვრული დინთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წინ უსწრებდა ქართული თეატრის რეჟისურას, ქართულმა რეჟისურამ ვი შემიძღვ იმდენად იმძლავრა, ისე დანამკურად განვითარდა იგი, რომ მალე არამცთუ მხარი გაუსწორა მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორულ მიღწევებს, არამედ ზოგ შემთხვევაში წინ უსწრებდა კიდევ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული რეჟისურა განვითარების თვით ეტაპების მიხედვით არსებითად ისეთსავე ვხას ვაივლის, როგორც რუსული და დას. ევროპული თეატრი.

ქართულ თეატრს წინ მიუდევან დიდად სახელოვნო მამულე-შვილები, თეატრს თავის დროისათვის გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები მეთაურობდნენ ისინი იყვნენ ქართული წყურლის თავცაცები. მათ ზუსტად სამოღვაწეო ორიენტირი ჰქონდათ იყოდნენ რა სჭირდებოდა ხალხს, ქვეყანას, ხალხის სამსახურში ჩააცვდნენ თეატრაც. მათ შექმნეს მე-19 საუკუნის ქართული თეატრალური აზროვნების მაღალი დონე.

ილიასა და აკაკოს, ვ. შქუხიას და ვ. ყვიფიანის, ვ. გუნიას თეატრალური შეხედულებანი საგვებით ბუნებრივად თავსდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე მსოფლიოს თეატრალური ნაწარვების საერთო დინამში. მათთვის ნაცნობი იდეასაგებია მსოფლიოს დიდ მწერალია და თეატრალურ მოღვაწეთა შეხედულებები. ისინი მზარებდნენ თეატრის ისტორიული მიზნის მათებურ განსაზღვრას და ნათლად გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ქართული თეატრის დანაშენულებად.

<sup>26</sup> ა. წულუკიძე, ოხულებანი, 1967, გვ. 91.  
<sup>27</sup> კ. ო. ლინიჩი, ტ. III, მე-4 გამოც. 1948, გვ. 404.



მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ინტენ-  
სიური თეატრალური ცხოვრება განაღებულ. ქართული წარ-  
მოდგენების პარალელურად იმართება საგასტროლო სექტა-  
კლები საქართველოში მოდიან რუსი, სომეხი, უკრაინელი,  
აზერბაიჯანელი. თეატრალური მოღვაწეები. სდება გამოცდი-  
ლებათა ურთიერთ გაზარება, შემოქმედებითი თანამეგობრობა.  
ქართული პერსონაჟი იბრუნება ტიტკები რუსული, სომხური-  
ფრანგული, ბერძნული. ინგლისური და სხვა თეატრების შესა-  
სებ. ქართული თეატრი ინფორმირებულია თუ რა სდება თეატ-  
რალურ მსოფლიოში. ამ ფართო თეატრალურ დინებაში, პრო-  
ბლემებისა და თემების მრავალსახეობაში თანდათან, დროთა  
განმავლობაში სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერს რე-  
ისურის საცხოვრებელი.

რეისურის პრობლემების თანდათანობითი წარმოჩენის  
პროცესი უკვე იგრძნობა მე-19 საუკუნის 50-60 წლებიდან.  
მართალია, ამ პერიოდში შედარებით ნაკლებია საუბარი რეჟი-  
სურაზე, ვიდრე ამავე საუკუნის ბოლოს. მაგრამ რეისურის  
წარმოჩენის პროცესი თანდათან გრძელდება. გასული საუკუნე  
ქართულ თეატრში მოაგვრება ისე, რომ იგი სასებით ამზა-  
დებს ნიადაგს აღმავლობისათვის. რეისურის განვითარების  
შინაგან უწყვეტ დინებას ლოგიკურად მივყავართ თვისობრივ  
ნახტომამდე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მე-19 საუკუნის ბი-  
ძგი, რომ სულ მალე რეისურის ორბიტაზე მოექცა მთელი  
ქართული თეატრალური სამყარო.

რეისურის განვითარების ეს აღმავალი ხაზი საკმაოდ  
ზოგჯერ იმეორება. მაგრამ ეს ფორმაც არ უნდა ქონდა მას.  
როგორც ძლიერად არ უნდა ყოფილიყო დანაშაულის მიმინებები,  
ქართული რეისურის განვითარების ტენდენცია პროგრესის  
გზით იყო წარმართული. ამიტომ განსაკუთრებულად ძვირფა-  
სია დამახსურება იმ წყაროთა და მსახიობთა, რომლებმაც  
თავის დროზე რეისურის ფუნქცია თავის და ისტორიული  
როლი შეასრულეს ქართულ თეატრში. „თავისი დრო“ კი საკ-  
მაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამ პერიოდში პირველ რიგში  
უნდა დავახსოვოთ ქართული პროფესიული თეატრის განმა-  
ნახლებელი გიორგი ერისთავი, რომელმაც თეატრის ორგანი-  
ზატორ-რეისურის ფუნქციები ითავა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თეატრის ისტორიის გარკვეულ  
ეტაპზე რეისურის როლი ჯერ კიდევ ვერ მალღდება დამოუკი-  
დებელი ხელოვნების ღონებზე. იგი უფრო ორგანიზატორის  
როლს ასრულებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმგანინდელი  
თეატრის საკრთო ზესე. ისეც ნათელი გახდება, რომ ისტორიუ-  
ლი პერსონაჟების თვალსაზრისით თეატრში იმთავითვე მტკიცე  
ადგილი მოიპოვა რეისურ-ორგანიზატორმა. ბუნებრივად  
ჩაისახა იგი თეატრის ცოცხალ ორგანიზმში, ორგანულად შე-  
ისხისლორცე და ნამდვილი პარმუ გახდა მისი. ისტორიულმა  
აუცილებლობამ განაპირობა თეატრის წიაღში ჩამოყალიბე-  
ბულიყო ახალი სახე ხელოვნებისა. თეატრის თავისებური  
სტრუქტურა მუდამ საჭიროებდა ისეთ ადამიანს, რომელიც  
ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლს ითავებდა ამ

მთხოვნილებას კარგად გრძნობდა ქართული თეატრის ცხოვრება  
როგორც კი გ. ერისთავმა იგი განაახლა. თავადვე იკისრე-  
დილი მისიაც.

გ. ერისთავმა პირველმა დადგა მისივე „გაყრა“. იგი მსა-  
ხიობივ გახლდათ სექტაკლისა. ამ ფაქტში კარგად იკითხება  
მთელი მეცხრამეტე საუკუნის რეისურის თავისებურება, მისი  
ფეოდალური საწყისი ეტაპი. სასანურა მრავალსახეობა  
შეგოქმედის, რომელიც შემდეგ თავისთავში გააერთიანებს  
არა მარტო მსახიობს და დრამატურგს, არამედ მხატვარსა და  
კომპოზიტორსაც, — ერთი სიტყვით, წარმოადგენს ურთულეს  
სინთეზს.

გ. ერისთავი პირველი სექტაკლის დრამატურგიც იყო,  
მსახიობიც და დამდგმელიც. ანალოგიური მოვლენები ხდებო-  
და რუსეთისა და დას ვერბოპის თეატრებშიც: დრამატურგებსა  
ასრულდნენ რეჟისორის ფუნქციას, ამ თვალსაზრისით რენე-  
სანსის ეპიქამ დიდი ტრადიცია უანდრძა მეცხრამეტე საუკუ-  
ნის თეატრს ქართველი მწერალიც თითქმის არ დღავლობს  
ამ ტრადიციას და ურთულად იცავს მსოფლიოს თეატრალურ  
პრაქტიკაში აღიარებულ ფორმებს. თავად წყვეტს მისივე პიე-  
სის დადგმელის იმდენად დიდი იყო გ. ერისთავის როგორც  
პიესის დამდგმელის დამახსურება, რომ ამ ფაქტის შესახებ, ნა-  
ხეგარი საუკუნის შემდეგ პ. უმიკაშვილმა დაწერა პიესა „სამზა-  
დისი“. გახ. „ივერიამ“ იმ ისტორიულ დღეს უწოდა: „დრო  
ქართველებს გამოღვიძებისა“. პ. უმიკაშვილის პიესაში მოცე-  
მულია გ. ერისთავის რეპეტიცია: „მამინდელი ახალგაზრდობა  
ემზადება „პირველი“ ს ქართულის წარმოდგენის გასამართა-  
ვად. სცენაზე თავი მოუყრიათ მამინდელ საუკეთესო  
ქართულთ. ავერ დაბრის დაუტყველდა ერთი ლა-  
მისი ახალგაზრდა კაცი რვეულით ხელში, ხან ეროს მსახიობს  
მივარდებ და გა უ ს წ ო რ ე ბ ს თ ა მ ა შ ს, ხან მეორეს,  
პლეკას, ჰშიშობს, რომ „წმინდა“ და „ახალი“ საქმი არ  
ჩაიშალოს! ეს არის დამაბრსებელი, მამა ქართულის თეატრისა.  
ნარად დაუწოწყარი გიორგი ერისთავი!“<sup>28</sup> (ხაზი ჩემია—გ. კ.).  
პ. უმიკაშვილის „სამზადისი“ კ. მესხმა დადა. „ქება და დიდე-  
ბ რეისურის კ. მესხის — მოაგრდება „ივერიამ“ რეცემზია. ამ  
პეტეტიკის შექსხილის მიღმა თითქმის ძნელია შეყენო  
კონკრეტულად თუ რაში გამოიხატება რეისურის გამარჯვება,  
მაგრამ ჩანს, რომ რეისურის სცენაზე შეუქმნია სიპართლის  
ატმოსფერო, მისეხაობა შესრულებაში ნიუღწევა  
დამაჯერებლობისათვის, გაუცოცხლება წარსულის სუბათი,  
დაგმოუცია ეპოქის სული. „როგორც ჩინებულმა მხატვარმა  
ირან-სამსხ ხაზის გასმით დახატის სახე რომელიც  
თუმცა დასრულებული არ არის, მაგრამ საკვირველად  
კი ჰგავს ნამდვილ სურათს, — ისე პეტრე უმიკაშვი-  
ლის მოქმენდი არან დახატულნი, თუმცა ბევრს არ ჰდაპაარ-  
კობენ, მაგრამ ორიოდ მათი სიტყვა ისე ცოცხლად ახასიათებს  
მთქმელს, რომ მაყურებელი სრულს ილუზიას ეძლევა: ჰგონია,  
რომ იმას წინ ლაპარაკობენ ნამდვილად: ჰაბტონ

<sup>28</sup> გახ. „ივერია“, 1898, № 2.

იოსელაანი, გიორგი ერისთავი, ქეთევან ორბელიანი, რევზ ერისთავი, დიმიტრი ყაფიანი, მიხეილ ჭილაშვილი, გრიგოლ შანშელი და სხვანი... ყოველივე ეს ისე იყო მოწყობილი სცენის მხრივ, რომ უკეთეს თვით ჯიუტი კრიტიკოსიც ვეღარ მოითხოვდა.<sup>29</sup>

კ. მესხის რეჟისორული დამსახურება ავტორის ჩანაფიქრის გადმოცემა და ისტორიული ადამიანების ისე გაცოცხლება, რომ მაყურებელმა ირწმუნა, თითქოს მის წინ „ლაპარაკობენ ნამდვილად“. ცოცხალი თატრალური ილუზიის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ რეჟისორს არ შეეძინა ბუნებრივი გარემო, არ განეცადა წარსულის სიმართლე.

გ. ერისთავი, როგორც ორგანიზატორი და სპექტაკლის შემოქმედებითი ხელმძღვანელი, ქმნიდა თავისებურ რეჟისურას. მასში გაერთიანდა თეატრის დირექტორის, პიესის ავტორის, პირველი მსახიობის შრომა. სხვადასხვა ელემენტების ერთობლივი მოახრება. მისი ერთ გარკვეულ ორგანიზაციულ პრინციპებზე დაფუძნება საშუალებას იძლეოდა უკეთ წამოჩენილყო რეჟისორ-ორგანიზატორის როლი. პ. უმიცაშვილის პიესაში ჩანს რეჟისორის ძიება შექმნას ლამაზი, აზრიანი მიზანსცენები. პიესის შინაარსის უკეთ გადმოცემისათვის სპექტაკლს მოუნახოს თეატრალური ფორმა: აქ კი ყველაფერი ემორჩილება მსახიობის ხელოვნებას, მის დამოკიდებულებას პარტნიორთან. რეჟისორი რეჟარების მიხედვით ახდენს ქცევისა და მოქმედების ორიენტარს, მსახიობთა „გეოგრაფიული სივრცის“ მინიშნებას. გ. ერისთავის „გაყრამი“ უკვე ჩანს მისი დამდგმელი რეჟისორის პოზიცია, ჩანს მათი ერთობლიობა. რეჟისორის უპირველეს სახრუნავს პიესის სწორი ინტერპრეტაცია შეადგენს. იგი უზუსტად მიჰყვება პიესის განვითარებას, ლიტერატურულ ნაწარმოების თეატრში გადატანის სრულულ მოივას მსახიობთა ოსტატობის, ურთიერთშეწყობის, ამბავის ცხოვრებასეული დანაკრებლობით გადმოცემის, სცენის ორგანიზაციის პრობლემებს. პიესათა დადგმა სასვებით თავისუფალია „რეჟისორული გადატანებისაგან“. ჯერ არ დამდგარა დრო, როცა რეჟისორი პიესიდან ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს, რეჟისორულ გადაწყვეტას დამორჩილებულ მოვლენათა რიგს.

გ. ერისთავის თეატრის შემდეგ თითქმის ოცი წლის მანძილზე უფრო მეტად ვითარდება თეატრის თეორია, ვიდრე თვით თეატრალური პრაქტიკა. ერისთავის თეატრის დახურვამ შეაფერხა პროფესიული თეატრის განვითარება, მაგრამ ამ პერიოდში ქართველი მოღვაწეები წარენ სტატეგებს, რეცენზიებს, კიბუხლობენ ლექციებს თეატრზე. იქმნება ფსიქოლოგიური წინამძღვარები ახალი თეატრის შესაქმნელად. „თეორიული ბაზა“ შექმნა რეჟისურის განვითარებასაც. მის საფუძვლზე აღმოცენდა მუდმივმოქმედი თეატრი.

# ელენა ოგრაზცოვას გესტროლავი თბილისში

ჩემმა მუსიკალურმა საზოგადოებამ, ფართო მსმენელმა აღფრთოვანებით მიიღო გამოჩენილი მომღერალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისი, ლენინური პრემიის ლაურეატი ელენა ობრაზცოვა, რომლის გასტროლები უდიდესი წარმატებით ჩატარდა თბილისის საოპერო თეატრში.

კამერულმა კონცერტმა, რომლის პროგრამა შედგებოდა შუშანის, დე ფლიას, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, სვირიდოვის, პუჩინის, მასკანის, ჩილეს ნაწარმოებისაგან, მთელი სისასხით გამოჩინა ე. ობრაზცოვას ელვარი და მრავალსხეულიანი არტისტიზმი, საუმნარულეობი უნივერსალიზმი, ღრმა და ნატიფი მუსიკალური აზროვნება. ე. ობრაზცოვამ მსმენელი აზიარა ამაღლებული განცდების, გააოტებულ შერცხნების სამყაროს, რომლის წარმოსახვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შესანიშნავმა კონცერტმისტერმა ვაჟა ჩაჩავამ.

ნამდვილი სასწაული ე. ობრაზცოვამ მოახდინა.

<sup>29</sup> იქვე.



ე. ობრაზცოვას კონცერტზე. კონცერტ-მეისტერი — ვ. ნაწავა

ნა სპექტაკლ „აიდაში“, ამნერისის როლის შესრულების დროს. ვერდის დიადმა მუსიკამ ფართო გასაქანი მისცა ე. ობრაზცოვას ვოკალურსა და აქტიორულ სტიქიას, უზარმაზარი დიაპაზონის ტემპერამენტს, საიდანაც გამოსჭვიოდა მომწუსხველი ქალური გზნება, გმირული შემართება, დრამატიზმი... გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მეოთხე მოქმედებაში ამნერისის მოთქმა-გოდების სცენაში, აქ მან აუტანელი სულიერი ტანჯვისაგან გაღვიძებული ველური ინსტინქტები წარმოსახა... დაჭრილ ავაზასავით გმინავდა, ბრახობდა, შფოთავდა...

სცენა სპექტაკლიდან „აიდა“. აილა — ც. ტატიშვილი, ამნერისი — ე. ობრაზცოვა



სპექტაკლ „აიდაში“ ე. ობრაზცოვას პარტიორები იყვნენ სსრკ სახალხო არტისტი ც. ტატიშვილი (აიდა), საქართველოს სახალხო არტისტინ ანდღულაძე (რადამესი). სპექტაკლს დირიჟორობდა საქართველოს სახალხო არტისტი ვ. ფალიაშვილი.

# აღდგენილი ქართული თეატრის ღრამაზურბიის ისტორიიდან

ნათელა იმედაძე

სმქტმმმრში სრულდება ასი წელი, რაც აიხადა ფარდა აღდგენილი ქართული თეატრისა

ქართული თეატრის აღდგენა-განახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი ეროვნული თვითშეგნების გამღვიძებელი, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართული ენის დაცვის საუკეთესო საშუალება იყო. როგორც ყველა დიდ წამოწყებას, თეატრსაც ჰყავდა ურწმუნოთა მთელი პლეადა, რომელიც აბუჩად იგდებდა მას და მხოლოდ გასართობ დაწესებულებად თვლიდა, საბედნიეროდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ და საჯაროდ აცხადებდნენ: „გამოკლენ კეთილი ადამიანები და ცხოველის სიტყვით, მოხერხებულის ქცევით, ჭეშმარიტებათა დამტყიცებით, სიმართლის მხილველით, ცუდის ცხოვრებისა დაცინვით, ბოროტებისა დაქოლავით, კეთილისა ზაგაღიერებით გასწავლიან, გონებას გაგვიხსნიან, გვასიამოვნებენ. გვაცინებენ, გაგვატარებინებენ დროს კიდევ“ (გაზ. „დროება“, 1880, №31).

სწორედ ასეთმა ადამიანებმა შეუნარჩუნეს ქართულ თეატრს არსებობა, გადაარჩინეს იგი დაღუპვას და დიდებული ტრადიციების დამკვიდრებთა: თუ აღდგენით ჩვენამდე მოიტანეს. მცდარი იყო გიორგი ჯაბადარის შეხედულება იმის შესახებ, რომ „ქართული თეატრი, თეატრი სერიოზული ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, თეატრი, რომელიც ღირსია

ამ სახელისა, არამც თუ დღეს, არასოდეს არ არსებობდა საქართველოში.

ქართულ სცენას ჯერ არ ჰყოლია არც ერთი ისეთი მსახიობი, რომელიც სეროზულად ყოფილიყოს მომზადებული სცენისათვის და აზიტომ ქართულ წარმოდგენებს იმ თავით ამ თავობამდე სცენის მოყვარეთა წარმოდგენების ხასიათი ჰქონდათ“ (გ. ჯაბადარი, ქართული თეატრი, საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო დოკუმენტების ფონდი, №18/11). ეს განცხადება მოგვაგონებს მეფის რუსეთის ერთ-ერთი ერთგული მსახურის გ. სოლოგუბის სიტყვებს: „ქართული დასის, ხელოვნების თვალსაზრისით, ხსენება არც კი შეიძლება, და დასანანი იქნება მის შესანახად იმ ფულის მცირე ნაწილიც კი, რომელიც გადადებულია თეატრის დასამარებლად ქართული თეატრის ისტორია, როგორც ცნობილია, მეტად სამწუხაროა. დასის პირადი შემადგენლობა წყვეტილია ველურებისაგან... ქართული თეატრის არსებობის დაშვება მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის შესაძლებელი: თუ უფროსები დასთანხმდებიან უბრალო ხალხზე იმოქმედონ ნაციონალური ტრინების საშუალებით. ასეთი მოსაზრების შედეგად საქმე იცვლება და იღებს პოლიტიკური ზომის სახეს“... (იხ. ა. ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი, აკაკი წერეთლის საინტელექტუალური კრებული, თბილისი, 1943 წ., გვ. 330).

ყოველივე ეს ამჟამად მეტყველებს იმ ხელისშემშლელ

პირობებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც ავანტურული იყო ქართული კულტურის მესვეურთა წინაშე.

კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე მესხი და ბევრი სხვა, — აი, ის პლეადა თვითნასწავლი უნიჭიერები მსახიობებისა, რომელთაც ველურებს უწოდებს მღვ. არუსეთის ერთგული მოხელე ხოლო სკეპტიკოსი გ. ჯაბაძე. ის მსახიობთა რანგამდე არც ამაღლებდა მათ. ამ ჭეშმარიტად დიდმა მსახიობებმა საკუთარი მხრებით ასწიეს და ჩვენამდე მოიტანეს იმ დღეთა სუნთქვა; მათმა ნიჭმა და დაუმრეტელმა იხიბამ, ფესზე წამოაყენა და ააღორძინა ქართული თეატრი, შეუნარჩუნა საკუთარი სახე და სიცოცხლე, სახელოვანდ უსწავლარა შფოთიანი დღეები. რა თქმა უნდა, უნაკლო და გაზოგუო არ ყოფილა მათი მოღვაწეობა და შემოქმედება. მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლება: ისინი, ხშირად, ყოველი ვიკრის თავზე ახალ სექტკულს, ახალ რწმის ამზადებდნენ და, ცხადია, მათი თამაშ უპირველად ვერ რწმობდა. ვასაკვირი სწორედ ის არის, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ახეჩაბდნენ როლების ათეი-სიებასა და ღირსეულად წარმოდგენას. რა თქმა უნდა, ეს ხდება უდიდესი ენერჯის დახარჯვით. ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ მაშინდელი პრესის ფურცლებზე შეგვხვდებით რევანსუნტთა კრიტიკას ტექსტის უცოდინარობის, როლის არასწორი გაგებისა და დეკორაციითა სიღარიბის გა-მოს. იმ პირობებისათვის, რომელზეც მათ უხდებოდათ მზადე-ბა და თამაში, ეს საკვებით კი: ნონსოშიური იყო და, ამდენად, საბატეხელც. მთავარი ის იყო, რომ ყოველ მაგიას შეგ-ნებულთ ჰქონდა თეატრის პირდაპირი დანიშნულება, მისი ჭე-შმარიტი მისია: „გვამცნოს ცოცხალი სიხვევა, მყავრი, მო-ურჩიებელი და შეუბრალებელი, მხილება ჩვენნი ნაკულევე-ნებისა და ითვის იგი, როგორც ლამაზი წყვილია და მშემი, გზის მაჩვენებლად, ხელმძღვანელად ყოველდღიური საჭი-რობითი კითხვების გადაწყვეტაში. (გ. ახალციხელი, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910. № 14, გვ. 2).

ქართულ მსახიობებს ღრმად ჰქონდათ შეგნებულთ თავი-ანთი მოვალეობა, იცოდნენ, რომ ემსახურებოდნენ დიდ საქ-მეს, — მაღლა უნდა ჭეროდათ ეროვნული დროშა, რომელიც ღირსეულად უნდა ეტარებინათ დროისა და ვითარების შესა-ტყვისად. მათ კარგად ესმოდათ, რომ ქართული მაყურებელი თეატრში მხოლოდ ვასართობად არ იყო მოსული.

ქართული თეატრის როლი და მნიშვნელობა ყველაზე უკეთ, ცხადია, დიდ ილიას ჰქონდა გააზრებული. ამი-ტომ იყო, რომ შორსმჭვრეტელობითა და გამარჯვების რწმუნებით ამბობდა: „...ძლივს ერთი საჯარო აღვილი მა-რინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვი-ნადღეობთ, ჩვენის ენის მოწყალეობით ვეტიარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებას მთელის მისის ჭკუისა და გონების მონაგა-რითა.“ (ი. ჭაჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955, გვ. 40).

ილია ჭაჭავაძე ქართულ სცენას თავისი ხალხის სულიერ აღმშრდლად თვლიდა. ამიტომ იგი ყოველთვის მხარნი ედ-გა თეატრის მუშაობა და მათთან ერთად იბრძოდა თეატრის არსებობისა და კეთილდღეობისათვის; იბრძოდა იმისათვის, რომ თეატრს წმინდად ჭეროდა თავისი დროშა, არ დაეციყე-

ბნა თავისი ძირითადი მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევა-ში, აფრთხილებდა ილია ცველას: „იგი მიკიტანხანად გადა-იქცევა, მაშინ სჯობს წაწყდეს, ვიდრე სუფედეს. ეს არ უნ-და დაევიწყებო ჩვენ, ქართველებმა, რაკ ის კეთილი აზრი მოგვსება, რომ ჩვენნი საკუთარი სცენა ვიკითხიოთ.“ (ი. ჭა-ჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955, გვ. 41).

ქართულ თეატრს ზრუნვას არ აკლებდა დიდი მგოსანი აკაკი წერეთელიც, რომლის ჰართი, თეატრი იყო დიდი კულტურული დაწესებულება, ჭაბარი, რომელიც გარკვეულ მი-ზანს ემსახურებოდა და ეს მიზანი იყო ხალხის გონებრივი ამაღლება და ზნეობრივი გაფაქიშება. მშობლიური ენის და-ცვა და პატრიოტული გრძობების გამოღვივება, „ადამიანის მანკიერი მხარეების ჩვენება და მათი აღმოფხვრა“. იგი გა-ნსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული თეატრის არსებობას და დროს და ენერჯის არ იმუშენდა მისი წარ-მატებისათვის. რად ღირდა თუნდაც მისი სიტყვები: „მხოლო-ვად ერთადერთი ასპარეზი დავგარსა — თეატრი, სადაც შეიძ-ლება გაევიზნოთ ჩვენი დედა ენა, ის ენა, რომელზედაც მუ-სიკობდა რუსთაველი, ბრძანებლობდნენ თამარები; რომელ-ზედაც ჰქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც წამებულნი სიმღებლით ღმერთის აღდგენდნენ ჭეთევანები და მათი მცა-ნებები.

ჩვენ ამ თეატრის წყალობით, შეგვიძლია გავიცნოთ ჩვენი წარსული, დაინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მო-მავალი“ (ა. წერეთელი, ქართული თეატრი, გახ. „დროება“, 1880, № 208).

წინადა ხელოვნება — ესთეტიკური ტიპობა, ზნეთა და ჩვეულებათა განაწმენდა, გასუფთავება-გაფაქიშება — ამ-აში ხედავდნენ თეატრის დანიშნულებას საქართველოს ღირ-სეული მამულიშვილები.

ქართულ ხალხს სჭარდებოდა ტრიბუნა, რომელიც მას შეუზღუდველად მიაწოდებდა ეროვნულ საზრუნო, გაასვენებ-და სახელოვან ისტორიას და განაწყოდა უკეთესი მემკისინა-თვის საბრძოლველად. ქართული თეატრის სცენა უნდა გადაქ-ცეულიყო ქართული ენის წინსვლისა და გაწმენდის ასპარე-ზად.

ქართული თეატრი მხოლოდ მაშინ აასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუ შეიქმნებოდა ცხოვრების ნამ-დელი ასახველად, ექნებოდა შემეცნებით-აღმზრდელი მნიშვნელობა, თუ დაადგებოდა რეალისტურ გზას და ცხოვრ-ების პირვთვლად ასახავს დღისაზრას მისხნად. ამისათვის გი-მას შესაფერისი რეპერტუარი ესაჭიროებოდა. ამგვარად, ქა-რთული თეატრის აღდგენისა და მისი სრულყოფილი განვი-თარებისათვის გადაამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დრამა-ტურებას.

ამ დროს ქართული დრამატურება შედარებით უფრო იყო. ამიტომაც თეატრის რეპერტუარი სადაც იყო ნათარგმნი და გადრეკილებული პიესებით, რომლებიც ვერ აკმაყოფი-ლებდნენ მაყურებელს. ხალხს საწყურდა ეპოპოს შესაფერი-სი, მისი სულისკვეთების გამომატკეული ორიგინალური პი-

4. „საბჭოთა ხელოვნება“ № 9.

ესები, ისეთი საბჭეტაკლები, სადაც მთავარი იქნებოდა თანამედროვე პრობლემები, ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინებით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში უკვე დამოკიდებული იყო ე. წ. „რეფორმების ხანა“. ბატონყურბან ყოფიან უკვე ადგილი დაუთმო ახალ სოციალურ კაპიტალიზმს. საქართველო, თითქოსდა მისდაუნებლედ ჩაება კაპიტალისტური განვითარების ფერხულში. სახეს იცვლიდა სოფელი, ქალაქი, ადამიანი...

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ყოველთვის გამოსატყულებას პოულობს ლიტერატურასა და სელოფენებაში. რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანიც ხომ სწორედ ეპოქალური ვითარების სიმახვილი ჩვენებაა, იმის წარმოდგენა, თუ რით ვითარებას ეს ეპოქა, რა არის მისთვის ნიშანდობლივი და ა. შ. ამასვე მოიხიბოვდა გასული საუკუნის ჩვენი სინამდვილე ქართული დრამატურგიისადაც. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ქართული დრამატურგია ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენულ უბანს წარმოადგენდა.

ეროვნული თვითშეგნების თვისობრივად ხალხი ხანა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. ამ დროიდან ცვლილებასა და განვითარებას განიცდის ჩვენი ცხოვრების ყოველი სფერო, ჩვენი კულტურის ყოველი დარგი, რომელიც ადრე ჩრდილიში იყო. კერძოდ, დრამატურგია, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ქართულ კაცს თითქოსდა გვერდზე ჰქონდა გადადებული, რადგან ცხოვრების სხვა საკითრებზეც ფიქრობდა. რამდენიმე თრიგინალური პიესა ვერაფერს სასარბიფო სურათს ქმნიდა საუკუნის ფონზე. თვით ქართულმა თეატრმა, რამდენჯერაც უწოდდა ფეხზე, იმდენჯერვე წაიფორხილა და დაიჩოქა. რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა დრამატურგიაზე, მის სრულყოფასა და წინსვლაზე. მართალია, დრამატურგია, თეატრის გაერეშე, ლიტერატურის მნიშვნელოვანი დარგია. მაგრამ თეატრი სულ სხვა ელფერს ატლევს მას, აქ აღწევს იგი თავის სრულყოფას, ხორცმსხმასა და აქ ხდება ყველაზე მეტად მისი ღირსებისა და ნაკლის გამომწვეურება.

აღორძინებულ ქართულ თეატრს, ცხადია, მაღალიდუერი და სცენარული ღირსეული პიესები სჭირდებოდა, რადგან მხოლოდ შესაფერის რეპერტუარს შეეძლო პრინატილად ასერულუნება მეტად რთული და პრინციპატურ მისა. ქართული დრამატურგიის ხარვეზების ამოსასესებად ერთად დაიარაზმენ მწერლები და მსახიობები; დრამატულმა საზოგადოებამ შეურბოების მისაზიდა და წასახალისებლად სპეციალური ჟიურული კი დააწესა.

ღიდ მონდომებას დადებითი შედეგი მოჰყვა, მაგრამ შეიკმნა არასასურველი პრაქტიკაც: დაიყო სახელდასელო პიესების წერა, გადმოკეთება, თარგმნა. წყრდა და თარგმნიდა ყველა, რის გამოც ჩანდა უამრავი უფარვისი პიესა. ცალკე გადმოკეთებულები სეოდავდენენ. ცალკე მთარგმნელები, რომელთა უმეტესობა არაპროფესიონალიმე იყვნენ და სათანადოდ არ ეწმიდათ თეატრისა და დრამატურგიული მწერლობის სპეციფიკა. ქართულ თეატრს კი სჭირდებოდა ცხოვრებისეული, საკონკრეტო-ეროვნულ საკითხებზე შექმნილი სპექტაკლები. სამწუბაროდ, ეს ვითარება შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა. „ივეყო ამდენი გადმოკეთებული და უცბო ხალხის ცხოვრებდან აღებული დრამა-კომედიების ცქერა, — წერდა გ. წერეთელი, — ჩვენი საზოგადოება ამთავან ვე-

რაფერს ღიდს მავალითებს და შთაბეჭდილებას ვეღარ ვაძინებოდა“  
 ირტას, რადგან უცხო ცხოვრება ერთობ დამორბეობია ჩვენს შინაგანს ყოფა-მდგომარეობაზე და ხალხი ამ წარმოდგენებს უფრო ისე უყურებს, როგორც უბრალო გასართობს და დროს ხელატარებებს რამე თამაშობას. ქართულ სცენას ამ შემთხვევაში ეკარგება თავისი უმაღლესი მნიშვნელობა: „ის აღარ ჰხდება ერის ზნე-ჩვეულების საწერბელად შკოლათ...“ („ჩვენის სახიბოა“, ჟურ. „კვალა“, 1895, № 6, გვ. 14).

მართალი იყო დ. კეკელიძე, რომელიც ყველას საყურადღებოდ წერდა: „საზღამო ქართველი სცენის დაარსებაში თითქმის იმდენი დრამატული მწერალი იყვნენ დაარსება, რამდენი ქართული ანბანის მცოდნეა ჩვენში, მაგრამ ამ დრამატულ მწერალთა აუარბეობამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანას უკედავი პიესის სიტყვების ჭეშმარიტება „ოღეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად...“ („ქართული თეატრი“, ჟურნ. „თეატრი“, 1888, № 4, გვ. 29-30).

ამდენი უკვან პიესის შექმნით აღმფრთხილები იყო აკ. წერეთელი, რომელიც თვითმხარად ვიდლოდა როგორმე ავეცილებინა თეატრისათვის მათი მრღება და დადგმა, რის გამოც თავის სარგაზს არ აკუდნდა ასეთ „დრამატურგთ“... „...პიესების მწერალი ბეგია, მაგრამ დამწერიც და ნაწერიც ირთვე ღმერთმა შეინახოს! ამას წერას, რომ სულ არ იწერებოდეს რა, ისა სჯობს!.. აიღებენ რომელსაზე თხზულებას, უცხო ენაზე დაწერილს, მოქმედ პირებს სახეს გამოეცლიან: უსანინს დაიით აღმანებნელს დაარქმევენ, აკულონას თამარ დედოფალს, გადმოთარგმნიან ბარსულის ენით ხეთლს შინაარსს, შიგა და შიგ ჩაურთავენ „გაუმტარჯოს საქართველოს!“ და ისტორიულ დაარქმევენ. არც ისტორია, არც სახეობა და არც რამე ქართული ნიშანწყალი!.. მობი და გულგრილად დაუგდე ყური!“ დასძენდა აკაკი (იხ. კრებული „აკაკი წერეთელი თეატრის შესახებ“, 1955, გვ. 104).

მდგომარეობა იმდენად სახიფათო შეიქმნა, რომ ყველამ აიძალა ხმა. მართლაც, ასეთ რეპერტუარს შეიძლებოდა დალუპავამდე მიეყვანა სიმწრით აღდგენილი და ნალოლიავეტი თეატრი. ილია ჭავჭავაძემ მოუწოდა ჭეშმარიტ მწერლებს მიეჩედათ დრამატურგიისათვის და გადამერინათ თეატრის გარდუვლი კატასტროფისაგან. „საჭიროა, — ამბობდა დიდი ილია, — ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, კვალში ჩაუდგეს და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭიროს, იმოღწიან — როგორც მოყვარენ — პირში უბასის კარგი და ავი პირში უთხრას, არც განაზეიფროს ტყვილის ბარაკითა და არც გული აპყაროს ტყვილის დაწუნებითა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით ამ მხრით სამასხური გავწოთ ჩვენის თეატრს იმდენად, რამდენადაც ჩვენგან შესალო იქნება.“ (ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრული კრებული, ტ. 5, 1955, გვ. 104).

საქართველოს მოწინავე ინტელექტუელიცა, ქართული თეატრის გულშემატკივრები დრამატურგისა რეალიზმისაკენ, ეროვნული და ცხოვრებისეული ვითარების სახიფათო მოუწოდებდნენ, რათა ქართული სინამდვილის ჭირისა და ღწინის პირუთვნელი მასხველი გამხდარიყო. „დრამატურგია, — წერდა გ. ვაგინა, — უნდა ებრძოდეს ცხოვრების სინახინჯეს, რომ ამით ძირი მოუთხაროს მავნებელ პირებს, სიბორცისა და გაცუდების პირობას. რაც უფრო ტყუარნი იქნება და რთუთებულ ცხოვრების რომელიც უკვან მაკალითი და მოვლენა, მით უფრო მღიერი იქნება მისი ზეგავლენა ხალხის გულსა და გონებაზე, მით უფრო მალე და ადვილად აღმოიფხვრება სიბორტეცა და ღწინადი და ნინადაცი მიმხად-

დება კეთილი თესლისათვის.“ (გ. გუნია, „ვალერიან გუნია“, 1953, გვ. 49.)

ასემა ბოროლად თავისი ნაყოფი გამოიღო, ბიესების წერას ხელი მიჰყვეს ისეთმა მწერლებმა, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ავქესენტი ცაგარელი, გიორგი წერეთელი, რადიელ ერისთავი, დავით ერისთავი, ივანე მანაშელი და სხვ.

ასე რომ, თუ გულდასმით გადავავალდებოდათ და გავანალიზებთ XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ დრამატურას, აღმოვაჩინებთ მეტად მდიდარ მასალას არა მარტო თავისი მრავალფეროვნობითა და მრავალფეროვნებით, არამედ ავტორთა საკუთარი ზეღწერითაც. სწორედ ამ ავტორთა წყალობით მიაღწია ქართულმა დრამატურამ თავისი განვითარების ახალ საფეხურს, ქართულმა თეატრმა კი — მტკიცედ დასაყრდენს.

ქართულმა თეატრმა თავიდანვე კომედიური ხანრიტ დაიწყო არსებობა და მის ძირითად რეპერტუარსაც კომედია წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვითარებამ თავიდანვე განასაზღვრა ამ ხანრის უპირატესობა. კომედია შესწევდა ძალა რეალისტრად წარმოედგინა არსებული სინამდვილე, — ცხოვრების უარყოფითი მხარეები, უმხილებლანა მათი მავნე თვისებები და დაცინვის საგად გაეხადა იგი.

კომედიის თვისებებმა განაპირობა მისი უპირატესობა ამ პერიოდის დრამატურასა და თეატრში. ამ დროისათვის საჭირო იყო ძალა „გამკიხთავი, გამკიხსავი და ბაძრუე უფრო მჭრელი“, რომელიც „ზოგჯერ ცრემლზე უფრო მწარეა“, და ბოროტის საკლავად შხამზედ უარესი“. (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1953, გვ. 112).

საშუალოდ, მეორე კომედიის ავტორს მისი ეს დანიშნულება არ ესმოდა და მას უყურებდა როგორც სახუმარო, გასართობ სახეობას. ილია ჭავჭავაძემ გალაშქრა უაზრო, უშინაარსო კომედიების წინააღმდეგ და საკაროდ განაცხადა: „განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა! სიცილიც არის და სიცილიც... მართლიანს, ჯანსაღს და მარგებელს სიცილს აზრი უნდა, მომავლიწინებლად საბუთი უნდა, ადამიანის გულის მარღვევად მოქსოვილი იმ მრავალფეროვნებით, რითაც ასე მდიდარია ცხოვრება და ადამიანის გული, ეს უტყუარი სარცე ცხოვრებისა, როგორც უმიზეზის მტრალი კაცი საზიზღარი, ისე უმიზეზოდ, უაზროდ მოციანდისა“. (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1953, გვ. 120).

ამ პერიოდში შექმნილი ბიესების უმრავლესობა უფერული და არაფერისმთქმელი იყო. ამიტომაც, წარმოედგინისთანავე უკმაყოფილებასა და უკმაირსობის გრძობას იწვევდა მაყურებელში და სწრაფადვე ქრებოდათენ თეატრის რეპერტუარშიდან. მაგრამ ზოგიერთი ბიესა ყურადღებას იპყრობდა ავტორის ნიჭით, გონებაშეხილობითა და ჯანსაღი იუმორით. ასეთი ბიესების ძალა მანრე იგრძნობოდა მკითხველსა და ხალხთი სასვე დარბაზების რეჟივის წყალობით. სწორედ ამ დროს შეიქმნა ილია ჭავჭავაძის „მაჭანკალი“, რომელიც, მართალია, ვერ უტოლდება იმ მოთხრობას, რომლის გადაკეთებასაც იგი წარმოადგენს, მაგრამ მანრე მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ახლადფეხადგმული ქართული თეატრისათვის, ენაიანდა იგი, თავისი დასვერული ენით, სახასიათო სრული განსხნითა და იუმორით, მაყურებლის ინტერესს იმსახურებდა.

მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ამ პერიოდში აკაკი წერეთელიც, რომელმაც ქართული დრამატურა

რგია გაამდინრა ცნობილი კომედიით „კინტო“. ამ კომედიამ მაყურებელი მიზნოდა თავისი მამხილებული პათოსითა და სინამდვილის უარყოფითი მხარეების მკაცრი იკვირებით. მისთვის დამახასიათებელი მახასილო ენითა და გავრით წარმოგიდგინა ავტორმა თავადანაურობის უსაქმურობა, მათი ყოფის უაზრობა და უშინაარსობა. ისინი დრისტარებასა და ქიუფს მისციემან, მთავარ საზრუნავი — პატიოსნება და ღირსება კი დავიწყებულნი. კომედია „კინტო“, რომელიც ავტორმა ერთ დამეში შექმნა, ერთხელ კიდევ ამტკიცებს აკაკი წერეთლის დიდ ნიჭოვრებს: ავტორმა ერთი ხელის მოსმით შექმნა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამოქმედდებოდა თვალსაზრისით არის საყურადღებო, არამედ მასში წარმოდგენილი საზოგადოებრივი პრობლემებით, მათი გაშუქებით.

ქართული დრამატურის განვითარებაში მეტად თავისებური ადგილი უკავია „ქართული კომედიის მფეულ“ წოდებულ ავქესენტ ცაგარულს, რომელმაც სწორედ 80-იან წლებში შექმნა ისეთი კომედიები, როგორცაა „რაც გინახავს ყველა ნახავს“ და „სანუმას“. ავქესენტი ცაგარელი ამ წლებში ეწეოდა პოპულარული დრამატურის იყო, რომლის პიესებზე შექმნილი სპექტაკლები სახალხო ზეიმად იქცეოდა ხოლმე.

ავქესენტი ცაგარელმა განავითარა და სრულყო საყოფაცხოვრებო სახასიათო კომედია, რომლის მთავარ მოქმედებებს უბრალო ხალხი, „ფეირი და ამა, კისერჩანაგებელი“ მშობრელები გამოიყვანა. პირველად მის კომედიებში აღერდა მთელი სიმძალეებით ქალაქური შობრეობით. თუ გრეიოდ ორბეღლიანმა, თავისი „ლოპიანთა“ უბრალო ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაინახურა, ავქ. ცაგარელმა „ლოპიანთა“ მთელი გაღრევა შექმნა, რომლებიც წლების მანძილზე ხალხის საყვარელ გიმირებად იქცნენ. ამ უბრალო ხალხს დრამატურმა შულზე სინდისი, პატიოსნება, ერთგულება და სიყვარული დააწერა. ასე კოლორიტულად და მიმზღველად ძველი თბილისის მჭვიდრთა ცხოვრება არავის წარმოედგინა; და თუ აკაკი წერეთელი თავის „კინტოში“ ორთაჭალაში გაშართულ წარმოებულა ქიუფს გვიჩვენებდა, და ამით სურდა თბილის-ქალაქის განუმეორებელი კოლორიტი შეექმნა, ავქესენტი ცაგარელმა ორთაჭალელი რანდებვის მთელი შინაგანი სამყარო წარმოგიდგინა. მისი გიჟუა თუ სოსანა, ფიცხელა თუ საქუა თავიანთი უშუალოებით, ალღმარტობითა და სიყვითი დღესაც ხიბლავენ ქართველ მაყურებელს.

მესკრამეტე საუკუნის 80-იან წლებში გამოდის სამოღვაწეო ასაწერებო ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული თეატრის აღდგენასა და მის შემდგომ ბედთან. თეატრში იგი მსახიობად მივიდა და შემდეგ ერთერთი წამყვანი დრამატურგი გახდა.

აღდგენილი თეატრის რეპერტუარი გაამდიდრა მისმა ბიესებმა, რომლებშიც ავტორი ცდილობდა წარმოედგინა ის სიმამინიჯე და არაჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც სუფევდა იმდროინდელ საზოგადოებაში.

ალ. ყაზბეგის პირად არქივში (საქ. მეც. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ალ. ყაზბეგის ფონდი) დაცულია მრავალი ბიესა, მან თითქმის ყველა ბიესში სცადა ბედი — წერდა კომედიებს, ვოდევილებს, დრამებს, მაგრამ ყველაზე მეტად მას დრამების წერა ეფერებოდა. ალ. ყაზბეგის კომედიებში სიცილს იწვევს არა ცალკეული მოწოდებები, დიალოგები და ფრაზები, სათანადო სიტუაციებიც.

ალ. ყაზბეგის ბიესები მისი პროზის სიმძლავრე ვერ დგას, ზოგი მათგანი აშკარად სუსტია, მაგრამ ისინი კარგად



აგლენი იმ დიდ სიყვარულს ქართულ თეატრისადმი, დიდ პატრიოტულ თუ მოქალაქეობრივ შემაბრუნებას. ტაყვილსა თუ სისხარულს, რომელიც ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ ბრწყინვალე ქართველ მწერალს.

გასული საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული დრამატურგის — რაფიელ ერისთავის ამ პერიოდის ორიგინალური დრამატურგიიდან უნდა გამოიყოს ყოველი „ადვოკატები“, რომელიც რეალისტურადაა ნაწილები იმ მოხელეთა ტიპიური სახეები, რომლებიც მოამარაგა ბუიურკონტრა-ჩინოვნიკურმა აპარატმა და რომელთა დივიზი ხაზის მოსტყვება, ცილისწამება, შუღლისა და მტრობის დათესვა, ფულისა და სიმდიდრის სხვათა ხარჯზე დაკრთობა და გადიდებაცა იყო. დრამატურგი შეეცადა ეჩვენებინა, თუ ვის ხელში იყო სასამართლოები და ვინ განაგებდა ქართველი ერის ბედს.

ქართული თეატრის სენამე ქარაღდ იდგებოდა ვოდევილები, მაგრამ მათი უმეტესობა გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილები იყო.

ამ პერიოდში დაიწერა აკაკი წერეთლის ცნობილი ვოდევილი „ბუტიაობა“; ვ. აბაშიძის — „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“; მ. ჯორჯაძის — „მოდი და ენდე ქალს“; რ. ერისთავის — „პარიკმსხერისას“; ალ. თუთაიას — „სოფოი“...

თანდათან მომარაგდა დრამებიც. ამ ქანში აღსანიშნავია ალ. ყაზბეგის დრამები „აღმარდლები“, „არსენია“, „გრძობა და მოვალეობა“, „გახათლების ნალოები“, „ჩვენნი კეთილის მყოფები“ და სხვ.

თხზომეცა წლებში შეიქმნა ვ. წერეთლის დრამა „დადრია“ და „ოჯახის ასული“, ავე. ცაგარის „ერთი ნაბიჯი წინ“ და „მასიოვი“, ვ. აბაშიძის დრამატული ტიპილი „ტახისიკო“, კ. ყიფიანის „გახუსტი — საქართველოს სასახლე“, ანუ ქალის სათხოვნი, რ. ალისუბნელის „მეფადნურის ქალი ანუ შურისმძივლობა და პატიოსნება“ და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ, პიესები არცთუ ისე მცირე იყო. ყოველი მათგანი შეძლებისდაგვარად ასახავდა იმ დროის მოთხოვნებსა თუ ცხოვრებით წამოჭრილ პრობლემებს. მათი უმრავლესობა არ იყო მოკლედური სათანადო ხილრმესა თუ ისტატობას. ქართველი დრამატურგები ცდილობდნენ შეექმნათ მებრძოლი, პატრიოტული სპექტაკლები, რამაც გამოიწვია ისტორიულ თემატის წინ წამოწევა. საქართველოს ისტორიულ წარსულში ისინი ეძებდნენ ისეთ გმირებს, ისეთ მომენტებს, რომლებიც საკვებით შეესატყვისებოდნენ თანამედროვეობას. შეიქმნა მეტად საინტერესო ისტორიული დრამები, მათ შორის უნდა გამოვყოთ კოტე მესხის მიერ დრამად გადაკეთებული გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. დავით მესხმა გადაკეთდა გრიგოლ რჩეულიშვილის მეორე ნაწარმოები „ანუკა ბატონიშვილი“, მაგრამ პიესა უნეტარესი დრამად იქცა, რის გამოც იგი მაღალ გამოხდა თეატრის რეპერტუარადან. მასში თითქმის არ არის არცერთი მხატვრული ასაკი, არცერთი სრულყოფილი და ორიგინალური სახე.

ალ. ყაზბეგმა 1883 წელს ეწერა „ივერიაში“ გამოქვეყნა ისტორიული დრამა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ეს იყო პირველი ისტორიული დრამა, რომელიც დაიწერა ახლადგამდგმული ქართული თეატრისთვის. მასში მთელი სიმძლავრით იჩინა თავი ალ. ყაზბეგის ნიჭმა, — გმირთა ფსიქოლოგიური ხატვის უნარმა. პიესის წარმოდგენა საცენ-

ზურო კომიტიკმა აკრძალა და ავტორი იძულებული შექმნა შექმნა და სახელწოდებაც შეცვალა. ამ პიესაში ცნა-ზურამ, რომელიც, ვითონდა, იმით ხელმძღვანელობდა, რომ წინაშე მისი სცენაზე გამოეყვანა უჩინებელიაო, დანახა პატრიოტიზმით აღსავლად ამანებები, რომლებიც ქართველ ბრძოლისაკენ თუწოდებდნენ და მოღონებულ ხალხს დიდებულ წარსულსა და გმირ წინაპრებს მოაკინებდნენ.

ალ. ყაზბეგის ამ პიესამ თამამად განუცხადა თანამედროვეთ: „საქართველოს სახელი ბრწყინავს, მას დარჩენილი რუსეთის შვიანი, რომლებიც მის ლამაზს არ განაქრობენ“. ეს სიტყვები მოწოდებასავით გაისმა და მისი ავტორი თამამად დადა ეროვნულ-განმათავიუფლებელი მიზნობის შესვეურთა შორის.

აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ მწაშენლობას ანიჭებდა ისტორიულ თემატკას და არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნა ამგვარ თემაზე. რეალური თუ გამონათვინი გმირები დიდებულ პოეტს იმისათვის ესტატორობდა, რომ ქართველი კაცის შელახული ღირსება თავის სიმაღლესე აყვავანა და ათასგვარ ჭირვარამამაგოლილ დროშაზე დაწერა ბედნიერების მარჯვებელი ძვირფასი სიტყვები: „საქართველო აღდგა მკვდრეთით!“.

აკაკი წერეთელი წარსულ გმირებს სქემატურად, მხოლოდ პორტრეტულად კი არ წარმოსახავდა, არამედ ავსებდა ადამიანურ ვნებებითა და სულიერი განცდებით, ცხოვრებისეული დეტალებითა და ათასგვარი ნიუანსებით, რაც მათ ანიჭებდა თანადროულობას და რეალურობას.

აკაკი წერეთელმა ამ პერიოდში შექმნა თვესი ცნობილი ისტორიული დრამები „კუდურ-ხანუმი“ და „თამარ ციციური“. მართალია, „კუდურ-ხანუმი“ ისტორიული დრამაა, რომლის მოქმედება მეოთხეცსეულ საუკუნეში ვითარდება, მაგრამ იმთავითვე მასგარა გახდა მისი გათანადობულების ტენდენცია. მწერალს სურდა ეჩხილებინა მისი დროის გადაგვარებული ქართველები, რომლებიც აბუნად იღლებდნენ და ტანჯავდნენ ალღომართა ადამიანებს. „კუდურ-ხანუმი“, როგორც სამართლიანად შეინიშნავს მკვლევარი ამა, გაჩინილადი, ამის დიდი სატრა-იგავი, დაწერილი მეცხრამეტე საუკუნის მისორე ნახევრის გადაგვარებულ ქართულ ოჯახზე.“

„თამარ ციციური“ კი პოეტე წარმოგიდგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის იმ მონაკვეთს, როდესაც მოწაგვებულ იყო საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, რომლსაც იმერეთის ტახტისათვის გააფორმებული ბრძოლა იყო დიდებულებს შორის და იგი ხელიდან ხელში სისხლისა და ცრემლის საფასურად გადადიოდა. ერისთავები თუ დედანები ერთმანეთს ექიმობოდნენ, ეომებოდნენ, ღვრიდნენ უდანაშაულო ადამიანთა სისხლს, დავიწყებულ ქონდათ მთავარი საზრუნავი, — საქართველო და პირად ინტერესებს ამყვებდნენ.

„თამარ ციციური“ უფრო სასაკითხი დრამის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან აქ უფრო მეტად მსჯელობაა, ვიდრე მოქმედება.

ასეთ სურათს წარმოგიდგენს მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქართული დრამატურგია, რომლითაც დაიწყო და განიმტკიცა არსებობა „ეროვნული კულტურის უდიდესმა ტაძარმა“ (აკაკი).



# გურაბ კიკალეიშვილი

ლარისა ნადარეიშვილი

პარმულ საბალეტო სცენაზე დიდხანს ბრწყინავდა შესანიშნავი მოცეკვაის, ზურაბ კიკალეიშვილის ტალანტი. მის სახელთან დაკავშირებულია ეროვნული საბალეტო ხელოვნების წარმატებები, მიღწევები. იგი შემოქმედებით ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როცა სახელოვანმა მოცეკვავემ და ბალეტმეისტრმა ვახტანგ ჭაბუკიანმა შეაქრა თანამოაზრეთა ჯგუფი, შეპყრობილი ეროვნული საბალეტო თეატრის შექმნის იდეით. ეს იყო პერიოდი დაძაბული ძიებებისა, გაბედული ექსპერიმენტებისა, ვახტანგ ჭაბუკიანი მისი წარაფოდა დიდი ნებების, მხურვალე ტემპერამენტით აღსავსე სახეების შექმნისაკენ, რამაც განსაზღვრა ზურაბ კიკალეიშვილის შემოქმედებითი პროფილიც.

ზურაბ კიკალეიშვილმა უმაღვე აიტაცა ვ. ჭაბუკიანის შემოქმედებითი მეთოდი, ჩვენს ეპოქის გმირული სულისკვეთებიდან რომ იღებდა სათავეს. მან შეითვისა ვ. ჭაბუკიანის მიერ დამკვიდრებული გმირულ-რომანტიკული სტილი, თუმცა, ძალზე თავისებურად გარდაქმნა მისი ნიშან-თვისებები. საქმე ისაა, რომ ზ. კიკალეიშვილის ინდივიდუალობა, მისი აქტიური ფსიქოლოგია; თვითმყოფადი ტალანტი ითხოვდა გამოხატვას საკუთარი მეობის, საკუთარი შეგრძნებების გამოხატვას, რომლებსაც ახასიათებთ სირთულე, სითამამე, ჭაბუკური გზნება, თანდათან რომ ჩამოყალიბდნენ უკიდურესად გამამაფრებელ გროტესკში.

როცა ვივონებთ ზ. კიკალეიშვილის შემოქმედების პირველ წლებს, ჩვენს წინაშე ცოცხლდება პოლარულად განსხვავებული სახეები, რომლებსაც იგი ქმნიდა ბალეტებში „ვალპურგის ღამე“, „ამო სიფრთხილე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „მთების გული“, „გედის ტბა“, „შოპენიანა“. ამ სპექტაკლებში ზ. კიკალეიშვილი არკვევდა თავის მისწრაფებებს; იმთავითვე ნათელი გახდა, რომ მისთვის ერთნაირად ახლობელია დრამატოზმიცა და ლირიკაც, გმირული პათოსიცა და იუმორიც... მაგრამ, როგორც ყოველ ტემპერტ მხატვარს, ზ. კიკალეიშვილსაც გააჩნდა საკუთარი თემა, რომელიც ასევე ერთბაშად, მკვეთრად გამოიკვეთა.

ზ. კიკალეიშვილს არ იზიდავდა ისეთი სახეები, რომლებიც ზღუდავდნენ მის ტემპერამენტს, ემოციურ სტიქიას, ეს, უჭეტესწილად, კლასიკურ ბალეტებში ზღვროდა. კლასიკური ცეკვის კანონიკურ ნახაზში მას ყოველთვის შეჭკონდა ექსპრესიულობა, სიმწვავე, რაც გამოწვეული იყო სახასიათო პლასტიკური ინტონაციების გამამაფრების შინაგანი სურვილით. კლასიკურ ბალეტებში ზ. კიკალეიშვილი ცდილობდა არ დაერღვია ცეკვის აკადემიური სტილი. ეს, რა თქმა უნდა, ზრდიდა, აშლამხინებდა მის პროფესიონალიზმს, მაგრამ კიკალეიშვილისეული პლასტიკა ეწინააღმდეგებოდა ამ როლების ხასიათს, რიბელთა სენტიმენტალობა, პასიურობა, ჭერტებით განწყობილებდა მისთვის სრულიად უცხო იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა ალერტი (ადანის „ჟოზელი“), რომლის მრავალფეროვან გრძობებსა და განცდებს ზ. კიკალეიშვილი კეთილშობილი, ვაჟაკური, ექსპრესული ცეკვით გადმოსცემდა.

აღრინდელი როლებიდან ზ. კიკალეიშვილის ინდივიდუალობა ყველაზე უფრო მკვეთრად გამოვლინდა სატირის როლში (გულის „ვალპურგის ღამე“), სადაც მან იმდენად გამამაფრა პლასტიკური ნახაზი, რომ გროტესკამდე მივიდა. აქ პი-

რველად გამოიკვეთა კიკალეიშვილისეული ცეკვის ფორმა — ძალზე რელიეფური, შთამბეჭდავი, უკიდურესად გამახვილებული. ცეკვის მკვეთრი და პიპერბოლოზებელი გროტესკული მანერა სრულიად ეწინააღმდეგებოდა ამ როლის საშემსრულებელ ტრადიციას. მისი სატირა — მართოდენ ბაკხურ ვნებებს როდი გამოხატავდა. ზ. კიკალეიშვილი ცეკვის მრავალფეროვან ზიგზაგებში ამჯღაენებდა მრავალსაფეხებს სატირისას, რომლის მომხიბვლელობაში ბოროტება იმალებოდა. ამით მისი სატირი მეფისტოფელთან იწვევდა ასოციაციებს. ზ. კიკალეიშვილმა ამ როლში ოსტატურად გამოიყენა გროტესკული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ორპლანოვანი აზროვნების ხერხი. ალსტიკურად სხარტი და მოქნილი მისი სატირი გამსჭვალული იყო დამანგრეველი ძლიერებით.

თეატრლობის, ბუფონადის, გროტესკის გამახვილებული შეგრძნება, რაც აგრერიცად დამახასიათებელი იყო ზ. კიკალეიშვილის ბუნებისათვის, სტიქიურად როდი ვლინდებოდა. მისი სატირი სცენაზე შეუმჩნევლად გამოდიოდა „ბაკხი ქალების“ ვალსის დროს. როცა სცენა დაცარიელდებოდა, მაცურებლის თვალწინ, ამაღლებულ ადგილზე თითქოს მიწიდან ამოძვრათ — აღიმართებოდა ნახევრადმისეული ფიგურა, რომელსაც სახეზე ვერაგული მზერა, ეშმაკური ღიმილი და სთამაშებდა. ცალ ფეხზე შემდგარი, დაკლავნილ პოზაში გაქევაებული ზ. კიკალეიშვილის სხეული დამუხტული იყო ამ შინაგანი ენერჯით, რომელიც მომდევნო მოძრაობებში იფეთქებდა. ეს თავისებური, ძალზე უეჭვტური, თვით კიკალეიშვილის მიერ მოფიქრებული ექსპოზიცია, სავსებით გამართლებული იყო მომდევნო ძალზე დინამიკური ვარიაციით. ვარიაციას კი ზ. კიკალეიშვილი იწყებდა სხარტი ნახტომით — მისი სხეული პაერში ზამბარასავით ტრიალდებოდა, ფეხის წვერებით მსუბუქად ეშვებოდა მიწაზე და იქვე მახვილი, მოქნილი, ტუხილი ხაზებისაგან მოხაზავდა საოცარ მოძრაობებს. მისი ცეკვიდან გამომდებელი მგრძობელობა გამოჩვენდებოდა. დროდართ იგი მკვეთრად და ნოულონდელად წყვეტდა ამ თავაშვებულ ქმედებას საგანგებოდ გაქევაებული, შინაგანი სიბლიერით აღსავსე პოზებით. ვარიაციას, რომელიც ეშმაკების თანხლებით სრულდებოდა, ზ. კიკალეიშვილი ამთავრებდა პლასტიკურად დახვეწილი მოძრაობებით, მყარი ნახტომებით, რომლებიც მთელ სცენას სერავდნენ. ვარიაციის დასასრულს იგი ასევე მსუბუქად ახტებოდა მხრებზე ეშმაკებს. მთელი მისი სხეული, ცეცხლოვანი მზერა პატიმროყვარუბას, თვითკამყოფილებას, სიამაყეს გამოხატავდა.

სატირში პირველად გამოერთა ის ლეოაბრინე ნაპერწკალი, რომელიც მსახიობს მხატვრად აქცევს ხოლმე. ამ როლიდან იღებს სათავეს ზ. კიკალეიშვილის შემოქმედების თემა, რომელიც მთელი სისავისით გაიწავლა ისეთ შექანიზზე სახეებში, როგორცაა დავრიმი („სინათლე“), ლიშან-ფუ („წითელი ყაყჩაი“), იავო („ოტელიო“), ჯოტო („ფრანკესკა და რიმინი“) და კოპელიუსი („კოპელია“). ეს თემა — განხლავთ გამოაშკარავება და მხილიბა ბოროტებისას. ამ როლებში ზ. კიკალეიშვილი ავლენდა ბოროტების მრავალნაირ თვისებას, აშიშვლენდა მის ყვე-

დავრიმი („სინათლე“)





ლი-შან-ფუ („წითელი ყაყაჩო“)

ლაზე უფრო დამალულ კუნძულებს, ამით ებრძოდა იგი ბოროტებიდან მიმდინარე კველანარ მანკიერებას. ამასთან ერთად, არასოდეს იმეორებდა პლასტიკური გამომსახველობის ერთსა და იმავე ხერხს, რადგან იგი თავის გმირებს შიგნიდან ხედვდა, ყოველთვის ზუსტად პოულობდა ამა თუ იმ პერსონაჟისათვის შესატყვის პლასტიკურ ექვივალენტს.

ზ. კიკალეიშვილის შემოქმედებაში განცალკევებით დგანან ჯარჯა („მოყბის გული“) და გორდა („გორდა“). ამ სპექტაკლებით მტკიცდებოდა, რომ მას ასევე შეეძლო კეთილშობილი, ამაღლებული გრძნობების გამოხატვა. ხას აღელვებდა თემა მშობლიური მიწა-წყლისა, მშობელი ხალხისა. ამ როლების საყრდენაც წარმოადგენდა მყარი, მკვეთრი, ჩამოქანდაკებული პლასტიკა, სათავეს რომ იღებდა გაყვავური ქართული ხალხური ცეკვებიდან.

ზ. კიკალეიშვილის იერი, თავდაჭერა, ღიანი-ერი სხეული, ხაზს უსვამდა მისი გმირების ძლი-

ერ ხასიათს, კეთილშობილ თვისებებს. ვ. ჭაბუკიანის მსგავსად, ზ. კიკალეიშვილიც ჯარჯისა და გორდას პლასტიკურ დახასიათებებს საფუძვლად ედოთ მოდელი „მფრინავი არწივისა“. ზ. კიკალეიშვილი პირველ პლანზე აყენებდა თავისი გმირების პატრიოტულ სულსკვეთებას. მისი ჯარჯი და გორდა — თავდადებული გმომრები — სინაზესა და ერთგულებას იჩენენ სიყვარულში. მაგრამ ზ. კიკალეიშვილი ამ ბალებებში მაინც ვერ ახდენდა სასწაულს, ძელი იყო შესრულება იმ როლებისა, რომლებიც ეკუთვნოდა ვ. ჭაბუკიანს, რომლის გავლენას, სხვათა შორის, ნებისთ თუ უნებლიეთ, ზ. კიკალეიშვილიც განიცდიდა. მაგრამ ზ. კიკალეიშვილი დღენააღაც დაღიანებით ეძებდა საკუთარ გზას ხელოვნებაში. გამარჯვებაც მას სწორედ ამ გზამ მოუტანა.

ზ. კიკალეიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების პირველი პერიოდი დაგვირგვინდა დავრიშას („სინათლე“) ბრწყინვალე განსასიერებით. ამ პარტიამი უკვე სრულად გამოიკვეთა ზ. კიკალეიშვილის აქტიურული ინდივიდუალობა, მისი ხელწერა. დავრიშა ფართო ასპარეზი მისცა ზ. კიკალეიშვილის მრავალსახოვან ტალანტს. ეს პერსონაჟი სპექტაკლში სამჯერ ცვლიდა სახეს და ხასიათს. დასაწყისში ზ. კიკალეიშვილი წარმოსდგებოდა სათნო მოხუცის სახით. შემდეგ უცხოელ სტუმრად გარდაიქმნებოდა, მერე კი ჯოჯოხეთის მმრძანებლად გვევლინებოდა. გრ. კილაძის „სინათლე“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ბალების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში, გადაიქცა ზ. კიკალეიშვილის წარმატებების სათავედ. მრავალსახოვნების მიუხედავად, ზ. კიკალეიშვილის დავრიში შთანაფიქრის მთლიანობით, სახის ერთიანი კონსტრუქციული გადაწყვეტით გამოირჩეოდა. ამ როლის სირთულეს მისი ფილოსოფიური გააზრებაც ქმნიდა. კიკალეიშვილი — დავრიში ანსახიერებდა საყვაველთა ბოროტებას, რომელიც ადამიანთა ბედნიერებას ანგრევდა, კეთილშობილ სულთა შებღავს ცდილობდა.

სათნო მოხუცად წარმოდგენილი დავრიში — კიკალეიშვილი თავაზიანი ქვევებითა და კეთილგანწყობილებით ისე ხილავდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, რომ ისინი თანხმდებოდნენ მისთვის გადაეცათ თავიანთი ნომავალი მემკვიდრე — ავთანდილი. მაღლვებდა თუ არა მიზანს, დავრიში — კიკალეიშვილი ევლისებური სისწრაფით სატანად გარდაიქმნებოდა და თავდავიწყებით ასრულებდა გაპარჯების ცეკვას. მისი მოძრაობები უმაღლე იქნენდნენ სისხტეს, ქედმაღლურ ძლიერებას, სისასტიკეს. დაცინვას გამოხატავდა მთელი მისი სხეული — განსაკუთრებით კი კიდუ-

რები, რომლებიც გროტესკულ გამომსახველობას აღწევდნენ. აქ მისი ბოროტება შემზარავი, ფარული იყო. ავთანდილის გატაცების სცენაში კი კიკალეიშვილი — დაგრძელებული ამქლავებდა მრისხანებას. დაკინებით ლამობდა თავისი უფლებების დამკვიდრებას. უცხოელ სტურნად ქცეული დაგრძელებული იმპულიც იყო და ამპარტავანიც. აფრიალებულ შავ მისისასხში გახვეული ზ. კიკალეიშვილი გრიგალივით მოიჭრებოდა ჯიმშურის სასახლეში, რათა ავთანდილი გაეტაცნა. უმაღლვე სატანად გარდაიქმნებოდა და კვლავ აცეკვდებოდა, ოღონდ ამჯერად, მისი ცეკვა დამკინავი კი არ იყო, არამედ შემზარავი, მახინჯი, რასაც იგი უცნურად მოგრუნხნული შოძრაობების საშუალებით ანახა იერება.

ზ. კიკალეიშვილი მძაფრი დინამიკური კონტრასტებით ანეითარებდა დრამატუზმს. აქ ვერ ნახავდით კლასიკური ცეკვისათვის დამახასიათებელ ლოკურ სიყვანძვებს. გროტესკული ეფექტი იქმნებოდა მთლიანდნელობით, მკვეთრი პლასტიკური კონტრასტებით, ბასრ ნახტომების წყალობით, უეცრად რომ იჭრებოდნენ ცეკვის დაკლანძობილ ნახაზში. საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ ზ. კიკალეიშვილის სხარტი ვარდნები, იგი მიწაზე ეცემოდა საგანგებოდ გამრუდებული ფეხებითა და კორპუსით.

დაგრძელების სიკვდილის ცეკვა — კიკალეიშვილის შესრულებით — პლასტიკური ხელოვნების შედევრს წარმოადგენდა. ავთანდილის მიერ მოწაზე დანარცხებული დაგრძელებული — კიკალეიშვილი არადაამიანურ მოქნილობასა და ძლიერებას იჩენდა. საშინელი კონფუსიების გამოხატვისას იგი ასრულებდა ურთულეს, ფანტასტიკურ შოძრაობებს — თავდაყირა დგებოდა და ასეთ პოზაში მთელი კორპუსით ტრიალდებოდა. ეს არ იყო ტრიუკი. ზ. კიკალეიშვილი, როგორც ქვემოთაღნიშნული ჩიტიორი, ნებისმიერ პლასტიკურ მდგომარეობას ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას ანიჭებდა.

„სინათლეში“ მთელი სისასით გამოვლინდა ზ. კიკალეიშვილის ვირტუოზული ოსტატობა, გამოხატულება რომ პოულობდა თავრუდამხვევ დინამიკაში განვითარებულ ზუსტ, სხარტ, მრავალფეროვან პლასტიკურ მეტყველებაში. დაგრძელების რთული შესრულებისათვის ზურბ კიკალეიშვილს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.


„სინათლის“ შემდეგ მან ბევრ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა, მრავალი პერსონაჟი წარმოასახა. განსაკუთრებული წარმატებ. მას მოუტანა გლიერის ბალეტმა „წითელმა ყაფანომ“, სადაც ზ. კიკალეიშვილი ბალეტმეტყვერდაც წარმოვედგა. ლი-შან-ფუს სახემ საბოლოოდ ჩამოაყალიბა

ზ. კიკალეიშვილის სამემსრულებლო სტილი, სპექტაკლის დადგამ მთელი სიყვანით წარმოასახა მისი შემოქმედებითი კრედიტი — მისწრაფვა მკვეთრი პლასტიკური კონტრასტებისაკენ, რითაც იგი ხასიათების მრავალფეროვნებას აცლენდა.

ლი-შან-ფუს სახემ ზ. კიკალეიშვილი ჩამოაქანდაკა სატირულ, გროტესკულ ფორმაში. საოცრად მეტყველი იყო მისი მიმიკა. იგი არც მინიკური გამომსახველობის დროს ვრადებოდა გახვიადებას, უკიდურესობებს. დაუეწყარია ზ. კიკალეიშვილის თვლების იჭენეული განომეტყველება, ცბიერი გამხედვა. ტკბილ დიმილში გაბადრული, საოცრად მოთრავი სახის ნაკვეთით იგი არამზად ლი-შან-ფუს შთამბეჭდავ პორტრეტს ქნიდა.

ტიო-ხაოს ფანტასტიკური სიზმრის დროს ლი-შან-ფუ დამპყრობელ აგრესორად გარდაიქმნებოდა.

სცენა ბალეტდან „გორდა“, გორდა — ზ. კიკალეიშვილი, ირემბა — ი. ჯანდღირი



და, გზებით ასრულებდა შემორქულ ცეკვას ხან-ჯლებითურთ. ამ ექსპარსულ ვარა-ციაში ზ. კიკალეიშვილი მაყურებელს სცნეფერგდა მოჭინილი, მაღალი, მსუბუქი ნახტომებით, რომლებიც ქინდინდნენ ფრინის თიაბატლებას. იგი შთელ სეცნას შემოუვლიდა განუფორმებელი ოსტატობით შესრულებული მფრინავი შორანობით „ქმტუ ან ტურანა“, ამ მხრივ ზ. კიკალეიშვილის ქართულ ბალეტში ბადალი არ ჰქავდა. მოსკოვისა და ლენინგრადის მოცეკვავეები „ქმტუ ან ტურანა“ ერმოლავესეულს უწოდებდნენ, თბილისელები კი — კიკალეიშვილისეულს.

აგრობატული სისხარტით შესრულებულ ამ ვარა-ციაში ზ. კიკალეიშვილი მოულოდნელად გაეკცურად მოიქნედა ხანჯლებს, რითაც „ხანჯლებს“ ანსახებებდა. ეს ესტრტი, რომელიც თვით მოცეკვავის მცირე იყო მიჯაილილი, ფანატისკოსი ლი-შან-ფუს ცხოველურ ინსტინქტებს აშიშველებდა.

ზ. კიკალეიშვილის ლი-შან-ფუსა და დავრიშის შორის ბევრი საერთოა — კონტრასტების თამაში, გოტესეული სიმწვევე და მოულოდნელი გარდაქმნები პლასტიკური ტემპო-რიტმისა. ოდონდ, დავრიშის ბოროტება ახსნებოდა ფანტასტიკურ ატმოსფეროში, ლი-შან-ფუსი — ნახეგრად რეალურში, მხოლოდ ზ. კიკალეიშვილის იაგო მოქმედება დასაგებით რეალურ ცხოვრებისეულ გარემოში.....

საბალეტო მსახიობთა ხელოვნებამ არც თუ ისე ხანგრძლივი დროის მანძილზე საგრძნობი ცვლილებები განიცადა. თუ 30-იან 40-იან წლებში მოცეკვავეები მიმართავდნენ მხატვრული გარდასახვის მეთოდს, 50-იანი წლების დასასრულისათვის წაყვანი ხდება მტავფორული გამოხატვის ენა. ზ. კიკალეიშვილის ხელოვნებამ ამ ორი გზის შესაყარზე იდგა. იგი ოსტატურად აერთიანებდა ამ პოლარულ პრინციპებს. ამიტომაც, ზ. კიკალეიშვილის იაგო ერთნაირი აღფრთოვანებით მიიღეს ორივე მიმდინარეობის წარმომადგენლებმა.

ზ. კიკალეიშვილის იაგა დიდი ზეგავლენა მოახდინა უარყოფითი პერსონაჟების წარმოსახვის სტილზე. მისი იაგო შემკავამირეულ ხიდად იქცა 40-იან წლებში ერმოლავეის მიერ შექმნილ ტიპადასა („რომეო და ჯულიეტა“) და 60-იან წლებში მარის ლიეას მიერ წარმოსახულ კრასს („სპარტაკი“) შორის. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ე. გრიგორივიტი აღინიშნავდა, რომ კიკალეიშვილის იაგომ საფუძვლიანად გადაასინჯინა მას თავისი შემოქმედებითი მეთოდი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა უარყოფითი პერსონაჟების გააზრების დროს.

კრიტიკოსი ა. მდევდვეი წერდა: „ზ. კიკალეიშვილის აქტიორული გამაზრება ძალზე მნიშვნელოვანია. იაგოს სახე, მისი სასიათი რომ არ გამოსულიყო, მაშინ ტრავადის ნთელი მსგელოლბა დაკარგავდა სიმამარება და ქმედითობას“.

1958 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს კრიტიკოსი ვ. გოროდინსკი წერდა: „ზ. კიკალეიშვილი — ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული იაგოა, რომელიც კი ამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გვიანახავს. ჩვენ არასოდეს შეგხვედრივართ ბოროტების ასეთს საშინელ გამოღონებას...“ ზ. კიკალეიშვილი ბრწყინვალე მამია, შესანიშნავი მოცეკვავეა“.

ვ. გოროდინსკიმ შემთხვევით როდ უწოდა ზ. კიკალეიშვილს ნიმი. იაგოს სახის პლასტიკური გააზრების სიახლე სათავეს იღებდა პანტომიმური თეატრის ელემენტების შემოქმედებითი გააზრებიდან. იგი თავისი გზისას სასიათს აცოცხლებდა ცეკვასთან მიახლოებული პლასტიკური სახოვანებით და არა აღრამბალეტისათვის“ დამახასიათებელი პირობით. ეს სტიკულაციით. როგორც კრიტიკოსი ვ. კრასისეკავია აღინიშნავდა, ზ. კიკალეიშვილმა იაგოს პლასტიკურ ლეიტემამას საფუძვლად დაუდო „მცოცავი გველის მოქნილობა, იდუმალი ფრენადობა მტაცებელი ფრინველისა“.

იაგოს წარმატება განაპირობა არა მარტო ზ. კიკალეიშვილის შემოქმედებითმა სიმწვევემ, არამედ სატირის, დავრიშის, ლი-შან-ფუსა და მამიას („გორდა“) სახეებმა. იაგო ზ. კიკალეიშვილის შემოქმედების მწვერვალად იქცა, მასში თავს იყრიდა წარმატებები წინამორბედი აქტიორული ნამუშევრებისა.

ამ სპექტაკლში ზ. კიკალეიშვილი იდგა სრულიად ახალი ამოცანების წინაშე. მას თავისი გმირის ხასიათი უნდა გაეცხნა გარემომცველ ვითარებასთან ურთიერთკავშირში. ზ. კიკალეიშვილი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ერთი კარგად ნაპოვნი სურხითა თუ საშუალებით. ეს იყო აქტიორული მიგნებების ჯაჭვი, რომელიც მაყურებელს ანციფერებდა მრავალფეროვნებითა და სიუხვით. ზ. კიკალეიშვილმა იაგოს შინაგანი ცხოვრება ისეთნაირად წარმოსახა, რომ მასში ერთმანეთს ერწყმოდნენ ნატურე ფსიქოლოგიაში, პირობითობა, მკვეთრი ელემენტები სახეობობისა.

ითვალისწინებდა რა ზ. კიკალეიშვილი სირთულეს შექსპირული ქმნილების თარგმნისა საბალეტო თეატრის „უსიტყვო“ ენაზე, იგი ყოველ

პოზას, ყოველ მდგომარეობას სკრუპულოზური სიზუსტით ხატავდა. ამით აღწევდა იგი შექსპირ-ცხელი სახის შინაგანი არსის მაქსიმალურ გამოსატყვას. მისი პლასტიკა იძენდა განსაკუთრებულ აიმწვავეს, გრაფიკულობას, ლაქონიზმს. პლასტიკურ პარტიკურაში საგანგებოდ ამახვილებდა ყველაზე არსებით დეტალებს, რომელთა ნოტიანობაში ყალბდებოდა კონცეპცია მხატვრული სახისა.

მრავალწახნაგოვანი იყო კიკალეიშვილისეული ინტერპრეტაცია იაგოსი. ამოსავალ წერტილად მან შექსპირისეული სიტყვა აქცია. იგი ხსნიდა შექსპირულ ცდებს, ხაზს უსვამდა საწინააღმდეგო მსოფლმეგობრებათა ანტიგონიზმს, ტრაგედიაში რომ არის გამოსახული ოტელოსა და იაგოს სახეებით.

პირველ პლანზე ზ. კიკალეიშვილი აყენებდა იაგოს ცინიკურ რედატივიზმს, მის არ სჯეროდა სიკეთისა, იგი ყოველთვის მტაცებლური ინდივიდუალიზმის პოზიციიდან აღიქვამდა. მის იაგოს ჰწამდა მხოლოდ ბოროტებისა. აღიზიანებდა მაღალი სულერი კულტურა და რომანტიზმი ოტელოსი. ზისულს ჰგვრიდა ოტელოს პირველქმნილი სწმინდები, ვნებათა დღევა. ამიტომაც ოტელოს აღმამფრენი ქორეოგრაფიისაგან განსხვავებით, იაგოს ცეკვა საგანგებოდ იყო „დამიწებულა“, მოძრაობები კი მცოცავი, შემპარავი. კიკალეიშვილი — იაგოს ცეკვის ელემენტური და დახვეწილი ხაზებიდან არაადამიანური თავდაჭერილობაც იგრძნობოდა — მას არ აწუხებდა ეჭვი, სინდისის ქენჯნა. ამ ზნედაცემულ ცინიკოსს გულს უმღვრებდა თვით ფაქტი ოტელოსა და დეზდემონას არსებობისა, მათი ამაღლებული სიყვარული, პარმონიულობა და კეთილშობილება მათი ურთიერთობისა. მას აბრაზებდა მავრის სისილიადე, უმანკობა დეზდემონასი. ამავდროულად კიკალეიშვილის იაგო შეპყრობილი იყო სატანური სიამაყითა და პატივმოყვარეობით. კიკალეიშვილი — იაგო თანმიმდევრულად, მიზანდასახულად მოქმედებდა. იგი მეთოდურად ანგრევდა მშვენიერების მცნებასა და არსს. მიზანსწრაფვას იგი სცენაზე გამოჩენისთანავე ამჟღავნებდა. ოტელოსა და დეზდემონას ფარული პაემანის ატმოსფეროში, რომელიც აღსაყვე იყო პოეტური სილამაზითა და სწმინდით, დისონანსით იჭრებოდა ხოლმე იაგოს ცინიკური მიზინვნება დეზდემონას უწმინდურობაზე. იგი ოდნავ დამცინავად და მოხელნილი გაქტით — დაშინს წვერით აიტაცებდა ხოლმე დეზდემონას თეორ მარჯს, იქვე რომ ედო სცენის კუთხეში, მკვეთრი მოძრაობით ააფრიალებდა, თიანქოს ჰაერში „უხნების წრეს“ კვრავს, მერე უხეშად დაანა-



იაგო („ოტელიო“)

რცხებდა მიწაზე და დაშინს წვერს გაუყრიდა. ფეხი-ფეხზე გადადებული კიკალეიშვილი — იაგოს პოზა მრავალსიმიანიშებულ დაცინვას გამოხატავდა. ამ წმინდა ტექნიკური ამოცანიდან იბადებოდა მოცვევავის მიერ მეტაფორულად გააზრებული ერთ-ერთი ძირითადი ინტონაცია იაგოს პლასტიკური კონცეპციიდან.

ამ სცენაში კიკალეიშვილის იაგო ერთობოდა, თავს იქცევდა ბრბაბციოსა და მისი ამაღლის „გულბრწყვლობით“. აქ მისი პლასტიკა საგანგებოდ იყო დახვეწილი, მსუბუქი, მანერულიც. კიკალეიშვილი — იაგო მრავალსახოვანიც

ეს უმჯობესია: მიიღე რავითიც ყუოთედს მუშამბას. იმ სახით სელის ზეით ჩაახსით ქვამბი. აადულე და მერე ანუ იხრან ანუ ქირმინი ან სხვა ფერი არ შთაყარეთ წმინდად დახაყილი და აურით რომ არ შეიქმნას ხერჯობანი, კარგად ზიღეთ ესე რომ სახამებელსავით გასქელდეს და მერე ვაჭი-მულ ტილოზედ წაუციეთ თანასწორ ღიდი ხის დანით, კარგად მოსქედ, რომ სულ დაიჭაროს ის ტილო, და მერე გაახმევით. ესე იქნება პირველი მუშამბა და ხატები ზეით კარგად დაიხატება ამოხუდ, არც დაიმტკერვე.

იოანე<sup>16</sup>

**ამონებარამი**

<sup>1</sup> კედლის მხატვრობა შეიძლება შესრულებული იყოს ქვაზე, თანამორზე, ბოჭაშზე, ბეტონზე; საღებავები შეიძლება იყოს ვახსნილი სხვადასხვანაირად: ზეთზე, ყვერცხის გულზე, წყალზე, რის გამოც არსებობს განსხვავება შესრულების ტექნიკურ საშუალებებში. შესაბამისად უნდა იყოს შერჩეული ცნობილი კედლის მხატვრობის როგორც „al fresco“-ს ასევე „a secco“-ს ტექნიკა. პირველი გულისხმობს კედლის ნოტიო, ხეღლ ბოჭაშზე წყალში გახსნილი საღებავებით შემოსას (ძეგალი, ხოლო მერვე — წყალზე და შესაბამისად საშუალებით კედლის შირალ ზედპირზე საღებავის დამატებას. კედლის მხატვრობის ეს წესი აქვს სწორედ აღწერილი იოანე ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილ მხატვრობაში.

<sup>2</sup> გაიქ — მიწა ცარი, იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონსა, 1949, გვ. 100. კირი — არის ქვა, დამწვარი, საშენებელად სომეხებისათვის, იხ. იქვე, გვ. 303.

<sup>3</sup> X ს. სიხანური მრავლობითი A-19 შეიცავს იოანე ოქროპირის მივლ რიც მითითებებს „ტაძრის მშენებლისათვის“ ანუ ტაძრის მომამბეტელთათვის. ამასთან სიველიანობა ხატის სტელიანობა და შეხვედბა ფერსა დამსავსებლ ხატსა, ვა იგი იხილის პორციკონი და ხატისწერეთ, იხ. ილ. აღესულა, ძველი ქართული უღესიკიდან, გელმანისა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959, გვ. 170.

<sup>4</sup> კედლის შირალ ზედპირზე მინერალური საღებავები მაგარად შეიძლება წებოვანი შენეაოთებით. მათ შორის ცნობილია რუმინებო სახის წებოს ხსნარი: მცენარეული — „ვიშნეობა“ (ალუბლის ხეზე წებოვანი გამონახონი), თევზის წებო (თევზის კანისა, ძველებს ან საცურაო ბუშტისაგან დამზადებულ) და ტყავის (ხბოს, თხის ან სტვირის ნაწილებსაგან შემზადებული ნახარბი).

თევზის წებოს შემოსადების წესებს საფურცლო ტრაქტატებსა და ენციკლოპედიურ ხშირად ვხვდებით. არსებობს თევზის წებო შირალი სახითაც. იგი იხსნება თბილ წყალში, ანუ აქვს სენი და გემო. მას იყენებენ ეტრატის ან ფაფურის დამამუშავებლად.

<sup>5</sup> იხ. П. Симонов, К истории обихода киновисца, преработки и иноконщина пон киновисца и иноконш строения, 1889, стр. 206—208; Чудинов Чистый. Траватат о киновиса, Москва, 1933 г., стр. 207—208; Бронкова-Ефрон, Энциклопедический словарь, СИБ, 1899, т. 53, стр. 397; А. В. Виночер, Прелековия и темперакия живописи, 1938 г., стр. 44.

თევზის წებო იხმარებოდა ასევე ვარკაი მისაკრავად. ამის შესახებ მითითებუა გახტარის ქობის წიგნში S-3721. „ქვადლზედ წიგნის ნაპირზედ სივანის არშინაზედ ვარკაის დავრა ასე უნდა: მოიტანე კარგი თჳერი წებო თევზისა და ოხლოდ მოაღულე. მერე ერთ-

*პირველი თჳე ზეთი კარგად დახმან ი  
ლო ზელ ზეო. მისი ჯგუნი. თჳე. აქვე თჳემ  
ანუ ქვაზე. ახ სხა თჳემ. დაჳეთ ნახარ ახი  
ი აქეთ ზო ანიჭეს ზეჳირიკებარ ზეთი  
ქუბა ზეჳირიკებარ მძუერს აქვე გაქსურ  
კარგზე ნახერ ანიჭეს. ჩარ ხს ანოი. მხოდა  
სქუ ზე ზე ოდეს მჯერ. მომუშაობეს. აქ  
აქვე ზეთი დახმან, აქ მზეჳ ზეთი კარგად დახმან  
აქ სხო მუ კარგად.*  
(ილ.)



ხელს ღრუბელი წყუსი სადაც ვარაყის დაკვრა ვინდობს, და ვა-  
მრეკვ ასე რომ ნიტიო კიდევ ჰქონდეს. მერმე ეყვრის წყლის წყალი  
ორკრე ღრუბელი წყუსი და ზედ შუაგული რომ ხელის ნებზედ  
არ ემუხებოდეს და ნიტიო აქ ჰქონდეს. ისე ზედ ვარაყი დაფიწრ  
და თბილი თეფრი თავისი რიგით გამოხარი წყუსი თუ ვაგორე  
თუ დასაქირებელი იყოს, და დაპირე. რაზან თუვა გათათი, მერმე  
ეყვრის ღრუბელი წყუსი და გარდაბერეკვ და სადაც მერტ ვარაყი  
აქოს, ის ვადაყა: (53 V).

5 მავრეზიბელად, თევზის წყების გარდა, იხმარებოდა ტყავის  
წყბი (როგორც ჩანს, აქ მონადირების — მეკონდახების ანუ  
ცხოველური წარმოშობის წყბი იგულისხმება).

საინტერესოა, რომ ცხოველური წარმოშობის წყბი იხმარებო-  
და ქაღალდის დასამუშავებლად. როგორც ცნობილია, საქარ-  
თველიში აფილბორგე ზეგლები ქაღალდის გაწევა და გავსევა  
გასაწევაზედ იხმარებოდა როგორც მცენარეული წარმოშობის წე-  
ბი, ასევე ცხოველური. თითოეულ ფურცელს ამოვლებდნენ  
წყბის ნახარშიში, რომელსაც შემდეგ შევავსებდნენ — ულსადნენ.  
(იხ. ა. ნაბარბე, „ქაღალდის დასამუშავების საკითხისათვის აფილბორ-  
გურ საქართველოში“, პალეოგრაფიკა, ტ. 1, თბილისი, 1965,  
გვ. 194-205;

3. В. Учаскина, Русская техника в производстве  
бумаги, Ленинград, 1949, стр. 117; А. В. Виннер, Матери-  
алы живности, Москва, 1954, стр. 106.

6 საღებავს ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების  
მიხედვით წამალი ეწოდებოდა. „ყოველი ხატი წამლისა დაპირებნი.“  
— აღნიშნავს გრიგოლ ლაბუცენელი XIII ს. ერთ-ერთ თითხავის  
მინაწერში (A-1563); „ყოველი ბოროტი ტერაქსისაგან არს, თუ არა  
წამალი კარგი არის“ — ეკითხულობთ XI ს. ერთ-ერთ მინაწერში  
(A-1104, გვ. 96).

მიწის საღებავებთან ერთად ფრესკულ მხატვრობაში გამოყე-  
ნებულ იყო მინერალური საღებავებიც. მიწის საღებავები, მგ.  
სინდერი, იხსენიება წყალში, მინერალური, იხ. მაგ. ლალი, ლევა-  
ნდარი, თავისი კრისტალური აგებულების გამო სპეციალურ დამუშა-  
ვებას მოითხოვდნენ. ისინი იფხვნიდნენ, იგლისებდნენ და წე-  
ბოვან შენაჩიბებდნენ. საშუალებით მავრეზებზედ კვლის ზედაწი-  
რზე. მიწის საღებავების ნაბი, ლატონებისაგან განსხვავებით საერთო  
ფერადებად გამოიხსენიან ინტენსიურ ტონებს იძლევიან.

იხ. Н. Колыврат, Древнее искусство фрески, Журн.  
«Химия и жизнь», 1969, № 6, стр. 42—44, № 7, стр.  
22—29.

7 ლავერდი (სპ.) — ლურჯი ქვა (Лазурь). იხ. დ. ზუბინა-  
შვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887, 642 გვ.

ლავერდი — აღრიალების ქვა (აღრიალების ქვებს შორის ჩა-  
მოთავილია ბორე, ამბრტა, ბროლი, ლავერდი და ქარვა) იხ. სუ-  
ლხან-საბა ძორეილიანი, ქართული ლექსიკონი, ტ. 1, გვ. 404.

ხელი ბუნების საღებავების შემზადების შესახებ ცნობები და-  
კვირთა ქართული ხელნაწერებში XVIII ს. ერთ-ერთ ხელნაწერშია  
„მქერისათვის თვალთა მოპოვების ისტორია და მათი სასეკ-  
რანო თვისებები“ (S-3722) აღმასის, იაგუდის, ლალის,  
ზურმუხტის, მარგალიტის, ფიფქისა და მოწის თვისებებ-  
თან ერთად მოთხოვნილია სალავერდის სახითი და მი-  
სი საღებავად შემზადების წესი: „პირველი და ღბილავ გალსონ,  
მერმე კაილით ვარკიან და სანადიროხითა ცომათ შექმნან, და ხე-  
ლის ნებზედ კარვად მოზონენ. სანსა იფხვ დაღსა დაღსან. მას  
უქანის წყალი მოაღებონ, მერმე მისი ნაკვეთი ცომა წინდის ქუტრ-  
ველსა ზივან ჩაღვან და მისი ადღებულს წყალი ზედან დასანან  
ასის დრამის წონა და ცალით ხელთა ის ცომა მას ზივან მოზი-  
ლონ. ლავერდი გამოვა და ლურჯი წყალი დარჩების და ისი წყა-  
ლი საძილთია კიდევ ვაწერონ და ალაგობრებ დაღვან კირენ  
წყალი დაწმუნდეს. მაშინდა სანადიროხი ზეთი მოეკვებოს და ლავე-  
რდი ძირს დარჩების, წყალი გადასანან. ლავერდი ვაგაბონ, კალით  
ვაკარან, ლაპარაკითა შეინახონ. გაურცხელი ლავერდი ქაშა-  
ნურს ჰვავს“, 40P-V.

იხ. Витрувий. Десять книг об архитектуре, Москва, 1936, стр. 148; В. А. Шавинский, Очерки по истории  
техники живописи и технологии красок в Древней Рус-  
си, М.-Л., 1937, стр. 111—114; А. В. Виннер, Материа-  
лы и техника монументально-декоративной живописи,  
Москва, 1953, стр. 175.

8 ლალი (სპარს.) წითელი, ძვირფასი თვლი იხ. დ. ზუბინაშვი-

ლი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб, 1887, გვ. 640. იხ. „შვი-  
რის თვალთა მოპოვების ისტორია და მას სასეკრანო თვისებებზედა“  
(S-3722): „მისი ბუნება ხმელი არის. ვინცა ლალი თანა ყმუნდეს...“  
ის, ყოვლას სინსაგან უზიანობ იყოს. თორემთა მალსა მი-  
ცემს, მიწურობასა საქმესა მოუმატებს. და ყველსა კაცსა თანა  
პატიოსნად ამოყვებს და სიყვითლს აწვევებს, ცუდას სიზნაბს  
სახესა უმაჯი ველარ ადენეს; და თუ ყმაწვილს აკაშინე ავად იქ-  
ციელებს, შემკრანასა მუელავსა შევან და დასწენარდების“ (13V-  
14P). „შირი არის მისი ფერების მგერა. ვითარცა არა ბნელი  
წითელი მოიკრანავად, წითელი ფერი წინდის ბარეულისა  
ფერი. შესანიც ცეცხლის ფერი, მეოთხე უნდაბის ფერი. მეხუთე  
უღონის ფერი, მეექვსე მობირალის ფერი, მეშვიდე ხაზის ფერი...“  
(13P).

9 ყირიზი — წითელი. იხ. ლ. ნეიმანი, ქართული სინონიმთა,  
ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 352.

10 ზირინი — სამხატვრო წამალი, ყვითელი ქვა (ophrin-  
ment), იხ. ნ. ზუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961,  
გვ. 222; ზირინი (სპარს.). სამხატვრო წამალი, ყვითელი ქვა, ღმირი  
(желтый мшиный) იხ. დ. ზუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსი-  
კონი, СПб, 1887, გვ. 524, ვახტანგის ქიმიის წიგნში მოთხოვნილია,  
„ზირინი რამდენიმე რიგია. ზოგს უთქვამს, რომ მწენე არის. ქვა  
და მიწა ანუელი სი გრადი არის, ის არ ევაგა; რომელიც რომ  
გამოთვებად დაიდ ყვითელია. ასე რომ შუგ თქონისათვის ფურცელი  
იქნება. სწოლივ დაუცემს, შუგსაც აძლეს. ამისათვის კარგია“.  
(39P). ამავე წიგნში მოცემულია ზირინის ზეთის გამოხდის წესი:  
„მოიტანე წითელი ვინდოლეს თუ ყვითელი ზირინი, დაწავე და  
ამის წონა კირი გაუტრე. რკისი ტავში ჩაახსი. წყალი ვინდოლეს  
თუ სახის წყალი დაახსი. ბევრი ადღე. მერმე კამებში ვაწე-  
რე. წინდა წყალი იცევა კამებში ჩაახსი. ამოთვი ადღე, წყალი გა-  
შრეს, ზეთი დარჩეს. (6P).

11 სურინი — სამხატვრო წამალი, დამწურის ტყვიისაგან ვა-  
რდამეტყული აღისფერ კრავ (сурин) იხ. ნ. ზუბინაშვილი, ქარ-  
თული ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 372.

გაეცეთა სურინისა ვარხანტის ქიმიის წიგნის მიხედვით:

„მოიტანე რკინითი ვინდოლეს ტყვი და ერთს რკინითი და  
წევე; აუ ვანდენ, რკინის კოხშით კარვად ურე. მანადის რომ დაი-  
წყას, თებრი წყარებში. მერმე დაწევე. წინდათ და რაც მიწა  
შექმნილი იყოს, ვარჩინე და ის მიწა ერთს რკინის ტავში ჩაწე-  
რე. რკინა უფრო ფართო იმისაგან ზედამ დახტრე. ამ ზეთს თავ-  
სახტვას ერთი სახტურე უვავ რამე, რომ რამაც ვინდოლეს მოს-  
ლები ხოლმე, მერმე ცეცხლში მიეც. ზედამე დაყარე. პირვე-  
ლზეც ის მიწა ვაშლდება, მერმე ვაწილდება. არა კარვად იწე-  
ვას, თავს მოხად. თუ ვაწილდება იყოს, სურინი შექმნილი  
იყოს, ვარდამეტყული და შეიკნას. თუ არა და მანადის სწევი, სურინი  
შეიკნას“ (S-3721, 17P).

იხ. В. А. Шавинский, Очерки по истории... стр. 98—  
100.

12 ტილო-სელთა და კანაფთა ღარი, იხ. სულხან-საბა ორბელი-  
ანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 336.

იხ. А. В. Виннер, Материалы живописи, Москва, 1954, стр. 7; Д. И. Киплик, Техника живописи, т. 1, М.-Л., 1937, стр. 57; В. А. Шавинский, Очерки по исто-  
рии, стр. 51—65.

13 ნამი — სხვა სახისული, სულხან-საბა ორბელიანი, სიტ-  
ყვის კონა, 1949, გვ. 463. ნამი — უმუშეარი, უწეროთენული, კელ-  
ური, იხ. დ. ზუბინაშვილი, ლექსიკონი, СПб, 1887, გვ. 1722.

14 მუშამბა (არაბ.), სათიბული ანუ ფისში ვაგლეხული საბო-  
სელო, რომ წყალი არ შეევიდეს, იხ. დ. ზუბინაშვილი, ქართული  
ლექსიკონი, СПб, 1887, გვ. 910.

15 500 წლის წინათ ჰებერტ ვან ეიკმა ტილოზე შესრულებულ  
ფერწერულ ნამუშევრებს უკეთ ვაგრობისათვის (რომ არ  
დასესდარიყო) გამოიყენა მცენარეული ზეთი. ფერწერული საღე-  
ბავების შესამკარებლად მან სელის ზეთი აირჩია. ეს იყო ახალი  
სამუშაო, რომელზედ ავერცხის ემულიც ვაგლეხა.

ამიტოვად, ითან ბატონიშვილის ამ მინაწერში ნათლად ჩანს  
იოანეს ცოდნა კვლად მხატვრობისათვის სადგურწერი ხატების შე-  
მზადების ტექნოლოგიური პირობებისა.

იხ. Эрнст Бергер, История развития техники масля-  
ной живописи, Москва, 1935, стр. 11; А. А. Рыбников, Техника масляной живописи, Москва, 1933, стр. 14, 27.

# მობონებები და ფიქრები

აკაკი ვასაძე

მამინდელი ეპოქალური კონფლიქტიც რომის იმპერი-  
ასა და ვევიპატეს შორის, სწორედ ამ ორი ძირითადი ბერსო-  
ნაჟის ურთიერთობა-დამოკიდებულებაში უნდა დაგინახოთ  
და მათი განსაზღვრება-დახასიათებიდან უნდა ამოვხსნათ მა-  
თი თითქოს გაუგებარი ზოგიერთი საქციელის ბუნება, ამოვ-  
ხსნათ და კიდევ დავასაბუთოთ... რაც შეეხება ირასის და,  
კიდევ უფრო მეტად, ენობარბოსს, რომლის გარდაცვლენას  
ამბის ცოდნა მართლაც აუცილებელია ჩვენთვის. რამ მოჰკლა  
ენობარბოსი? ეს იმ წყაროებში უნდა ვეძიოთ, საიდანაც ავ-  
ტორი სარგებლობდა და, საერთოდ, შექსპირის კომენტატო-  
რებთან უნდა ვინახოთ სხვადასხვა მითითებები და მოსაზრე-  
ბები ამის თაობაზე. აი, ამას დავგავალებთ, ენობარბოსის სი-  
კვდილის ამბის გამოძიებას. ეს აუცილებელია.

გატაცებით ვუსმენდი ნემროვიჩს, მოცუბდა ამ ხანდაზ-  
მულ კაცის ნათელი მსჯელობა და, როცა დაასრულა, ჩემდა  
უნებურად აღმომხდა:

— ნამდვილად, ვლადიმირ ივანო!

— რთუ? — ღიმილით თითქოს შეეთამაშა ჩემს უაპელა-  
ციო განცხადებას.

— ნამდვილად, ვლადიმირ ივანო, ნამდვილად! მრავა-  
ლი ფიქრის აღმძვრელი თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრე-  
ბები და შეფასებები. თაიროვის რეკისორული ჩანაფიქრი  
„ვევიპატის ღამეებისა“, რომლითაც მან ჯადა კლასიკა თანა-  
მედროვეობის თანაკლერად ნაწარმოებად განეხორციელები-  
ნა პრაქტიკაში, — თაიროვის ასეთი მისწრაფება, რაგინდ სა-  
დისკუსიოც არ იყოს, ჩემში ყოველთვის იმსახურებდა მოწო-  
ნებას და დღესაც იმსახურებს. მაგრამ, ახლა, როდესაც მე  
ვხედავ, რომ თქვენ ცდილობთ კლასიკური ნაწარმოები, მხო-  
ლოდ მისი შემქმნელი ავტორის მიერ მოცემული საშუალებე-  
ბებითა და იმ წყაროების გამოყენებით, რომლებსაც თვით ავ-  
ტორი ეყრდნობოდა, ახლებურად წაეკითხოთ, ახლებურად

გავაზროთ და განვახორციელოთ სცენაზე, — ამას რომ ვხე-  
დავ, ვლადიმირ ივანო, მთელს ჩემი პასუხისმგებლობით  
და მოკრძალებით გიცხადებთ, რომ კლასიკის დამუშავების  
საკითხში ჩვენ თანამოაზრენი ვყოფილვართ და, ჩემი უნებ-  
ლიე აღტაცებაც, წუდან რომ აღმოვხდა, ამან გამოიწვია.

— ჩემთვისაც სასიხარულოა, აკაკი ალექსევიჩ, რომ ჩემი თა-  
ნამოაზრე თქვენ, ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი აღმოჩნ-  
დით.

— აი, თქვენ ბრძანეთ, „ანტიონუსი ოცდაათჯერ მამაკა-  
ცია, მაგრამ მამა არ არისო“, ხოლო „კლოპატრა ოცდაათ-  
ჯერ ქალია, მაგრამ დედა არ არისო“... ბრწყინვალე, მრავ-  
ალმნიშვნელოვანი განსაზღვრებები ამ სახეებისა, მაგრამ,  
შემამინებელიც. ცოტა არ იყოს, დაგიბენი. დიახ, დაგიბენა, —  
სად მოუნახო ასეთი აქტრისა ან აქტიორი. განსაკუთრებით,  
კლოპატრა... იგი ხომ ჯერ სულ ახალგაზრდა ქალია, რო-  
ცა ანტიონუსს შეხვდება, თავდავიწყებით შეიყვარებს მას და  
თან, რომელთა ბატონობისაგან თავისი ქვეყნის გაძლიერე-  
ბის გზასაც ანტიონუსში ხედავს. კლოპატრას სახეში ორი  
მთავარი ხაზის — ლირიკულისა და ჰეროიკულის ურთიერთ  
შერწყმასთან გვაქვს საქმე. კლოპატრაც ხომ ძლიერი პიროვ-  
ნებაა, — იგი ხომ აფესტოვაც იმარჯვებს მორალურად, თა-  
ვისი სიკვდილით, თავის მოკვდინებით, და, აკი, ონიდასავით  
განისვენებს მამაპაპათა ტახტზე. მიუხედავად იმისა, რომ ან-  
ტიონუსი რთული როლია, მას ბევრი გარკვეული და მის გა-  
რეშე არსებული მახასიათებლები აქვს და, ამიტომ, კლოპ-  
ატრა უფრო რთულია მესახება, — კლოპატრას თითქმის  
არავინ ემზარება, არავინ არ ახასიათებს, არავინ და არაფერი  
არ უწოებს ხელს თავისი კონფლიქტური, მრავალპლანინანი  
განცდების გამოვლენაში...

— რას გააწყობთ, შექსპირი შექსპირია და მისი განხორ-  
ციელება ყოველთვის იყო და ყოველთვის ძნელი იქნება...  
დღეისთვის მგონი საკმარისია?! — თქვა და მის მიუდამ ცო-  
ცხალ თვალებში დაღლილობის ბინდი შევინიშნე. მაგრამ და-



დღას ხელი არ შეუშლია, საუბრის დამთავრებისას არ მოხი-  
დულიყო, ყოჩაღად არ გასწორებულიყო მხრებში და თითვე-  
ლი ევლასპევი არ შეემოწმებინა — ძირს ზომ არ ჩამოწეუ-  
ლა ან არ მოშვებულა კანკინი... რა ელგენატური მოხუცია!  
რა დიდი არტიკლი გიყურებს ზისი ლურჯი თვალებიდან?!

...აი, ასე, ამ რთული ტრავმების მთავარ პერსონაჟებს  
ბურუსი თანდათან ეცლებოდა და წვიფდებოდა მომავალი  
საექტაკლოს რეისორული ჩანაფიქრი.

მიუხედავად სამხელეო გადატვირთვისა, (სამამულო  
ომის პირველი სამი წლის მანძილზე რუსთაველის თეატრის  
მართვის, საექტაკლებში მონაწილეობის, ახალი წარმოდგენე-  
ბის დადგმისა და თეატრის მხატვრული ხელმძღვანელობის  
სიმძიმე, ძირითადად, მე დამაწვა მხრებზე), მინც ვჩქარებო-  
დი, ნემიროვიჩთან ერთად სატვირთოთა ექსპოზიციას მალე  
დაგვესრულებინა. თან, ნემიროვიჩისაც მერიდებოდა: ისიც  
ხომ, მისი წვლიანების კვალობაზე, საკმაოდ გადატვირთუ-  
ლი იყო: საწვავით თეატრის ხელმძღვანელი, თავისი სახე-  
ლობის მუსიკალური თეატრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო  
პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე ხელოვნების დარგში;  
ამის გარდა, თვალს უნდა ედევნებია სამსახტრო თეატრის  
მანხიობისა საყოველთაო პროფარგანებისთვისაც, თბილისის თე-  
ატრალური ცხოვრებისთვისაც და სხვა წვრილმანებისთვისაც,  
რომელთა ჩამოთვლა აქ ძნელია. თქვენ წარმოიდგინეთ, სა-  
მუშაო დღე ისე გონივრულად აქონდა დავგვიტანი, რომ ყვე-  
ლაფერი ართმედა თავს. რა დროსაც არ უნდა სტუმრებო-  
დით, ყოველთვის პირგაპარსული, თერაი, გახამებული საყე-  
ლოთი და კოსტიუმში ელგენატურად ჩაცმული დავგვიტანო-  
დათ ეს სიყოფილი სავსე, სადა, მომხიბვლელი ადამიანი.  
თუკი ხელოვნებაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, სადაც არ უნ-  
და ყოველიყო, გაბაცებით ჩავერგადა; ხოლო, ჩემი „სამუ-  
შაო საუბრების“ დროს, ვფურთხილდებოდი რა მის ჯანბრ-  
თელობას, ხშირად შრევიხსენებია, რომ დაძმული სათაბი  
კარგა ხანია ამოწურული იყო. რაც მთავარია, ფუჭი ლაპარა-  
კი არ უყვარდა. ყოველთვის ამოწმებდა, მისმა საუბარმა ამა  
თუ იმ დარგში რა ნაყოფი გამოიღო. თავის საუბარ-ლექციებ-  
საც, წინასწარ, იმისდა მიხედვით მოიფიქრებდა, თუ რა გარე-  
მობში, რა წრეში უნდა გამოსულიყო. „მე ორატორი არ ვარ“,  
— უთქვამს ჩემთვის, — „მე ვარ მხატვარი, რომელიც ადა-  
მიანის სულიერ ცხოვრებაზე, ადამიანის მხატვრულ შემოქმე-  
დებაზე მოფთხობს მხატვრებს ან ხელოვნებით დაინტერე-  
სებულ ადამიანებს, და ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას, თუ  
როგორ უნდა ასახვადლონ თავიანთი ინტუიციის და როგორ  
გამოაყენონ იგი გონივრად წარმართულ შემქმნელებით პრო-  
ექტსში. ამიტომ, მე ვალდებული ვარ საქმიანი, ინტიმური  
ატმოსფერო დავაყენო აუდიტორიაში. ერთია, როცა მაღალი  
ტრიბუნლიდან გადისკომ აუდიტორიას შენს მოსაზრებებს და,  
მეორეა, როცა მრგვალ მაგიდასთან უშუალოდ ეუსაზრები  
ხელოვანი ისე, როგორც მსახიობების სარეპტიციო დარბაზში  
პიკის კოთხისას.

ნემიროვიჩს უფრო უყვარდა ვიწრო წრეში, ინტიმურ გა-  
რემოში საუბარი და, ალბათ, ამიტომაც აყო, რომ „სამსახი-  
ობო ხელოვნებაზე“ თავისი პირველი ლექციის ჩატარება,  
თბილისის თეატრალურ მოღვაწეთა აქტივისთვის, ჩემს კა-  
ბინეტში მოხსურა.

— ალბათ სამხელად ცხელა ეგვიპტის უდაბნო ადგილებ-  
ში დღისით. მგზავრი იქ მხოლოდ დამით თუ მოიბრუნებს  
სულს. საინტერესოა, რომელი ჯარისკაცი, თავისი საომარი

აღტურვლობით, როგორ მოძრაობდა ეგვიპტის ცხელ სილა-  
ში. დღილობით, ალბათ, კარგებს იყენებ შეფარებულნი-  
თვლებიდან და მხოლოდ სადამოსივთა. ამოძრავდებოდნენ...  
სასახლებში, დახურულ ეზოებში, შადრენებთან და აუზებში  
ევარა ეგვიპტის დიდკაცობა ნადიშა და მასლათიმო... ეგვი-  
პტის დამეგობ... მრავალსართულიანი სარდაფები... აკლამა-  
თა ლაბირინთები... და იქ, კლეოპატრას თეატრალურადგვი-  
ნადმიბე, ანტიონისთვის საბედისწერანი რომ აღმოჩნ-  
დენ, — ამბობს ნემიროვიჩი, წამით დუშმდება და, უცებ დას-  
ძენს — რა იქნება, რომ საექტაკალი კლეოპატრას ორგინო  
დავიწყობთ?!

„სქენური სანახაობრიობის შესაქმნელად, მართლაც, ეგვი-  
ტური დასაწყისი იქნება, — ხატოვანი, ემოციურად დაძაბუ-  
ლი, მუსიკალურად განმსვლელი, დანიშნური დასაწყისი“,  
ფიქრობ მე და უკვე მოლიანობაში განვიცდი ღრეობის სუ-  
რათს. თავისი მიგნებით ნემიროვიჩი გატაცებულია და გა-  
ნაჯრობს.

— მხიარული, დაძაბული, ვენებიანად რიტმული მუსიკა  
ფარდა იხანება და სცენის სიღრმიდან ღვინით გაღვნილ, ახ-  
ლო აღმოსავლეთის სამეფოთა ბედის მძიძველი დიდგაცებს  
ღრავაგვით გამოაქვს უსარმაზარო ტახტრევიანი, რომელზე  
დაც ანტიონის, კლეოპატრას ფარჩა-სამოსლებში და სამკა-  
ვლებში მორთული გულამა განცხრომით წევს, ხოლო კლეო-  
პატრას, ანტიონისთვის თორით და მუსარადით შემოსილი თავს  
ვენებიანად დასდგომია....

— და შიშველი ფეხი ყოვლად ძლიერი დამპყრობლის  
გულზე დაეგდება, არა?  
— დიახ, დიახ!

— ასეთი სცენის შემდეგ, ფილოს კომენტარიც აღარ იქ-  
ნება საჭირო, როდესაც უკვე სცენურად ეკვი თვალსაწიროდ  
წარმოგადგენთ, „თუ ეტი მესამე დედაბალი მთელი ქვეყნისა,  
თავის მასხარად გაუხედა მავ უნაშდოსა“.

— საესებით მართალს ბრძანებთ! ჰოდა, როცა შიკრიკს  
ღანიანავს ანტიონის, წამოვარდება ტახტრევიანად, თავზე  
წყალს გადაიხამა გამოსავსებლობლად და შიკრიკს განზე  
გახიხობს. შიკრიკიდან შეიტყობს როზის პოლიტიკური ვითა-  
რებასა და მეუღლის გარდაცვალებასაც. ორთავე ამბავი მო-  
ნიხობს ანტიონისთვის რომში დაბრუნებას.

— დიდებულება, ელადიმი ივანიჩ! — წამოვიძახე და  
ფიქრში გავერთი. არა, ასე ვერ დავამთავრებინებ საუბარს,  
თითონაც ახლა ვესტაჟშია, შეიძლება კიდევ რამე საინტე-  
რესოს მივაცინო უნებურად, — ფიქრობ და გინებთა პუე-  
ლის სხვადასხვა ენაზოდები, სხვადასხვა სახეები მიტრიალებს.  
— ანტიონისსა და კლეოპატრას გამოჩენამდე, ეგვი, ციხეში  
შეკეობილი ენობარბოსის სცენით დავეწყუო საექტაკალი —  
ეკვიტებით და ვცდობ ნემიროვიჩის ფანტაზია გავაიწიანო,  
რამე საპირისპირო მოსაზრება ან პარალელური სცენების  
სახეებით დავაინტერესო, — ეგვიტური დამეგობს გამწრწე-  
ლი ატმოსფერო, მისი ციხეიანი ბანკის ძალა თავიდანვე ხომ  
არ გვეტყვებინა? და, აი, ამ ატმოსფეროში შიკრიკის შემოს-  
ვლაც — როგორც შემოსვლა სიფიზოსის... თანაც, რა შთა-  
ბეჭდილებას მოახდენდა ეს ატმოსფერო რომელიც გამოგზავ-  
ნილ, ეგვიტუმი ახლახან ფესუმეიმდგულ შიკრიკზე?

ნემიროვიჩი დღეს, ყოყმანობს, არ მეთანხმება; თუმცა,  
მეც ეს არ მინდა?!

— რასაკვირველია, ასევე შეიძლება, მაგრამ... როგორც  
ლექსის, ასევე საექტაკლოს დასაწყისიც ეგვიტური უნდა



ციოს და მიზანში უნდა ურტყამდეს. ანტონიუსისა და კლოპატრასთვის საბერძნეთში მათი ვენებიანი ტრფობა და გენეზიანი ეფესოსური დამპყობი, თავადდასული ღრუბა. ამიტომ, ვგონებ, ჩემი შემოთავაზებული ვარიანტი უნდა ჯობდეს. თუმცა, თქვენ რომ ბრძანებთ, იმ ატმოსფეროს შექმნა სცენაზე, მისი ჩვენებაც აუცილებელია და არც დამეფერწია. ოღონდ, ახლა, მთავარი, საკავშირ სცენები წარმოვისახოთ, ამ ტრაპეზე ჩვენი მუშაობისა, მათი შემკავშირებელი ამ შემავალი სცენების წინასწარი დადგენა არც არის საცადღებულო. ასეთი სცენების გამოვლი მოქმედება, ჩვენი რეჟისორული მონტაჟის ჩონჩხი თვითონ განსაზღვრავს და ადგილსაც შესაფერისს გამოუძებნის, ჩვენ იმისთვის უნდა ვიყოთ მზად, თუ მსახიობი, მსატყარი და კომპოზიტორი ახალს თავს შემტკბუნენ ჩვენს რეჟისორულ ძიებებს. რეჟისურა ხომ თავისი ჩანაფიქრის ტყვე არ უნდა გახდეს, იგი შექარავით უნდა დნებოდეს მსახიობის, მსატყრის და კომპოზიტორის შემოქმედებაში, ამასთანავე, შესაგვიზრებელი ძალის როლსაც უნდა თამაშობდეს იმ მოლიანი შერბობის აგების საქმეში, რომელსაც სპექტაკლი ჰქვია.

კინოფილმ „გიორგი სამკაძის“ გადაღებიდან აკაკი ხორავე, როგორც კი დრო იმყოფა, სემიროვიანთს გამოცხადდა და წვეულებაც გამართა სამხატვროკოლეჯისა და მცირე თეატრის წარმომადგენლებისათვის. სადილად მოიპატრვა ნემიროვიჩი, კნხოპი-ჩეხოვა, კაჩალოვი მუღლით, თარხანოვი მუღლით, კლიმოვი, ნევი; დიდი თეატრიდან — მოცეკვავე მარინა სემიონოვა და სხვები; ქართველ მსახიობთაგან იყვნენ: ვერუცი ანკაფორიძე, მიხეილ ჭიაურელი, დიმიტრი მგავია, თამარ ჭაჭავაძე, ნატალია ჯავახიშვილი, ა. თოიძე, ნ. ლაფანი, თ. ბაქრაძე, ე. აფხაიძე და მე ჩემი ანტონიუსი. ამ საუესთო სტუმრებით აღფრთოვანებულებმა კახური, გურული, იმერული, მეგრული თუ სხვათა სიმღერების კორიანტული დავაყვეთ და შვი ძეგლი რუსული რომანსები და ბოშური სიმღერებიც გავერუთ. სიმღერებს, ცეკვებს, სიტყვებს, ჩვენს უდიდეს თავყვანსცეპასა და სიყვარულს გულუხვად ვუძღვინდით ნემიროვიჩსა და რუსულ თეატრის იქ მყოფ კორიფეებს.

დარბაზობას, ლხინს, ზეიმს, ქეიფს, რა-დარანაირს რა იყო რომ მე არ დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი უშუალო, სუფლითა და პიროვნებებით მიღიარ, მართლაც რომ დასამსახურებელ წვეულებას იწვიათად თუ მოესწრება კაცი. როდესაც სტუმრებმა იგრძნეს, რომ ჩვენი გულის ყველა კუნძულს სარქველი ახვანდალ სასიყვარულო და სამეგობრო. თავის მხრივაც გაავრდილათავადნენ, უცხოთა ყველა ბოქლომი დახსნეს და ჩვენსათვის, თავდავიწყებით მივეცნენ ძმურ, აღმამიფრენ მისწრაფებას. თვით ნემიროვიჩიც აღტიკაცა ჩვენმა მგზნებარებამ და, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე გაგავფრთხილავ, სათანახავერები მეტ ხანს სუფრასთან ვერ გამოვიდებო, მთელი თოხი საათი არ დამრულა ადგილიდან და, დაღლილობა რომ მოეძალა და წასვლა დააპირა, მაშინაც სინანულით დაგვმორდა. როგორც თამადამ, ქართული სუფრის კვანძობაზე, საბოლოოთ საამისი“ მივაწოდე ნემიროვიჩს. ნემიროვიჩმა ოხანავ მოსვა ღვინო და წყნარად, ფიქრისანად, შინაგანის მღვლანერებით წარმოთქვა:

— მე რით გაგავიგრებთ თქვენ, აქ მსხდომ ქართველებს, სადღვრძელთა ოსტატებს? რა შემოძლია მადლობის მეტი ვუთხრა იმ მიწას, იმ ხალხს, სადაც დავიბადე, სადაც ბავშ-

ვობა, ყრობა და ჭაბუკობა გავატარე და, რომლის მადლმცემითლად მცხია, რა შემოძლია გითხრათ თქვენ, ქართველთა ოსტატებს, რომლებთან ურთიერთობაც მაშიღრერებს, მამხრევებს და სიცოცხლეს მმტკბებს. მიმივე ვითარებებიც ვაგრძელებთ სიყვარულს, ძმობის გამოვლინებას, ვებადეთ ღონისასაც, რადან ვგვწამ დამარჯვების... და, კიდევ, ისიც უნდა ვთქვა; რომ მიწას, ამ მადლიან მიწას ფაშოზში ფეს ვერ დავდგამს; მას სამისოდ არც სულიერი და არც ფაშოკური ძალა არ გაწინა... მამ, გაუმარჯოს ქართველ ხალხს და ჩვენს ურდველ მეგობრობას!

ისეთი სასიბუთო, ისეთი სითბოთი წარმოთქვა ნემიროვიჩმა სადღვრძელთ, რომ ბევრმა ცრემლი ვერ შევიკავებთ და, შემდეგ, სვანური „ლილის“ გრევიწით გაავიცილეთ თეატრის დიდოსტატი. ჩვენ კი ისევ ისე განავადრებთ ლხინი და მკუბორულ საუბრები.

ბევრი რამ საინტერესოც ითქვა იმ ღამეს. ასე მაგალითად: სასენო ხელთნებაში „შტამპის“ თათბაზე თუ რა აზრისა იყო ნემიროვიჩი, თურთულად ეს ყველავე ვიციდი. მაგრამ, პრაქტიკაში როგორ იბრძოდა „შტამპის“ წინააღმდეგ, ამაზე მიხეილ მიხეილის-ძე თარხანოვმა, თავისი შუუდარებელი იუმორით, აი, რა გამოგვიყვა:

— გომოვდოის „გაი ჭკუისაგან“ აღდგენაზე ვერმუშობთ. იმეამად სპექტაკლის აღდგენას ხელმძღვანელობს ნემიროვიჩი. ჩაკვიზე, როგორც წინათ, დანიშნულია ჩვენი შუუდარებელი, სამოვი წლის კაჩალოვი, — ამის თქმაზე თარხანოვმა ვასილი ივანეს-ძეს გადახვდა და მანაც დაბაისლურიად ჩაიღმიძლა. — და, მასთან ერთად, ახალგაზრდა იური ზავადს-კი. პირველი რეპეტიციებია. სამხატვრო თეატრის მთელი დასი სარეპეტიციის დაზრდაში, ესე იგი, ჩვენი თეატრის მთავარი ფორსე არის თამაზორალი, სულგატრებანი ველოდენით. როდის გამოვა ჩაკვი-კაჩალოვი და დაიწყებს «AX, я у еаших ног» და სხვა, — ერთი სიტყვით, როდის დაიწყებს სოფიოსა და ჩაკვის დალოლი. აი, მთავია კაჩალოვის გამოცხლამ და, მოვეშობადეთ ყველანი, რომ დატკბეთ მისი ხმით, მისი საივარი მეტველეებით, ნიუანსებით, მეორე პლანით და ყველა იმ სცენური გამოსახვის საშუალებათა ოსტატური გამოყენებით, რითაც მისი სახელი ასე სახელგანთქმულია მსოფლიოში. აი, უკვე შემოვდა ფეხი სცენაზე ჩვენმა შუუდარებელმა ოსტატმა და მიტლის გულით წარმოთქვა თუ არა «AX, я у еаших ног», რომ უკვებ, ნემიროვიჩმა, ამ მამაცხობაზელამ, მიტლი დასის წინავე მხამალა, მოურიდებლად მიიძახა:

— ეს „აპა“, სერიოზულად უნდა მივიღოთ, ვასილი ივანეჩი?

ყველანი გაუმტრდით, გავისუსეთ, დავიბენით. არანაკულად დაბანა დეტიონ კაჩალოვი და შეეცმარა მკვირბი.

- როგორ? არ მეტმის?
- „აპა“ რომ ბრძანებთ, სერიოზულად იყო ეს თუ იხუმრეთ, ვასილი ივანეჩი?
- ააპ?
- დიას, დიას, ააპ!
- ააპ, ესე იგი, ჩემი „აპა“ არ მოგწონათ, ვლადიმირ ივანეჩი?

— — — მოკლედ უპასუხა ნემიროვიჩმა.  
— მე ამ „აპა“-ს ამ რომლი, ორმოცე წლის წინათ ასე წარმოთქვამდი და თქვენ... — ოხანავ აღღვრული დაიწყო კაჩალოვმა და, მაშინვე, თითქოს ენაზე იკბინა. ჩვენი დიდ-

ოსტატი უცებ მიხვდა ნემსროვიჩის ნათქვამსაც და თავის შეცდომასაც: თავი დახანა და, ყოველგვარი შედაგაობის გარეშე, მოიხილნენ: — გასაგებია, მოვიფიქრებ და, გავიდა. რეპეტიცია კი უარი ზავადსკივი გაიარა იმ დღეს.

აი, ასე შესაბუნარ თრთოცი წლის წინანდელი „აკა“-ისთვის ნემსროვიჩმა ბუმბერაზი კანალიო, თორემ სხვებს რას გვიზამდა, თუნდაც მე არ დღეს დამაყრიდა გირკის „მეტრებში“ გენერლის როლზე მუშაობისას, თავადაც მიხვდებით...

...თითქმის უთინა დავიმალე. ეს დალოცული, მანინტა რაც ასეთი, რომ ათი საათი კი არა, ათი წუთიც არც ერთ თთხან რომ გვაგმოდეს ეს ხალხი, ალბათ, მივს არ მოგვიწყინდებოდა ერთმანეთის ცქერა, არც სიმღერა, ცეკვა და არც სათქმელი სიტყვა გამოგვეცდინა რომელიმეს.

ნემსროვიჩმა განმეორებთ მომთხოვა „კიკვიძის“ ნახვა. მეც შემდეგი კვირულის აფიშაში სამშაბათ დღეს დავანიშნინე წარმოდგენა. სამშაბათს „კიკვიძის“ დაესწრო ამიერკავკასიის ფორტის სარდალი, გენერალი ივანე ტიულუნგევი და ჩვენი მთავრობის წევრები: ვალდარია ბაქრაძე, კანდიდ ჩარკვიანი, ბენო გოგუა... მე ალიოში წუწუნავას ვიხივე, მოსულიყო თეატრში და ნემსროვიჩისთვის ემასინდა, რადგან მე სცენაზე უნდა ყყოფილიყავი. სპექტაკლის სანახავად მოვიდნენ იგორ ნეჟინი, მიხეილ კლიმოვი, მარინა სემიონოვა, იანინა კულჩიკოვა, ცნობილი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი ა. ფევრასკი მუღლითურთ... ოპერის თეატრიდან სპექტაკლის სანახავად მოვიდნენ დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, რომელთაც ცნობილი დირიჟორი გაუკო მოიყვანეს. მოვიდნენ ჩვენი სასიკვდილო ქართველი მწერლებიც, თეატრმცოდნეები და კრიტიკოსებიც. ასე რომ, ზოგი ჩემის მობატონებდა, ზოგიც თავისთი მობრძანდა და, საბედნიეროდ, სპექტაკლზე სანიტრესო მაცურებელმა მოიყარა თავი.

ანტრატეში, შიდა კიბით, ჩემს კაბინეტში ავირბინე, სადად ნემსროვიჩი და ჩემი სტუმრები მეგულებოდნენ. შევედი თუ არა, ნემსროვიჩის ნიშანზე და მისი თაოსნობით იქ დამსწრე საზოგადოება აპლოდისმენტით შემეგება... ნემსროვიჩი ჩვენს გამაოთხილ ორატორს და კრიტიკოსს ბესარიონ ჟღერტს მიუბრუნდა და ეუბნება: — არა, ბატონო კრიტიკოსო, თქვენ ეს მოთხარით, თეატრის საქებრიდან იწყებთ, თუ ლანძღვით? ჩანდა, ადრე დაწყებულ საუბარს აგრძელებდა ნემსროვიჩი. — გაჩნდა ნაწარმოებმა, რა უფრო მეტია იქ? — მისებრი ვინმეამბავილობით მიუგო ბესონ. — ღმერთმანი, მიკვირს! თუ სალანძღავი მეტია, ასეთი ნაწარმოები ხომ არც უნდა ქვეყნდებოდეს და, მით უმეტეს, მასზე ლაპარაკიც არ ღირს!...

მესხე ზარმა შეაჩოქოლა იქ მყოფნი და, დარბაზს მიასურეს. გზად ნემსროვიჩმა ბესონ მიამბა, — იმედი მაქვს, კვლავ განავარძობ ჩვენ დიალოგს ახლო მომავალშიო.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ნემსროვიჩმა მაძლობა გადაიხიდა და, თან, მეორე დღის სამის ნახევარზე თავისთან სასაუბროდ დამიბარა. მასთან ერთად, წარმატებას მილოცავდნენ ძვირფასი სტუმრები: ნეჟინი, კლიმოვი, გავკი, სემიონოვა, ფევრასკი... წარმატებას მილოცავდნენ და მაძლობას მიხდიდნენ ჩვენივე, ქართველი მწერლები და თეატრალური მოდელაჟირი. ყველას რომ გამოვივამოებო, ხელი მცლავდნენ გავყარე ჩემს ძვირფას მესობელს და უფროს მეგობარს ალექსანდრე წუწუნავას და სახლისკენ ერთად გამოვიყით.

ალექსანდრე წუწუნავამ ძალზე მეტიყო იმ დღეს თამაში

კაკვიის როლში და, თან, ნემსროვიჩის ნათქვამსაც გადმოცემდა:

— ძალიან დაინტერესდა, ვასაძეს ვინ ასწავლიდა მასხიობის ოსტატობასო. ვიცი, მარჯანიშვილიმა ფართო შემოქმედებით გზაზე გათხოვანა, მაგრამ, მისი აქტიური ხელნემების ფუტე, როგორც ვატყობ, სამსატკროულების სკოლასთან ახლოს არის; განსაკუთრებით კიკვიძეში, ორგანოდ შერწყმული აქვს დიდი ცხოვრებისეული სიმართლე, საზრიალობა და ეფექტური არტისტიზმი, რომანტიკული არტისტიზმი, და უკერძოა. კიდევ ასე თქვა, ძალიან სწრაფი აგზნების, იმთავითად დინამიური და ელასტიური ფსიქო-ფიზიკური აპარატის მქონე მასხიობიაო. მოკლედ, შეგავტო, ჩემო აკაკი, ნამდვილი ოსტატი დაინახა შენში.

ძვირფასმა აღიიშინე თავის მხრივაც მიიხრა ქათინაურები და აქ მხოლოდ ამაყად დავსქენ: იმდენ უბედურებაში, რაც გადაშნდა თვის, ალექსანდრე წუწუნავასათი ნათელი, უშუალო, ალლი ადამიანები რომ არა მყოლოდნენ გამამხნეებლად, უღრმესად გამიჭირდებოდა არა თუ შემოქმედებითი მუშაობა, სუნთქვაც კი.

მეორე დღეს, სამის ნახევარზე ნემსროვიჩს ვხვალე. მან მიხივა, მომავალ შაბათს ალექსანდრე წუწუნავას მიერ დადგენილი „დაისზე“ ოპერაში გავყოლოდი.

შაბათს საღამოს, ამფითეატრის ლოჯაში დაესხედით და მოსამყნად მოვემზადეთ, რომ საცეს დარბაზმა მეტყბო ოფიცები გაუმართა ნემსროვიჩის. ნემსროვიჩი გულმეყვდილი შემომაჩერდა და, თვალებით მკითხა, ეს ხალხი ოფიცის ვის უმართავსო. თქვენ ვესალმებინა, ვლადიმირ ივანოვ, ვუბხარო, სევერ ფეხვე წამომდგარმა ჩემი ტაშიც ხალხის ოფიცებს შეუგებო. ახლა ნემსროვიჩი წამოდგა და მაძლობის ნიშნად, თავი დახანა.

ჩაქრა სინათლე, დირიჟორის პულტანს დიდმი მირცხეულავა დადგა. შესანიშნავად წაიყვანა დიდმი მირცხეულავა უკერტივრა და, საერთოდ, მთლილი ოპერა. ნემსროვიჩმა ერთი-ორჯერ ჩამშურუნა: „კარგი მუსიკოსია ნამდვილად!“ მალ-საზის პარტის ნიკო ქუშისაშვილი ასრულებდა, მაროს — მერი ნავაშვი, კიაზის — პეტრე ამირანაშვილი, ცინცელას — ხამაშურიძე, ნანოს — ნადეჟდა ცომია. სოლიკო ვირსალაძის ნატოფი გემოვნებით შესრულებული ქართული ლანდამეჭო მთელ სცენას ცინცელით ასცეს. მოქმე პირთა, გუნდი-და მოცეკვავეთა ცინცელის ფერები ისეა განსაზღვრული მიზანსკენებში, ისეა შერწყმული მუსიკის განწყობილებასთან, რომ ოპერის მგლოდისასათი ვითარდება. მეორე მოქმედებაში ნემსროვიჩი მოხიბლა ქართული დრეზის მრავალფერობადა სურათებმა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ნემსროვიჩზე გუნდმა თავისი „მეტრი ბარში შემოსულა“ და „სეხოს სიცოცხლესა ანარასხა“ მუსიკალური ელერაბობით, დრამატუზით. მეორე აქტის მუსიკალური დრამატურგია „დაისისა“ ვის არ შესძარდა და, ნემსროვიჩი გულწრფელად უქებდა ალექსანდრე წუწუნავას დიდი პროფესიული, ხალხური სპექტაკლის შექმნას...

...ოპერის თეატრის დარბაზიდან კიდევ დიდხანს გვესმოდა მაცურებლის ოფიცები, როდესაც უკვე რუსთაველის პროსპექტზე ჩადილით ნემსროვიჩი და მე, მასპინძელ გამცელე ბელთა თანხლებით.

— მე მომწონს მხატვარი, მისი გადაწყვეტა სამომედლო მოედინა. პოეტური, ძალზე პოეტურია. განსაკუთრებით კარგია კოსუმების ფერცია და ფორმაც. დახვეწილი გემოვნ-



ნების, ბრწყინვალე ტექნიკის მქონეა თქვენი მსახურები... რაც შეეხება რევოლუციურ ნაშრომებს, — მუსიკალურ თეატრში, იშვიათად თუ იპოვით ისეთი, როგორც ალექსანდრე წუწუნავა. მისი მიზანსწეულობა, უპირველეს ყოვლისა, ოპერის პარტიკულურიდან არის ამოცნეული და სახეები კი ვიკალი-დან. ორიგინალური, ბუნებრივი და ღრმად ეროვნული საქმე-ტკალია მისი „დაისი“, ამასთანავე ნათელი, უცხოეთისაც გასაგები.

ასეთ საუბრებში ვართულებმა, ჩვენი საღამოს მოყო-ნიც მოვათავსეთ. ნომრამდე მივაკილე ნემიროვიჩი, მშვი-დობის დეე ვერუვდა და სასწრაფოდ გავეწი სახლისკენ. ვი-ცოდი, ბატონი ალექსანდრე მოუთმელად მელოდია. რო-გორც მთხვარე, ჯერ კიდევ თეატრ-დან ვუკავშირდებოდა ალიოშის ყოველი ანტრატის დროს და ნემიროვიჩის რეაქციას ვატყობინებდი საქმეებზე. „რაღა მაინცდამაინც ახლა ჩამაწვიანა ამ გრიპმა ლოგინში! წუხდა ტელეფონში წუწუნა-ვა... ყველაფერი რიგზეა, ბატონო ალიოშა, წუ შფოთავთ!“ ვამხვებდები ოპერის თეატრ-დან.

ახლაც, შინ რომ გვეწვი ლოგინში მწოლარეს, ვუთხარი:  
— საკეტაკლამა შესანიშნავად ჩაიარა, ტყუილა შფოთა-ვით.

— მოდი და, ნუ იშფოთებ, როცა ნემიროვიჩი გაეყრება! ეს ისეთი კაცია, ჩემო აკაკი, რომ, სტანისლავსკი რომ ვერა-ფერს გააწყობდა ამა თუ იმ მსახიობთან, მაგას გამოუგზავნი-და, — მიშველეთ, ეს მსახიობი შემოქმედებითად სწორ გზაზე დამიყენებ და, იმდენი სიცოცხლე შენცა და მეც, რამდენიც მაგას, ნაკაშიძის მალაზონივით, როლიმ გაზაბნეული მსახი-ობი ფართო შირაზე გამოუყვანია. ისე გაუძღვებოდა და ატა-რებდა მსახიობის გიმრის ცხოვრების ღაბიონიში, ისე მომარ-თავდა მსახიობის განცდათა სიმებს, რომ სრულად შეცვლი-და და სულ სხვაგვარად განაწყობდა. აგერ, გუმნი, უიმილო და ხელჩაქეული, დაბოყრელი რომ ესწრებოდა რეპეტიციებს და ჩემ-შუბად საათის დაყურება, როდის დამოაფრდებოდა ეს წამებით, — ნემიროვიჩის „შელოცვის“ შემდეგ, დღეს უკვე მოუთმელად ელოდებოდა თავის გამოსვლას, რომ უდღესი რეჟისორის ყურადღება მიეყვანა, მისი მოწონება დადამსა-ურებინა. დიდი ბრძენი კაცია ნემიროვიჩი, იშვიათი პიროვნე-ბაც. მაგ რომ არ ყოლოდა გვერდში სტანისლავსკის, ეგებ, სამხატვრო თეატრი რუსეთს არც ექნებოდა.

— მირე, აკაკი, მერე? — ჩაერთობდა ჩვენს საუბარში ცეცელია წუწუნავა, ბრწყინვალე სახასიათო მსახიობი, ჩემი სიყრმის მეგობარი და ჩემი ალიოშას დაი, — მიყვები თუ კაცი ხარ, მეც მაინცდამაინც დღეს დამინიშნეს „ნიონიშონ-ლის გურა“ და ოპერაში ვეღარ წამოვივდი.

მეც ხან ერთს, ხანაც მეორეს ვუამბობდი იმას, რაც ნემი-როვიჩისკან გავიგონე ჩვენი ერთ-ერთი მასწავლებლისა და სახელგანთი, ნიჭიერი, საკართველოს ოპერის შემოქმედებით ცხოვრებაში პირველი რეჟისორის, ალექსანდრე წუ-წუნავას შესახებ.

ორმოცდარ წელს, გაზაფხულზე, ნემიროვიჩმა გამოიძი-ხა და გადმოშტა ჩემთვის სასიხარულო ამბავი: „კიკვიძის“ შე-სრულებისათვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენი-ჭებინათ ჩემთვის. მაღალბა რომ გადავხედავდი, ნემიროვიჩმა ისიც დასძინა: — ეს მაღალი ჯილდო, წესით, თქვენ მართო კიკვიძისთვის კი არა, იავოსათვისაც გვერებათ. მაგრამ, თქვენი იავო აღრე იყო წარმოდგენილი კომიტეტზე. იმა-

საც შევატყობინებთ, რომ „იკვიძის“ თეატრში ვიღობო-ბი, „სასტურის დიასახლისა“ მარანდლონის შემსრულებელა-ბის, თქვენთან ერთად, ვერა მიწერკივასაც მინებდა სახელმწი-ფო პრემიის ლაურეატობა. ორმოცდარეტი წლის თეატრ-ალურ ხელოვნებაში მხოლოდ თქვენ ორნი ხართ პრემირებულ-ნი. ამასთანავე, მოწყალე ხელმწიფე, კომიტეტმა მეც მო-მინებდა თქვენთან ერთად სახელმწიფო პრემია. არ მკითხოთ, ახლა, რატომ?! რატომ და, 1940 წელს კომიტეტმა გამო-ტყობა და, ახლა, თქვენ ორ დიდებულბასთან დამაკავრება.

— მე უბედნიერესი კაცი ვარ, ვლადიმერ ივანე, რომ ამ უმაღლეს ჯილდოს, მეორედ, თქვენთან ერთად ვღებულობ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდოსტატთან!

— მეც უსახლად ბედნიერი ვარ, აკაკი ალექსეიჩი, რომ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად, უმაღლესი ჯილდოს ღირსი გახვდი. ჰოდა, მე როგორც კომიტეტის თავმჯდომარე თეატრალური ხელოვნების დარგში, დიპლომისა და ლაურე-ატობის ნიშნის გადმოცემას თქვენს ხელოვნების სამმართვე-ლოში მოვაწყობ. რა თქმა უნდა, სახელო ვითარებაში, — დაქმრებიან მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დე-პუტატები.

— თქვენი ხელიდან ბოძებულ ჯილდოს, ვლადიმერ ივა-ნიჩ, ორმაგი ფასი ექნება!

— თუ გნებავთ, ორმაგადაც ჩათვალეთ. ისეთი პირი უნის თქვენს მუშაობას, რომ ჯილდო მომავალშიც არ დაე-კლდებათ, ოღონდ, გაფრთხილებთ: ფულად პრემიას რომ მი-იღებთ, ახლა, თქვენებურად ნუ გაშლით ხელს და ნუ დაიწ-ყებთ წვეულებებს. „ხუხუცი“ ყველაფერს ხედავს, „ხუხუცი“ ყველაფერს გრწნობს... ჰოდა, ეს ფულადი თანხა მოხე-ვთ თქვენი ყოფიანობის გაუმჯობესებისთვის, რათა უფთ შეძლიერდეთ შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა... თქვენ ძა-ლილი ბევრის მოქმეა შეგიძლიათ არა მარტო ქართული, მივილი საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისთვის, როგორც აქტიორს. როგორც რეჟისორს, როგორც ინიციატორს და ორგანიზა-ტორს. ამიტომაც, უნდა გაუფრთხილდეთ თავს, რაც აქა ვარ და თავალყურს გადვენებთ, თავს არ ზოგავთ არც შინ და არც გარეთ, გადაიწყებთ, ძვირფასო, ასე უთუოდ გადაიწყვებთ.

— ისედაც ცეცხლი ეკიდება ყველაფერს, ვლადიმერ ივა-ნიჩ!

— ჰოდა, ამ დროს უნდა შეინახო თავი. ჭეშმარიტი შე-მოქმედნი ყოველდღე როდი იბადებიან. აი, თქვენ, სორავა, ანჯაფრადი, — ასეთი შემოქმედნი რომ არ დამხვედროდით, რადენი არ დამავლდებოდა სულიერად, შემოქმედებითად. ჩემთვის სასამაიმუნია იმის თქმა, რომ პატრიკი მქონდა ახ-ლის გამეცნო, თქვენის სახით, თანამედროვე საბჭოთა თეატ-რალური ხელოვნების გამორჩენილი მსახიობები. თქვენში კი ყველაზე უფრო ისიც მომწონს, როგორც „ხუხუცესს“, რომ არ თავილოთ ძველი ჭეშმარიტების ყოველდღე განმეორებისა და შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებას, რომ ყოველ-თვის ითვალისწინებთ ტრადიციებს მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დონეზე ნოვატორულად იღვწით და ახალი თეატ-რის მსახიობები ხართ.

1943 წელს ვლადიმერ ივანეს ძე ნემიროვიჩ-დანერეკომ დიდი ბანკეტი გაეცემართა თბილისის თეატრალურ მასპინ-ძლებს; ბანკეტის შემდეგ, თვითმფრინავით გაგისტურეთ ეს იშვიათი კაცი და შემოქმედი, ეს მართლა სამავალითო „ხუ-ხუცესი“ მოსკოუს.



ნეპროვიის იმ იმედითაც დავეცილო, რომ ორმოცდა ოთხ წელს წინაშარი შეთანხმებისამებრ, დაბრუნდებოდა და მინაწილეობას მიიღებდა „ანტირუსი და კლუბატრასა“ განხორციელებაში. ამის შემდეგ კი, მას უარვდა თავისთან მიეწვია ჩვენი სადადგმო ჯგუფი (მხატვარი ვირსალაძე და მე), რათა მისი ხელმძღვანელობით შეემწილიყო სახსატრო თეატრში შექმნის, „მეფე ლირა“, სადაც ლირის როლი ლეონიდოვს უნდა ეთამაშა. სამწუხაროდ, მის გეგმებს არ ეწერა აღსრულება. ბრმა შემთხვევით სიცოცხლეს გამოასალმა ეს უბრძენყო, უხუცესი დიდოსტავი: დიდ თანატრამ, ზამთარში. რეპეტიციასზე მანქანით რომ მისულა, მაგარიანდ გამოხვალისას საფეხურზე ფეხი დაცდენია, მკერდით დაეცემულა მოლიბულ ყინულზე და, იქ, გული შედონებია, რის შემდეგ უხუცესი დღევანდელ უცხოვლია. მისი სახით, საბჭოთა თეატრალურმა ხელოვნებამ დღემთ-კაცი ხელოვანი, „უხუცესი მამა“ დაკარგა და მეც, ობიექტურად შეუქმენარე მის შრავანდედით — ერთად დავკარგე გულწრფელი მოამაგე, ჩემი ხელოვნების თავყვანისწყვეტილი, დიდი მხარის და მჭყერი და მხრუნველი უფროსი მეგობარი.

### თეატრი ომის წლებში

გრძელდება სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლა ფაშისთან... მთელი ცხოვრება ომის ყიდაზე ეწყობოდა. ყველაფერი დგებოდა საომარ მწყობრში, — და არა მარტო სოფლის მეურნეობა, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, არამედ ლიტერატურაც, მხატრობაც, თეატრიც.

საზოგადოებრიობისთვის ყველაზე უფრო საყვარელ თავყვასყვარ ადგილად თეატრი შეიქმნა... რას იზამ, თვით ომის ხუსსყვარ ანეულბას ხალხის სწრაფის, წყურფულს სილამაზისა და მშენიერებისადმი, მათი მინჯანს ლტოლვას ესთეტიკურის სფეროში ყოფინისა. თვით უსამინელის ხიფათის წინაშე ხელოვანი თავისი ბუნებით ხელოვანად ჩრება, თუნდაც, უპირატესად, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქციების აღსრულება ევალებოდეს გარკვეული პერიოდის მანძილზე.

სამამულო ომის წლებში როგორც თეატრისათვის, ასევე პოეზიისა, პროზისა თუ მხატვრობისათვის მთავარი გახდა ფაშისმის საწინილების დღის სინათლეზე გამოტანა. კომუნისტურა იდეოლოგიის რაც შეიძლება მკაფიოდ ამაღლებოდა, ფაშისმისადმი სიძულვილის გაღრმავება, მებრძოლი მხატვრობების გამაფრება. პოეზია. რა თქმა უნდა, პირველი გამოუმხურა ზემოხსენებულ მიზნებს, მის კვლად მხატვრობა და პროზა. პიესის დაწერა ასე სახელდახელოდ უარესად იწეოდა, ასეთი მიზნების სასახურში ყოფი პიესა თეატრს ჯერჯერობით არ ჰქონდა და ამიტომ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ, დასადგმელად აირჩია გერმანელი მწერლის ფრიდრიხს ვოლფის ანტფაშისტური დრამა „პროფესორი მამლოკი“, პიესა თარგმნა სერგო კლდიაშვილმა, დადა იგი დიმიტრი ალექსიძემ. პრემიერა 1941 წლის ოქტომბერს შედგა.

საჭირო პიესები ჩვენმა დრამატურგებმა არ დავეცივანს. პირველი ასეთი პიესა, რომელიც ჩვენმა თეატრმა განახორციელა, იყო გიორგი მდივანის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, რომელიც მე და დიმიტრი ალექსიძემ დადგეთ 1942

წლის 24 იანვარს იმავე წლის 5 მარტს. გვიმის გარეშე „სასწრაფოდ მოვაშადადეთ და გაუშეთ გიორგი ერისთავის „დავით აღმაშენებლის“

ალბინოზა, რომ ომის წლებში, ჩვენ ვეშუაობით ავადმეურთი, პირფესილო თეატრისათვის უჩვეულო და შეუფერებელი ტემპითაც, რა გაკავილუბად ამის, თუ არა ომი და ომით შექმნილი მდგომარეობა?! ერთი მხრივ — ომთან დაკავშირებით, აღნიშნული წარმოდგენების რიცხვი ჩვენს მოქმედ რეპერტუარში უაღრესად შემცირდა. საჭირო იყო რეპერტუარის სასწრაფოდ შევსება, მაყურებლის მთილი თეატრით თუნდაც ახალი სპექტაკლის სათაურებით. მეორე მხრივ, სხვადასხვა შესუღვლებთან დაკავშირებით, მასშტაბური წარმოდგენის, დიდი წარმოდგენის შექმნა სათანადო დეკორაციების გარეშე ახელი იყო. (სხვა თუ არაფერი, თანხებზე არ იყო საამისო).

პირობითად რომ ვთქვათ, თეატრი, სადაც და როგორდაც, საქარხნო მუშობის წესებსა და ტემპებზე გადავიდა და განა მარტო თეატრი, — მთელი ხელოვნება ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმ წლებში, განსაკუთრებით ომის დასაწყისის წლებში. მსუღვლიობიდან ისაც არ უნდა გამოვჩენს, რომ სცენის გეშუეობა, თვრამეტე კაცის ნაცვლად ოთხი, ხოლო სადურკული საამრებელი — ოთორმეტი კაცის ნაცვლად სიმილა შეგერჩა თავის მთავარ კონსტრუქტორიანად, „ოტელოს“ გარდა თეატრის რეპერტუარიდან კვლა ცნობილი დადგმა მოფებულ იქნა მძიმე დეკორატიული დანადგარების გამო. მოქმედი რეპერტუარი კი წარმოდგენის ნიშნოვდა და, რიცხვის გამოდევნებმა, ზოგიერთ შემთხვევაში, უნებურად აკავლებინა ხელი განარსხვებ, რაზედაც შემდგომ მოვასხვებთ. აქ კი უნდადგება გაავანებელი მეტ-ნაკლებად საინტერესო სპექტაკლებზე, რომლებიც, მიუხედავად დიდი გასატრიალის, რუსთაველის თეატრს უნარუნებდნენ შემოქმედების სახესა და ღირსებას...

იმავე 1942 წლის 20 ივნისს გიორგი მდივანმა იხვე მოგავშველა ახალი პიესა „მოსკოვის ცა“, რომელიც დიდა აკავი ხორავამ. თუმცა პიესაში ბევრი ხავე ესტრუქურად იყო მოცემული, მაგრამ სპექტაკლი ეს სახეები, რაც შეგეძლო განავითარე, გაავმიდგრედ და შევმატეთ ცხოველყოფილობა. ერთერთ მთავარ მოქმედ პერს, მასწავლებელ სტრელცოვს მე ვასრულებდი. ამ როლში მე ვარდობით გადმომეცა მაყურებლისათვის სტრელცოვის ურყევი რწმენა საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშისმზე (რაც ჩემს საკუთარსულსაკვეთებასაც ეთანხმებოდა) და, ამასთანავე სტრელცოვი მაცრ, მტკიცე რწმენასთან შეთანხმებით, გამომხეცა ჭირბარე კაცის სირბილე, სიკეთე და მის არსებაში ჩაბულებული სიბრძნე. ამ სპექტაკლი მე და ჩემი პარტნიორები საჭირო კონტაქტს ვამყარებდით: ამინდელ მაყურებელთან და, ვგონებ, შევქმნა მისი გულის მისი შეხვრეც. გარკვეული წარმატება ჰქონდა სპექტაკლს.

მეტი წარმატება ჰქონდა ჩემს მიერ უკვე ხსენებულ „ოლეკო დუნდისი“. ალექსანდრე რეშეფსკისა და მიხეილ კაცის პიესის, თარგმნის თამარ სჯან-გურულია მიერ, რომელიც 1942 წლის 5 ნოემბრის ჩემი დადგმით განხორციელდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. ოლეკო დუნდისი, სამოქალაქო ომის ცნობილი გმირი, პირველი ცხენოსანთა არმიის მეთაური იყო, — ის ცნობილი მხედრობითაური, ვიხუდაც ე. ვორსმოლოვი წერდა, აქის შემუღისა შედარის ამ საოკარ გამოს სიმამაკეში, სიკეთეში, ამასწავრე გულმხურებადობაში“. ფაშისმთან ბრძოლის წლებში ასეთი პიესა, უთუოდ აქტუალურ როლს ითამაშებდა და, ასევე მოხდა.



მხროვ ზვერ საინტერესო საშუალებას აწვდიდა მოქმედების წარსანართივად. თამაშად შეიძლება თითქმის, რომ ირაკლე გამრეკელმა და მისი თაობის მხატვრებმა ქართული დეკორატიული ხელოვნება იხსნეს განრული, ყოფაცხოვრებით და ხეური ფერწერის გავლენებისაგან და ჩვენი თეატრალური მხატვრობა გამოიტანეს მსოფლიო ასპარეზზე, შეუქმნეს მას მდიდარი, ნოყიერი საფუძველი მომავალი განვითარებისათვის. ირაკლე გამრეკელის შემოქმედებით ცხოვრება მარად დარჩება ქართულ თეატრის ისტორიაში როგორც ერთი უღამაზესი ფურცელი, ერთი უღამაზესი ფერი, ერთი მდიდარნი ხმის მოძიანბი, თილო ჩემს სხოვნაში — როგორც სვედა მეგობარსა და თანამებრძოლზე, რომელსაც მხოლოდ მადლიერების გრძობით თუ მოვიგონებ და რომლის სახე ხშირად ცოცხლად აღნიშნება თვალწინ.

სამამულო ომის წლებში უფრო ისეთი სპექტაკლები მივიღე და ანშლაგით, რომელთაც ომის თემატიკასთან თითქმის არაფერი კავშირი არ ქონდათ. ხელოვნება ყოველ დროს ხელოვნებად რჩება, ყოველ ვითარებაში ხელოვნების ნიმუშის ფორმაც და შინაარსიც სრულყოფილად უნდა იყოს აგებული, თორემ, ვერავითარი დროის შესაბამისად თემატიკით ვერ მიიზიდება მაყურებელს. უშუალოდ ომის წლებში დაწერილი ნაწარმოებები თუმცა პასუხობდნენ დროის მოთხოვნას, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით შორს იყვნენ სრულყოფილებისაგან და მოკვლდნენ. სასწრაფოდ მათი შეაწვება, რა თქმა უნდა, მხელი იყო ხალხი კი თეატრში იმისათვის დადის, მშვენიერებას ეძიაროს და არა იმისათვის, კონკრეტულად დახმული სადღესობა პრობლემები განვიკადოს, — ის პრობლემები, რომელთაც თეატრის გარეშე განვიკადოს. თეატრ, რა თქმა უნდა, თანადროულობის აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე პრობლემებს უნდა ემსახურებოდეს და აშუქებდეს, მაგრამ, არა აუცილებლად იმ პრობლემებსა და საკითხებს, რომლებიც ცხოვრებისეულად და უშუალოდ მოქმედებენ და ჩანან, არამედ რომელიც ფარულად, უგრძობად, სიღრმისეულად მოქმედებენ. ასეთ პრობლემებში უშორველ საუკუნეებში შექმნილი კლასიკური პიესის ნიმუში, ხშირად, უფრო თანადროული აღმოჩნდება, ვინც თანადროულ თემატიკაზე, დროის დაკვეთით სახელდახელოდ დაწერილი დაბალი ხარისხის დრამატული ნაწარმოებები. ამიტომ იყო, რომ „იკვირებს“ და „ოლეკო ლენდირიაზა“ ერთად, ხალხი უნებნებად ისეთ წარმოდგენებს, როგორც იყო ივანე „საპატარძლო აფიშით“. მაგრამ, მაინც, დასწრების და ინტერესის მხრივ, „ოლეკოს“ ვერც ერთი ჩვენი წარმოდგენა ვერ შეედრებოდა. „ოლეკოთი“ გატაცებული იყო არა მარტო შინ დაარსილი თბილისელი მაყურებელი, არამედ ფრონტზე წასასულივად გამჟღავნებული თუ ფრონტიდან დაბრუნებული ოფიცრები და ჯარისკაცები (რუსიც და ქართველებიც), უცხოელთა სტუმრები და დაბლობაზე, ცნობილი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწენი. ვინც კი იმ წლებში თბილისს ჩამოვიდოდა, თითქმის მოვალეობად თვლიდა დასწრებოდა ამ წარმოდგენას.

სწორედ იმ წლებში მოხდა ის უცნაური შემთხვევა, რომელიც არასდროს დამავიწყდება: „ოლეკო“ მიდის, მე და აკაკი მეოთხე მოქმედების იმ ეპიზოდს ვიამაშობთ, სადაც იაკო უკვე პირდაპირ ეუბნება ოტელის, რომ დღევანდელთა კასიოსთან წოლილია... ჩვეულებისამებრ დარბაზი, ლოკები და იარუსები ისეა გატეხილი ხალხით, რომ იტყვიან, ნემსი არსად ჩაიდგება... აი, ვუთხარა ოტელის

„დღევანდელთა კასიოსთან წოლილია... როგორც ყოველთვის, ჩემს და სიტყვებზე, დარბაზში შეუხებულნი... ოტელისა და სავედურის ჩურჩული გაისმა, რომელიც ყოველთვის ასე მესალმებოდა ხოლმე გულზე თამაშის დროს და მეტის გზებით მავსებდა, რადგან მასურებელი ასეთ შემთხვევაში თითქმის ჩემი მოქმედების თანამაწაწილე ხდებოდა... აი, ჩემს სიტყვებზე, ოტელის ელადა ეცა და გულმეშობრილი იატაკზე პირადმა გახერხობი, თილო მე, გამარჯვებული იაკო ჯერ მკვლელად დავადებ ფესს, შემდეგ, წაქცეულ ოტელის დაჯერებს შუა მოვიქცევა და, გულმანად ჩავძახებ: „გასჭერ, გასჭერ, ჩემო წამალო, ვერც ჩაამბენ მახემი სულელებსა და ალაღმარებლებს“... მაყურებლის თანაგანდებით უფრო მეტად აგზნებული, რაც შეიძლება მეტის ძალით ვატარებ ამ სცენას, რომ უკვე დავამთავრე თუ არა ზემოთხსენებული სათქმელი, დარბაზში სროლის ხმა იქცა. უნებურად შევკრთი და, ასე, ოტელსაც გადაქანებული, ევლინის სიტყვა გაჩერებული ვაგვიხეი. დარბაზი აჩორქული, ექსტაზში შესული მაყურებელი ჯერ კარგად ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რამ დაიფრებუნა ზემოდან... ალაბო, მე მესროლი!“ გამივლავ თავედა და იმასვე ვიფიქრე, ალაბო, ვიციკ ჩემი პირადი მტერთა ჩემზე გადაკიდებული, მოგზავნილი სულელი... თორემ ვინ არის ასეთი რვევები, რომ მართლა ცოცხალ იაკოდ მიმიღო და ასე გამიმეტა... დარბაზი არ წყნარდებოდა... მოგვცა? — ჩურჩულით მეკითხება ძირის ვაშორებელი აკაკი და დავფიქრებულ თვალელებით ამომიქცერის. — რა ვიცი, ვერჯერობით არაფერს ვერძნობ! — ჩურჩულითვე უუპასუხე და თან, მაინც შევამოწმე მუცელზე უნებურად მიგრული ხელი, სისხლი ხომ არ სცია — მიეჭრა... ასია ჩემზე, რაც მომივა, ხომ მეუბნებიან შინაურები, დანახებე თავი ამ უარყოფითი როლების თამაშსა... აპა, ევექ შენს თავს იცოს... ერთხელ აცედა, მეორედ მოგვცდება და გაკავრები გოგარებს... თან, იმისიც შეშინია, მეორეჯერაც არ გაავრდები და, ამიტომ, რატომღაც ადგილიდან არ ვიძებრი თითქმის გზაში მეცხვარის ნავაზი შემეფუთა... დარბაზში ჩორქოლმა იმატა. დაბახული ვუვდებ ყურს, თუ რა ხდება იქ, თუცა, გახედვით კი არ ვიხედებ, არც მდგომარეობას ვიცვლით მე და აკაკი. აი, უკვე მესმის, რომ ბელეტრტიდან აღმინისტრაციის და შემანძრევის ვილაც გაკაცეთ მამარია. — პა, როგორ ხარ, ბიჭო? — ასლა უკვე უფრო თანამად ზემომხუხუნებს აკაკი. — იქნეი წყნარად, ხომ ხედავ, სცენა ჯერ არ დაგვიმთავრებია! — და განავარტე თამაში. ვიამაშობ, მაგრამ თან ერთი სული მიქვს, როდის მოვრჩები, რომ გავიდე კულისებში და გავიგო, ვინ ისროლა.

როგორც იქნა, ეპიზოდი დავამთავრე, ფარდაც დაიხურა და კულისებში გავავრდი მე და აკაკი. ეგვიხრეს, რომ ეს ერთა ახალგაზრდა ლიტერატურა, გვართი სამხარაძეს. რომელიც თავის ასლადმურთოვ ცოლთან ერთად უყურებდა სპექტაკლს, კაქერში უსვარა რეველვერიდან, — მისი განმარტებით. სპექტაკლით აღელვებულსა და ქვეყნად არსებული ყველა იაკოების წინააღმდეგ ამბოქობებულს; ამასთანავე, ახალგაზრდა ცოლის თავის მსაწონებლად და შესაწინებლადაც. რა დამთხვევაა!! დახე. ომის მკაცრ წლებშიაც დიდი დრამატურგი ჩვეს თანამედროვედ დარბა და უშუალოდ ეცება საბჭოთა მაყურებლის გულის სიმებს...

.....  
თეატრი ომის აფორიაქებულ ვითარებასაც შეეწვია და თან.



დათან, როდესაც მოქმედი რეპერტუარი შევავსეთ სპექტაკლებს საჭირო ოდენობით, უფრო მზვიდად შევუდგებით შემოქმედებით მუშაობას, უფრო დამუშვდებით კიდევ, რადგან ვიგრძენით, რომ ფაშისტები არც ისე დაუპლევველი ყოფილან.

